# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 12 ივნისი 2001 №107 (1380) | ფასი 50 თეთრი


# კახა კალაძე სარბიელის ტრადიციული გამოკითხვით საქართველოს 2000-2001 წლების საუკეთესო ფეხბურთელია





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელის გამოკითხვა



„სარბიელის" ტრადიციულ გამოკითხვაში მონაწილეობა წლეულს 45-მა ჟურნალისტმა მიიღო.

წლეულსაც გამოკითხვა ორ ნომინაციაში ჩატარდა: საქართველოს 2000-01 წლების საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეც გამოვლინდა.

ნომინანტთა შორის ისევ გამოჩდნენ თემურ ქეცბაია და შოთა არველაძე, თუმც ისინი, ზოგიერთ ძველ ნომინანტთან ერთად, თითებზე დასათვლელ ქულებსღა დასჯერდნენ.

შარშანდელმა გამარჯვებულმა ლევან კობიაშვილმა ამჯერად კახა კალაძეს გაუცვალა ადგილი და პირველობა დაუთმო.

აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე ზაზა ზირაქიშვილი შარშან ნომინანტთა შორის საერთოდ არ ხსენებულა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ადრინდელი ნომინანტებიდან ეროვნული ჩემპიონატის გამოკითხვას ხუთი ფეხბურთელიღა შემორჩა.

ერთადერთი მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, რომელმაც თავისი წილი ქულებისა ორივე ნომინაციაში ირგუნა.

ქულათა დარიცხვის სისტემა ძველებურია: პირველი ადგილისთვის 5 ქულა, მეორისთვის — 3, მესამისთვის — 1.

### სარბიელის წინა ექვსი გამოკითხვის გამარჯვებულები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1992-93 | გიორგი ქინქლაძე | 1996-97 | თემურ ქეცბაია |
| 1993-94 | შოთა არველაძე | 1997-98 | შოთა არველაძე |
| 1994-95 | აკაკი დევაძე | 1998-99 | ზაზა ჯანაშია |
| 1995-96 | გიორგი ქინქლაძე | 1999-00 | ლევან კობიაშვილი |

### საქართველოს 2000-01 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | I | II | III | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კახა კალაძე | დინამო (კიევი, უკრაინა)/მილანი (იტალია) | 41 | 1 | 2 | 210 |
| 2 | ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი (გერმანია) | 3 | 31 | 4 | 112 |
| 3 | გიორგი ნემსაძე | დანდი (შოტლანდია) | — | 5 | 13 | 28 |
| 4 | ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი (გერმანია) | — | 5 | 7 | 22 |
| 5 | თემურ ქეცბაია | ვულვერჰემპტონ უონდერერზი (ინგლისი) | — | 2 | 2 | 8 |
| | ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო (რიგა, ლატვია) | — | 1 | 5 | 8 |
| 7 | გოჩა ჯამარაული | ციურიხი (შვეიცარია) | 1 | — | 1 | 6 |
| | შოთა არველაძე | აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) | — | — | 6 | 6 |
| 9 | ზურაბ ხიზანიშვილი | ლოკომოტივი/დანდი (შოტლანდია) | — | — | 3 | 3 |
| 10 | გელა შეყილაძე | ლიერსი (ლიერი, ბელგია) | — | — | 1 | 1 |
| | ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | — | — | 1 | 1 |

### საქართველოს XII ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | I | I | I | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზაზა ზირაქიშვილი | დინამო | 13 | 8 | 5 | 94 |
| 2 | ლევან მელქაძე | ვიტ ჯორჯია | 6 | 6 | 5 | 51 |
| 3 | კახა გოგიჩაიშვილი | ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 37 |
| 4 | ზურაბ იონანიძე | ტორპედო | 2 | 4 | — | 22 |
| 5 | ვალტერ გუჩუა | ტორპედო | 2 | 2 | 1 | 17 |
| 6 | კახა ცხადაძე | ლოკომოტივი | 1 | 3 | 2 | 16 |
| 7 | ზურაბ ხიზანიშვილი | ლოკომოტივი/დანდი (შოტლანდია) | 2 | — | 1 | 11 |
| 8 | დავით ჭიჭვეიშვილი | ლოკომოტივი | — | 3 | 1 | 10 |
| 9 | გიორგი ანჩაბაძე | დინამო/ლოკომოტივი | 1 | 1 | 1 | 9 |
| | ირაკლი ზოიძე | ტორპედო | 1 | 1 | 1 | 9 |
| | გიორგი ლომაია | ლოკომოტივი | 1 | 1 | 1 | 9 |
| 12 | დავით ჯანაშია | ტორპედო | — | 2 | 1 | 7 |
| | გიორგი შაშიაშვილი | დინამო | — | 1 | 4 | 7 |
| 14 | გიორგი ყიფიანი | ვიტ ჯორჯია | 1 | — | 1 | 6 |
| | ლევან სილაგაძე | ლოკომოტივი/ტორპედო | — | 1 | 3 | 6 |
| 16 | მალხაზ ასათიანი | ტორპედო | 1 | — | — | 5 |
| | ჯონი შალამბერიძე | ტორპედო/კოლხეთი | 1 | — | — | 5 |
| 18 | ედიკ საჯაია | ვიტ ჯორჯია | — | 1 | 1 | 4 |
| 19 | დავით დათვაძე | დინამო/ლოკომოტივი | — | 1 | — | 3 |
| 20 | გივი დიდავა | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)/ტორპედო | — | — | 2 | 2 |
| | დავით კვირკველია | კოლხეთი | — | — | 2 | 2 |
| 22 | ლაშა ნოზაძე | ვიტ ჯორჯია | — | — | 1 | 1 |
| | გიორგი ჭანკოტაძე | ვიტ ჯორჯია | — | — | 1 | 1 |
| | აკაკი დევაძე | მერანი | — | — | 1 | 1 |
| | არჩილ სახვაძე | დინამო | — | — | 1 | 1 |

| | | საქართველოს 2000-01 წლების საუკეთესო ფეხბურთელი | | | საქართველოს XII ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიხეილ აბაიშვილი | დრონი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | მელქაძე | ზირაქიშვილი | ცხადაძე |
| კობა ასლანიშვილი | ახალი თაობა | კალაძე | კობიაშვილი | შ. არველაძე | გოგიჩაიშვილი | ზირაქიშვილი | ანჩაბაძე |
| მიხეილ აფხაზავა | სპორტის სიახლენი | კალაძე | იაშვილი | ნემსაძე | გოგიჩაიშვილი | ჯანაშია | შაშიაშვილი |
| გიო ახვლედიანი | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | რეხვიაშვილი | — | — | — |
| ილია ბაბუნაშვილი | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | იაშვილი | — | — | — |
| დათო ბაკურაძე | პრაიმ-ნიუსი | კალაძე | კობიაშვილი | იაშვილი | — | — | — |
| ვახტანგ ბზიკაძე | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | ზირაქიშვილი | ზოიძე | გოგიჩაიშვილი |
| ლაშა გოდუაძე | ოლიმპი | კალაძე | კობიაშვილი | იაშვილი | ზირაქიშვილი | ჭიჭვეიშვილი | დიდავა |
| აკაკი გვიმრაძე | რეზონანსი | კალაძე | კობიაშვილი | ხიზანიშვილი | ლომაია | ჭიჭვეიშვილი | მელქაძე |
| სოლომონ გულისაშვილი | სარბიელი | კალაძე | ქეცბაია | რეხვიაშვილი | ზირაქიშვილი | გოგიჩაიშვილი | გუჩუა |
| ბიძინა დარჩია | ტვ-ფაზისი | კობიაშვილი | ნემსაძე | კალაძე | შალამბერიძე | იონანიძე | კვირკველია |
| გიორგი დარჯანია | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | — | — | — |
| ლაშა დვალიშვილი | ტელევიზია, I არხი | კალაძე | იაშვილი | ჯამარაული | ხიზანიშვილი | ზირაქიშვილი | ყიფიანი |
| დავით ერაძე | ოლიმპი | კალაძე | კობიაშვილი | შ. არველაძე | ზირაქიშვილი | ცხადაძე | დიდავა |
| გია ეჯიბია | ტვ-ფაზისი | კობიაშვილი | ნემსაძე | კალაძე | იონანიძე | მელქაძე | კვირკველია |
| გიორგი ვაშაკიძე | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | რეხვიაშვილი | გუჩუა | ზირაქიშვილი | მელქაძე |
| ლაშა თაბაგარი | რეზონანსი | კალაძე | კობიაშვილი | ხიზანიშვილი | ზირაქიშვილი | მელქაძე | ჭანკოტაძე |
| დათო თავართქილაძე | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | შ. არველაძე | ზირაქიშვილი | გუჩუა | ჭიჭვეიშვილი |
| კობა ინასარიძე | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | გოგიჩაიშვილი | ზირაქიშვილი | ზოიძე |
| იუზა კაციტაძე | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | იაშვილი | ზოიძე | გუჩუა | ზირაქიშვილი |
| ფრიდონ კერვალიშვილი | რეზონანსი | კალაძე | კობიაშვილი | ხიზანიშვილი | — | — | — |
| მამუკა კვანტალიანი | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | რეხვიაშვილი | გუჩუა | გოგიჩაიშვილი | ზირაქიშვილი |
| პაატა კვანტალიანი | სარბიელი | კალაძე | რეხვიაშვილი | ქეცბაია | ასათიანი | ზირაქიშვილი | მელქაძე |
| სოსო კოტორეიშვილი | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | რეხვიაშვილი | გოგიჩაიშვილი | მელქაძე | ზირაქიშვილი |
| მერაბ მამულაშვილი | ოლიმპი | კალაძე | ნემსაძე | კობიაშვილი | ზირაქიშვილი | დათვაძე | მელქაძე |
| დავით მინაშვილი | რადიო, I არხი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | ანჩაბაძე | ზირაქიშვილი | ხიზანიშვილი |
| გივი მომცელიძე | 11X11 | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | გოგიჩაიშვილი | მელქაძე | სილაგაძე |
| ნიკა მჟავანაძე | 11X11 | კალაძე | იაშვილი | კობიაშვილი | მელქაძე | საჯაია | ზირაქიშვილი |
| დიმა ობოლაძე | რუსთავი-2 | კობიაშვილი | კალაძე | შ. არველაძე | — | — | — |
| თენგიზ პაჭკორია | სპორტ-ექსპრესი, რუსეთი | კალაძე | ქეცბაია | კობიაშვილი | იონანიძე | ლომაია | შაშიაშვილი |
| გია პლატონიშვილი | საქართველოს რესპუბლიკა | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | მელქაძე | ჭიჭვეიშვილი | ზირაქიშვილი |
| მიხეილ საბახტარაშვილი | ლელო | კალაძე | კობიაშვილი | შეყილაძე | ზირაქიშვილი | იონანიძე | ცხადაძე |
| ვაჟა სიმონიშვილი | 11X11 | კალაძე | ნემსაძე | კობიაშვილი | მელქაძე | ლევან სილაგაძე | საჯაია |
| გია ტუხაშვილი | დრონი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | ცხადაძე | მელქაძე | ლევან სილაგაძე |
| ვასილ უდუმაშვილი | სპორტის სიახლენი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | გოგიჩაიშვილი | იონანიძე | ჯანაშია |
| ზურაბ უსუფაშვილი | რუსთავი-2 | კალაძე | იაშვილი | ნემსაძე | მელქაძე | ზირაქიშვილი | იონანიძე |
| რევაზ შენგელია | სფფ-ის პრესსამსახური | კალაძე | კობიაშვილი | ქეცბაია | ზირაქიშვილი | შაშიაშვილი | მელქაძე |
| დავით ცაბაძე | 11X11 | კალაძე | კობიაშვილი | შ. არველაძე | ზირაქიშვილი | ანჩაბაძე | ა. სახვაძე |
| ზაზა წულაძე | onefootball.com | კალაძე | კობიაშვილი | შ. არველაძე | ყიფიანი | მელქაძე | შაშიაშვილი |
| ჯემალ ჭიპაშვილი | ოლიმპი | კალაძე | ნემსაძე | იაშვილი | ზირაქიშვილი | ცხადაძე | ლ. ნოზაძე |
| ბესიკ ჯანგავაძე | ახალი ეპოქა | ჯამარაული | იაშვილი | ჯანაშია | ზირაქიშვილი | იონანიძე | ლევან სილაგაძე |
| გოჩა ჯანაშია | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | იაშვილი | — | — | — |
| მიხეილ ჯაში | 11X11 | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | მელქაძე | ცხადაძე | შაშიაშვილი |
| ალექსანდრე ჯიბლაძე | რადიო, I არხი | კალაძე | კობიაშვილი | ნემსაძე | ხიზანიშვილი | ზირაქიშვილი | დევაძე |
| მიხეილ ჯორბენაძე | მეცხრე არხი | კალაძე | კობიაშვილი | იაშვილი | ზირაქიშვილი | ჯანაშია | ლომაია |

# კახა კალაძე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

## ადამიანი გაზეთის სვეტში



**ამ კაცმა გვერდზე გადასდო ხანგრძლივი, ჯერაც დაუსრულებელი ყოველწუთიერი უმძიმესი განცდები და თავისი ვალი კაცურად მოიხადა კლუბის, ნაკრების და გულშემატკივრის წინაშე. კახა კალაძე – ადამიანი და პროფესიონალი, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, პირნათელი და მართალია თავის ქვეყანასთან, მისი გასაჭირის მოზიარე, მისი ყოველი სიტყვის მომლოდინე მკითხველთან.**

**— კახა, ტრადიცია ტრადიციაა და იმ ორი კითხვით დავიწყოთ, როგორც აქამდე. შენ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ხარ. ელოდი, რომ ჟურნალისტთა გამოკითხვაში გაიმარჯვებდი?**

— რა გითხრათ, არც ვიცი. თუმცა თუ დამიჯერებთ, ქვეყნის საუკეთესოობაზე არც კი მიფიქრია.

**— „სარბიელის“ გამოკითხვაში მონაწილეობა რომ მიგეღო, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად, მეორედ და მესამედ ვის დაასახელებდი?**

— არავის, აბსოლუტურად არავის. არც ერთ გვარს არ ჩავწერდი ანკეტაში.

**— ეტყობა, გალიზიანებული ხარ საქართველოს ნაკრების ასეთი წარუმატებლობით.**

— რითი ვარ გალიზიანებული?

**— საქართველოს ნაკრებით.**

— რომელ ნაკრებზე მეკითხები?

**— საქართველოს ნაკრებზე.**

— ჰყავს კი საქართველოს ნაკრები? საქართველოს საფეხბურთო ნაკრები არ ჰყავს. რამ უნდა გამაღიზიანოს?

**— რაც არის, ჩვენი ნაკრებიც ეგ არის.**

— იცი, რატომღაც მგონია, რომ საქართველოში ფეხბურთი არასდროს იქნება.

**— რატომ არ იქნება?**

— იმიტომ, რომ ქართველებს სხვანაირი მენტალიტეტი გვაქვს.

**— „მილანში“ შენი საუკეთესო პარტნიორი ვინ არის?**

— შევჩენკო.

**— მხოლოდ?**

— კიდევ მალდინი და ალბერტინი.

**— ყველაზე უხერხული გუნდი შენი „მილანში“ თამაშის განმავლობაში?**

— „ფიორენტინა“.

**— უხერხული მეტოქე?**

— ჯერჯერობით ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი. რა დიდი ხანია, სერია A-ში ვთამაშობ?

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელები რომ გაათავისუფლეს, იცი?**

— არა, არ ვიცი. მოხსნეს ყიფიანი და ძოძუაშვილი?

**— დღეს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თქვა ამის თაობაზე. შენი კომენტარი.**

— მიჭირს კომენტარის გაკეთება. გუნდის წარუმატებლობა მწვრთნელების ბრალიც არის და, რა თქმა უნდა, ჩვენი, ფეხბურთელებისაც. ასეთი თამაში ნაკრების თითოეული წევრის ბრალია. ამიტომაც ვამბობ, საქართველოს ფეხბურთის ნაკრები არ ჰყავს.

**— „მილანში“ გადასვლის შემდეგ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?**

— უფრო მეტად პროფესიონალი გავხდი. როგორც ფეხბურთელი, გავიზარდე, იტალიაში ბევრი ვისწავლე. პიროვნულად კი ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, ისევ ის კახა კალაძე ვარ, რაც თბილისისა და კიევის „დინამოში“ ვიყავი...

**კობა ინასარიძე**

**კახა კალაძე**

27.02.78

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 93-94 | სამტრედია | A | 3 | – | | | |
| | დინამო | A | 1 | – | | | |
| 94-95 | დინამო | A | 9 | 1 | UC | – | – |
| 95-96 | დინამო | A | 23 | – | UC | 1 | – |
| | დინამო 2 | B | 1 | – | | | |
| 96-97 | დინამო | A | 27 | – | UC | 4 | – |
| 97-98 | დინამო | A | 11 | – | UC | 7 | – |
| | დინამო (კიევი, უკრაინა) | A | 13 | 2 | | | |
| 98-99 | დინამო (კიევი, უკრაინა) | A | 26 | 3 | CHL | 12 | 1 |
| 99-00 | დინამო (კიევი, უკრაინა) | A | 25 | 1 | CHL | 14 | 1 |
| 00-01 | დინამო (კიევი, უკრაინა) | A | 8 | 0 | CHL | 7 | 1 |
| | მილანი (იტალია) | A | 16 | 2 | | | |

A/B - ეროვნული ლიგა; CHL - ჩემპიონთა ლიგა; UC - უეფას თასი



კახა კალაძე მალე იქცა კიევის „დინამოს“ ერთ-ერთ ლიდერად




მილანელი კალაძე (№13) და იუვენტუსელი დელ პიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზაული ამბები და ნირვანა

## მიირთვით კათხა ლუდი, იყავით გულისხმიერი მეუღლე, აირჩიეთ მხოლოდ ინგლისი და ნიგერია!

*ათი წლის წინ გამოჩნდა ეროვნულ ჩემპიონატში ზაზა ზირაქიშვილი. 16 წლის კაფანდარა, ჩია აღნაგობის ვერცხლისწყალივით სწრაფი ფორვარდი „მრეტების" ღირსებას იცავდა...*

*მანამდე კი იყო საფეხბურთო სკოლა „ავაზა", სადაც ზაზასთან ერთად ჩემი ბავშვობის ძმაკაცი თამაშობდა და „ზირაქას" სახელიც მაშინ გავიგე პირველად. ამ ბიჭს ვერავინ აჩერებს, რაკეტასავით დაჰქრის და კაი გოლებსაც ჭედავსო — მეუბნებოდა მეგობარი...*

*ბევრი რამ გადახდა ზაზას „მრეტების" მერე, საფეხბურთო კარიერაშიც და ცხოვრებაშიც. წარმატება, სიხარული და და დიდი განბილება. ცხოვრებაში არის მომენტი, როცა შანსი მოგეცემა, ანუ საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, ცარიელ კართან ბურთით აღმოჩნდები და გოლი უნდა გაიტანო. ზაზამ ცხოვრებაში ბევრი გადაიტანა. რამდენჯერმე იდგა ცარიელი კარის წინ და ვერ გამოიყენა ეს შანსი თუნდაც მაშინ, როცა პორტუგალიის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, სანანებელი შეცდომა დაუშვა და იქიდან წამოვიდა, მაგრამ ფეხბურთი, ცხოვრებისგან განსხვავებით, შეცდომებს პატიობს...*

*ზაზა „დინამოში" მეორედ სწორედ მაშინ მივიდა, როცა გუნდში არეულ-დარეული სიტუაცია იყო. სხვა მოწინავე ქართულ კლუბს მაინც ასეთი „დინამო" ამჯობინა. ბევრი რამ მოსათმენი გაუხდა სახელიან გუნდში, მაგრამ აქეთ-იქით ხეტიალი აღარ დაუწყია და...*

*მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირობა 21 გოლით და საუკეთესო ფეხბურთელობა — ასეთია ზაზა ზირაქიშვილის მონაგარი, რომელიც 1986 წელს გამოშვებული ორკარიანი BMW-თი დადის და ერთოთახიან ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს დიღმის მასივში...*



ბადრი კოპილაძის ფოტო

**ზაზა ზირაქიშვილი**

13.03.75

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1991 | მრეტები | B | 7 | – |
| 91-92 | მრეტები | A | 4 | – |
| 92-93 | დინამო | A | – | – |
| 93-94 | მერანი ბაჩო | B | 26 | 20 |
| 94-95 | მეტალურგი | A | 9 | 4 |
| 95-96 | მეტალურგი | A | 27 | 10 |
| 96-97 | მეტალურგი | A | 11 | 9 |
| | ფარენსე (პორტუგალია) | A | 3 | 1 |
| 97-98 | მორკინალი | A | 3 | – |
| | ბათუმი | A | 8 | 3 |
| 98-99 | არსენალი | A | 20 | 12 |
| 99-00 | დინამო | A | 13 | 5 |
| 00-01 | დინამო | A | 28 | 21 |

— უპირველესად დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ, რომელთაც გამოკითხვაში ხმა მომცეს და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად მაღიარეს. ბომბარდირობა და ეს აღიარება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ერთობ დიდი რამ არის. ძალიან გახარებული ვარ. ცხადია, ყოველივე ეს მთელი „დინამოს", მწვრთნელებისა და ბიჭების დამსახურებაცაა.

**— ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდით, თუმც ზოგი იმასაც კი ამბობდა, ზირაქიშვილი „დინამოში" იმიტომ დაწინაურდა, რომ გუნდიდან მის გარდა ყველა წამყვანი მოთამაშე წავიდაო.**

— ენა გრძელია და რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. ადრე იმიტომ არ ენანდი, რომ ერთი სეზონი გადაბმულად არ მითამაშია. ეს ყველამ კარგად იცის. ისე, მართალი აქეთ-იქით მიწევდა სიარული. წინა სეზონშიც ხან მოლდოვაში წავედი, ხან ბულგარეთში. ხეტიალის გამო ფორმიდან ვარდებოდი, ფორმას ვერ ვინარჩუნებდი. მეთორმეტე ეროვნულისთვისაც მქონდა რაღაც გარანტიები, მაგრამ გადავწყვიტე, ეს სეზონი თავიდან ბოლომდე ერთ გუნდში ჩამეტარებინა, ბომბარდირობაც მიზნად დავისახე და...

**— ამ 21 გატანილი გოლიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რომელი იყო შენთვის?**

— გოლის გატანა იოლი არ არის. ერთსაც არ გამოვარჩევდი, ყველა მნიშვნელოვანია.

**— გასაგებია, მაგრამ „დინამოს" ჩემპიონობის შანსი ჰქონდა, უშუალო კონკურენტებს „ტორპედო" და „ლოკომოტივი" იყვნენ. გული არ გწყდება, რომ ამ გუნდებს გოლი ვერ გაუტანე?**

— კონკურენტებთან მატჩებში მცველების ყურადღება ჩემს მიმართ გაორკეცებული იყო, პერსონალურადაც მეურვეობდნენ. „ტორპედოს" და „ლოკომოტივს" გოლი ვერ გავუტანე, მაგრამ მათ წინააღმდეგ ურიგოდ არ მითამაშია. ეს ფეხბურთია და შემთხვევის ამბავია. 1998-99 წლების სეზონში, როცა „არსენალში" ვთამაშობდი, „ტორპედოს" ჩემპიონატშიც გავუტანე გოლი და თასშიც.

**— „დინამო" ჩემპიონი რომ ვერ გახდა, ლოგიკური იყო?**

— ჩემპიონები რომ გავმხდარიყავით, ჩავთვლიდი, რომ ამ სეზონში რისი მიღწევაც შეიძლებოდა, ყველაფერს მივაღწიე, მაგრამ ასე არ მოხდა. რაც მთავარი იყო, ის ვერ გავაკეთეთ. ძალიან მწყინს, ჩემპიონები რომ ვერ გავხდით. არადა, ამის შანსი მართლაც იყო.

მეორე მხრივ საგაზაფხულო ეტაპისთვის სამ თვეში გაკეთებულ გუნდით, რომელიც ბევრი ახალგაზრდა ახალწვეულით დაკომპლექტდა და ზოგიერთ მათგანს მანამდე უმაღლეს ლიგაში საერთოდ არ ეთამაშა, შეუძლებელი შევძელით.

**— საშუასეზონო პერიოდში კარგად ვერ მოემზადე — მუხლი გაწუხებდა. მერე კოჭის ტკივილიც დაგჩემდა, თუმც ბომბარდირობაც შეინარჩუნე და ეს აღიარებაც გხვდა წილად...**

— მუხლი მართლაც რთულად მქონდა, ოპერაციის გაკეთებაც კი გადავწყვიტე, მაგრამ მერე მკურნალობა ვამჯობინე. კოჭის ტრავმამ კი პლეი ოფის დროს მიწია და ძალიანაც გამაწამა. გადატვირთული კალენდრის გამო დასვენების და მკურნალობის საშუალება არ მქონდა. ბოლო მატჩები მართლაც ცალი ფეხით ვითამაშე. კოჭი ახლაც მაწუხებს, დიდი ხნით ფეხზე ვერ ვჩერდები. სანამ ახალი სეზონისთვის ვარჯიშს შევუდგები, უნდა ვიმკურნალო.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. ალბათ ძალიან გულნატკენი ხარ, ერთხელაც რომ არ გამოგიძახეს.**

— ასეა, ელემენტარულად ერთი შანსი რაა, ისიც არ მომცეს. როცა ბოსკამპი იყო ნაკრების მწვრთნელი, რაღაცას კი მპირდებოდა, საქართველოს კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრების ორმხრივ შეხვედრაში მათამაშა, მაგრამ ის გაუშვეს.

ვთვლი, რომ ნაკრებში გამოძახების ღირსი ნამდვილად ვიყავი, თუ არ მათამაშებდნენ, მწვრთნელებს გამოვეძახებინე მაინც, მით უმეტეს აზერბაიჯანის ნაკრების წინააღმდეგ.

**— საამისო პოტენცია ადრეც გქონდა, თუმც სტაბილურობა აშკარად გაკლდა. მანამდე ალბათ არცთუ სერიოზულად ეკიდებოდი საქმეს.**

— მართალია, რეჟიმს ხშირად ვარღვევდი. ხელისშემშლელი ფაქტორებიც უხვად იყო, მაგრამ ამას არავის ვაბრალებ, ჩემს თავს ვადანაშაულებ. თუმც ისიც უნდა ვთქვა, რომ რუსთავის „გორდაში" ტყუილ-ტყუილით გვათამაშებდნენ და გული აცრუებული მქონდა.

**— ერთი ჩვეულებრივი კითხვაც — თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ოჯახთან ვატარებ, აგრეთვე მეგობრებთან. თუ საჭიროა, დაბადების დღეზეც დავდივარ და ქორწილშიც.

**— სასმელებიდან კი ლუდს ამჯობინებ, არა?**

— ლუდი მართლაც მიყვარს. თითქმის ყოველი თამაშის მერე მივირთმევ. ის ძალების აღდგენისთვისაც კარგია.

*ინტერვიუს ზაზას მეუღლეც ესწრებოდა და ერთი კითხვა მისთვისაც მქონდა შემონახული — როგორია მისი ქმარი თამაშის შემდეგ? მოგებული მატჩის მერე ყველაფერს დიდი სიხარულით აკეთებს, ისედაც გულისხმიერია, მაგრამ გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებულად, ხოლო როცა წააგებს, სჯობს, ცოტა ხანს საერთოდ არ დაელაპარაკოთ, მერე კი ყველაფერი მალე გადაუვლის — გვიპასუხა ტატამ.*

**— თამაშის მერე ისე ხარ დაძაბული, რომ ლუდიც არ გშველის?**

— მატჩის შემდეგ, წავაგებთ თუ მოვიგებთ, ღამე ვერ ვიძინებ. არ ვიცი, რატომ. ალბათ, იმის ბრალია, რომ მთელ თამაშს თავიდან ბოლომდე ვაანალიზებ.

**— ვიცი რომ კომპიუტერიც ძალიან გიყვარს, SONY PLAYSTATION-ს მარჯვედ თამაშობთ...**

— კომპიუტერი მართლაც მიყვარს, თუმც მარტო ფეხბურთს ვთამაშობ.

**— და როცა გუნდთან ერთად ხარ, შენ ოთახშიც მიგაქვს-ხოლმე კომპიუტერი...**

— ხანდახან ასეც ყოფილა, თუმც თამაშის წინა დღეს არა.

**— რომელ გუნდს ირჩევ ხოლმე?**

— ინგლისს და ნიგერიას.

**— რატომ, მათი გულშემატკივარი ხარ?**

— არა, უბრალოდ ვირჩევ და ეგ არის. ისე კი ბრაზილიის ნაკრებს და მადრიდის „რეალს" ვგულშემატკივრობ.

**— როცა საშემოდგომო ეტაპის შემდეგ გკითხე, შეინარჩუნებ თუ არა ბომბარდირობას-მეთქი, მიპასუხე, ვისაც და რაზეც უნდა ამაზე დავენიძლავებიო. ახლა კი მორიგი სეზონი გელის. აპირებ დადო ნიძლავი, რომ ჩემპიონები გახდებით.**

— ვნახოთ, ვის მოიწვევენ გუნდში, დაიწყოს ჩემპიონატი და ნიძლავიც მერე იყოს. ორი აზრი არ არსებობს — მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**— დაბოლოს, რა იყო შენს ცხოვრებაში და საფეხბურთო კარიერაში ყველაზე დიდი გაწბილება და სიხარული?**

— გულგატეხილი ხშირად ვყოფილვარ. პირველ რიგში ბევრი ტყუილით. დიდი გაწბილება იყო, როცა „ფარენსეში" ვთამაშობდი და ვილაცის ხვეწნით იქიდან წამოველი. არადა, პორტუგალიაში კონტრაქტი ხელმოსაწერად გამიმზადეს, მაგრამ შედეგად ხელცარიელი დავრჩი. ამან ძალიან ამიცრუა გული. გაწბილებული დავრჩი მაშინაც, როცა იტალიის ახალგაზრდულ გუნდთან მატჩში რუსთავში მე-20 წუთზე გამომცვალეს.

იყო ასეთი შემთხვევაც — 1997 წლის 13 ნოემბერს ავარიაში მოვყევი, მანქანით ამოვტრიალდი და 15-მეტრიან ხრამში გადავეშვი. ჰოდა, იმ 13 ნოემბერს საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, მეცამეტე პალატაში მომათავსეს, სხვათა შორის, ცამეტ რიცხვში ვარ დაბადებული.

ყველაზე დიდი სიხარული, რა თქმა უნდა, ისაა, ცოლი რომ შევირთე და ლიზა დაიბადა. საფეხბურთო კარიერაში კი პორტუგალიის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში გოლის გატანა და ახლანდელი ამბავი — საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარება.

**დავით თავართქილაძე**



ბადრი კოპილაძის ფოტო

„დინამოს" მეგოლე ზაზა ზირაქიშვილი კოლხ დავით კვირკველიას გაექცა



ბადრი კოპილაძის ფოტო

ზირაქიშვილების ოჯახი: პატარა ლიზა, ზაზა და ტატა

წინდა დიდი მადლობა გიხდით გაზეთ „სარბიელ"
ასეთი გამოკითხვის ჩატარებისთვის და საერთოდ
ობიექტურობისათვის.
ვსარგებლობ შემთხვევით და მილოცავთ
წლის საუკეთესო სპორტულ გაზეთად აღიარებას.
გისურვებთ წარმატებას და წინსვლას
თქვენი ერთგული მკითხველი
ზ. [signature]

# რექსაჩმა ოვერმარსი გამოიცნო

## ესპანეთი

### XXXVII ტური

### ბილბაო 1:3 სოსიედადი

0:1 იანკაუსკასი (29), 1:1 დე პედრო (39), 1:2 ურსაისი (72), 1:3 იდიაკესი (87პ)
ბილბაო: არანსუბია, ალკორტა, ფელიპე (ეჩკერო 46), კარლოს გარსია, ლარაინსარი, ოსკარ ვალესი, ალკისა, ორბაისი (ტიკო 78), ხ. ეჩებერია, ურსაისი, ხავი გონსალესი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ლოპეს რეკარტე, დე პედრო (ფუენტესი 70), ლუის ალბერტო, ხოხლოვი (პიკაბეა 90), ხაბი ალონსო, დე პაულა (ქულიო სეზარი 58), იდიაკესი, იანკაუსკასი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: ხაბი ალონსო, ოსკარ ვალესი, ლორენი, ეჩკერო, ლორენი, ალკორტა, ოსკარ ვალესი, ხაბი ალონსო
გაძევება: ლორენი (58), ოსკარ ვალესი (84), ხაბი ალონსო (85)
33 000 მაყურებელი

### ვალენსია 0:1 დეპორტივო

0:1 მაკაი (68)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, ანგლომა, ალბელდა (ვისენტე 77), ფაბიო აურელიო, ბარახა, აიმარი (ზაჰოვიჩი 73), კარეუ, ხუან სანჩესი (ილიე 65), კილი გონსალესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო (სკალონი 83), ნაიბეტი, კაპდევილა, მაურო სილვა, ფრანი, ვიქტორი, დონატო (სესარი 55), ვალერონი (ემერსონი 51), მაკაი, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: კაპდევილა, ემერსონი, ბარახა, სკალონი
53 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 2:2 ბარსელონა

0:1 გვარდიოლა (3), 1:1 კავიედესი (59), 2:1 ტურიელი (60), 2:2 ოვერმარსი (81)
ვალიადოლიდი: რიკარდო, პაინცე, მარკოსი, გარსია კალვო, ტორეს გომესი, პენა, ჩემა (აროლდ ლოზანო 70), ტურიელი, კამინერო (ფერნანდო სალესი 79), ფერნანდო, კავიედესი (ალბერტო 77)
მწვრთნელი: პეპე მორე
ბარსელონა: დუტრუელი, ფ. დე ბური, სერხი, პუიოლი, გვარდიოლა, კოკუ (ზენდენი 66), ხავი (დე ლა პენია 89), გაბრი, პეტი, რივალდო, კლუივერტი (ოვერმარსი 55)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: გარსია კალვო, სერხი, ოვერმარსი, პაინცე
13 000 მაყურებელი

### ოვიედო 1:1 რეალი

1:0 ხაიმე (10), 1:1 სოლარი (26)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ონოპკო, დანჯუ, ჯ. ტომიჩი, ხაიმე, ივან ანია (რეიესი 46, ხენი 81), გასპარი, ოლი, პაუნოვიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
რეალი: სესარი, სალგადო, რობერტო კარლოსი (სანჩისი 46), კარანკა, ელგერა, ჯერემი, ფლავიო კონსეისაო, სელადესი, სოლარი (სავიო 63), რაული, მუნიტისი (ტოტე 73)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: სელადესი, ოლი, ოლი, მუნიტისი, ელგერა
გაძევება: ოლი (48)
29 000 მაყურებელი

### ალავესი 2:4 მალიორკა

1:0 კარმონა (4), 1:1 ნადალი (5), 1:2 ფინიდი (47), 2:2 ასკოიტია (57), 2:3 ლეო ბიაჯ..ნი (72), 2:4 ეტოო (82)
ალავესი: კიკე, კარმონა, ჯელი, სარიერი, ი. ტომიჩი (გაბანი 74), დესიო, ასტუდილიო, ასკოიტია, მაგნო (ივან ალონსო 59), ხავი მორენო, კრუიფი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
მალიორკა: მიკი, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო (სივიერო 33), ოლაიზოლა, ნადალი, იბაგასა, ფინიდი, მარკოსი, ენგონგა (ლეო ბიაჯინი 64), ეტოო, ლუკე (ნოვო 50)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: კრუიფი, ასკოიტია, ასტუდილიო, სივიერო
12 000 მაყურებელი

### სელტა 1:0 ვილიარეალი

1:0 მოსტოვოი (81)
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ხუანფრანი, ჯოროვიჩი, ჯოვანელა, მოსტოვოი, ხაიო, ედუ (ტომასი 84), გუსტავო ლოპესი (ხესული 46), კატანია (პაბლო 90)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბერუე, კიკე ალვარესი, ხავი გრასია (მოიზესი 90), ესკუდა (კრაიოვეანუ 69), გალვანი, ამორი, ხორხე ლოპესი, ვიქტორი, პალერმო
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: ვიქტორი, კასერესი, ხორხე ლოპესი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ველასკო, პაბლო
გაძევება: ბერუე (90)
29 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 3:2 ლას პალმასი

1:0 არტეაგა (1), 1:1 შურერი (29), 2:1 ტამუდო (31), 3:1 მარტინ პოსე (36), 3:2 ორლანდო (86)
ესპანიოლი: არგესო, როტჩენი, დავიდი (კრისტობალი 78), ლობო, სერხიო, ნავასი, არტეაგა, მორალესი, მარტინ პოსე (ოსკარი 60), ტამუდო, ივან დიასი (ველამასანი 69)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ლას პალმასი: კიკოვიჩი, რამონი, პაკუი, კუესადა, შურერი, ხოსიკო (პაბლო ლაგო 57), მორენო (პაკიტო 69), ხორხე, ელოი (ორლანდო 57), გიარე, ანხელი
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: არტეაგა, რამონი, პაკუი, ხორხე, კუესადა, ლობო
13 800 მაყურებელი

### ოსასუნა 1:0 სარაგოსა

1:0 ხოსუე (61)
ოსასუნა: სანსოლი, იანგუასი, კრუჩაგა, ხოსუე, ხერარდო, ალფონსო (ტრეჩაკი 74), ალექსი, ლეკუმბერი, განსედო, არმენტანო (პალასიოსი 71), ივან როსადო (საბინო 90)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სარაგოსა: ლაინესი, კუარტერო, აგუადო, რებოსიო, პაკო ხემესი, მარტინ ველისკა (გარიტანო 82), ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი (იორდი 78), ხუანელე (მონტენეგრო 72), ქანაიდერი
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: ხუანელე, პაკო ხემესი, განსედო, არმენტანო
19 000 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 2:1 ნუმანსია

0:1 როსუ (24), 1:1, 2:1 ლუის სემბრანოსი (38, 84)
რაიო ვალეკანო: კელერი, მინგო, დე კინტანა, ალკასარი (დანი ბუზასი 70), ბალესტეროსი, მიჩელი, კვედო, ლუის სემბრანოსი, პოშნერი (ივან იგლესიასი 81), ბოლიჩი (მაურო 56), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ნუმანსია: ნუნიესი, ანტია, პაჩეტა, ნაგორე (მარინი 77), როსუ, კულებრასი, ხოსე მანუელი, პირი, ინიგო, რუბენ ნავარო (მანელი 68), ოხედა
მწვრთნელი: სელესტინო ვალეხო
გაფრთხილება: კულებრასი, კვედო, ლუის სემბრანოსი, პირი, პოშნერი, ოხედა, პირი, ხოსე მანუელი, მანელი, ლუის სემბრანოსი
გაძევება: პირი (62), ლუის სემბრანოსი (90)
11 160 მაყურებელი

### მალაგა 2:1 რასინგი

1:0 მუსამპა (25), 2:0 რუფეტე (61), 2:1 მანხარინი (73)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, როტეტა, ფერნანდო სანსი, ლარაინსარი (პატო 80), მოვილია, მუსამპა (აგოსტინიო 67), რუფეტე, დე ლოს სანტოსი, დარიო სილვა (სანდრო 67), დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
რასინგი: სებალიოსი, არსენო, მელბერგი, ჩემა, ხუანმა, ესპინია, მაცონი (პრესიადო 70), ამავისკა, ხაიმე (კოლსა 70), მანხარინი, მაგალიანესი (რეგუერო 48)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: რუფეტე, ამავისკა, როხასი, ჩემა, როტეტა, ხაიმე, არსენო
გაძევება: პატო (90)
13 000 მაყურებელი



ვალიადოლიდი — ბარსელონა სტუმრები პატრიკ კლუივერტის (შუაში) შემცვლელმა იხსნა

**რა მოხდებოდა** კარლოს რექსაჩს 55-ე წუთზე პატრიკ კლუივერტი მარკ ოვერმარსით რომ არ შეეცვალა? ჰოლანდიელი 81-ე წუთზე ვალიადოლიდელ მეკარე ფელიპე რიკარდოს ბურთს თავზე ვერ გადაუგდებდა და „ბარსელონაც“ ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებას გამოეთხოვებოდა.

არადა, ყველაფერი რა კარგად დაიწყო. მეორე წუთზევე ხოსეპ გვარდიოლამ დიდებულად შეასრულა საჯარიმო და „ბარსა“ დაწინაურა. თითქოს ამ გოლით საქმის ნახევარი გაკეთდა, კატალონიელები უკვე იმაზეც ფიქრობდნენ, როგორმე „დეპორტივოს“ ვალენსიაში მოეგო. მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ...

მეორე ტაიმის ორწუთიან მონაკვეთში მასპინძელთა ეკვადორელმა ივან კავიედესმა და ხესუს ანხელ ტურიელმა მეტოქეს თავზარი დასცეს. განსაკუთრებით ლამაზი კავიედესის გოლი გამოდგა, მაკრატელათი შეგდებული.

ამ დროს კი „ხოსე სორილიაზე“ ვალენსიიდან ცნობა მივიდა — „დეპორტივომ“ ნამუსი არ შეირცხვინა და დაწინაურდა. აღვნიშნოთ, რომ კატალონიელებს დახმარების ხელი ჰოლანდიელმა როი მაკაიმ გაუწოდა, რომელმაც რობერტო აიალას შეცდომით ისარგებლა და სანტიაგო კანისარესიც მოატყუა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მაკაის ყოჩაღობის ამბავმა თუ ვალენსიადან ვალიადოლიდში ჩააღწია, პირიქითაც მოხდებოდა, ესე იგი, ექტორ კუპერის გუნდი საკუთარ მარცხზე ყაბულს იყო, ოღონდ „ბარსას“ ვალიადოლიდში არ გაეთანაბრებინა.

მაგრამ კუპერი ბჭობდა და ოვერმარსი იცინოდა, რაზეც თავში უკვე ვთქვით. ფაქტობრივად, რაკი „ვალენსია“ დამარცხდა, „ბარსელონასთვის“ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მოიგებდა თუ ფრედ ითამაშებდა — ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურის ბედი ბოლო ტურის „ბარსელონა“ — „ვალენსიას“ მატჩში გაირკვევა, რომელშიც მასპინძლებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს, „ვალენსია“ კი არწაგებისთვის ითამაშებს. აქ გავიხსენოთ პრიმერადივიზიონის დებულება, რომლის თანახმადაც, თანაბარქულიან გუნდებში უმჯობესი ურთიერთშეხვედრების მიხედვით ვლინდება, ხოლო „ბარსას“ „მესტალიაზე“ მოგებული აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კატალონიელთათვის ბოლო ტურში ანგარიშს მნიშვნელობა აღარ აქვს — ოღონდ მოიგოს.

აი, „ნუმანსიასთვის“ და „რასინგისთვის“ კი სეზონი უკვე დასრულდა.

შეიძლება ითქვას, სანტანდერელებმა თამაში მის დაწყებამდე წააგეს, რაკი მზადების ნაცვლად მთელი კვირა საჩივრების წერაში გაატარეს, რაზეც შაბათს ვრცლად ვილაპარაკეთ და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ესეც რომ არა, საეჭვოა, უეფას თასზე მოხვედრაზე მეოცნებე „მალაგასთან“ „რასინგს“ რამე გამოსვლოდა.

არც „ნუმანსიას“ ერგო ნაკლები მეტოქე, რაკი „რაიო ვალეკანოს“ თავისი პრობლემა ჰქონდა — წააგებდა და დივიზიონში დარჩენა სათუოდ გაუხდებოდა. აღსანიშნავია, რომ „ნუმანსია“ ლაურენტიუ როსუს გოლით დაწინაურდა, მაგრამ ლუის სემბრანოსისგან ორი გაუშვა.

ამათ დღეში იქნებოდა „ოსასუნა“, შინ „სარაგოსასთან“ რომ დამარცხებულიყო. პამპონელები ხოსუემ იხსნა, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო.

ახლა „ოსასუნა“ იმის იმედადაა, რომ ბოლო ტურში უმოტივაციოდ დარჩენილი „სოსიედადი“ სამ ქულას დაუთმობს, ხოლო უშუალო კონკურენტებიდან ან „ვალიადოლიდი“ დამარცხდება „რეალთან“, ან „სარაგოსა“ — „სელტასთან“ ან „ოვიედო“ ვერ მოუგებს „მალიორკას“.

„რეალ სოსიედადი“ ბოლო ტურში უმოტივაციოდ ბილბაოში გამარჯვების შემდეგ დარჩა.

მატჩი ბილბაოში სანსებასტიანელთათვის უიღბლობით დაიწყო, რაკი მე-14 წუთზე ედგარას იანკაუსკასს ოფსაიდის გამო გოლი არ ჩაუთვალეს, თუმცა ლიტველმა თავისი მაინც გაიტანა. ათი წუთიც და ხავიერ დე პედროს ოცდახუთი მეტრიდან გასროლილმა სტუმრებს გამარჯვების რწმენა განუმტკიცა, რაც იმაელ ურსაისის ერთმა საპასუხომ ვერ შეარყია და იჩიგო იდიაკესმა მატჩის მიწურულს პენალტიც მოინადირა. აღვნიშნოთ, რომ თამაშს დაძაბულობა სამმა წითელმა ბარათმაც შემატა.

უეფას თასის ფინალისტი „ალავესი“ ბოლოსწინა ტურის მერე მეათე ადგილამდე დაქვეითდა, თუმცა „მალიორკასთან“ ანგარიში სწორედ მან გახსნა. ეს კაპიტანმა ანტონიო კარონამ მოახერხა მე-5 წუთზე, რამდენიმე წამში კი ნადალმა უპასუხა. ამ ორს კიდევ ოთხი გოლი მოჰყვა, რომელთაგან უმეტესობა მასპინძელთა კარში გავიდა. ამან თავის მხრივ „მალიორკას“ მეორე ადგილზე ასვლის შანსი შეუნარჩუნა.

ალექსანდრ მოსტოვოის 81-ე წუთზე გატანილი პენალტი რომ არა, „სელტას“ მეექვსეობაში, ანუ უეფას თასზე გამსვლელ ადგილში ორი მოცილე ეყოლებოდა. ასე კი „ვალიარეალი“ ჩამოიცილა და კონკურენტად „მალაგა“ დარჩა.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | 37 | 23 | 8 | 6 | 79:39 | 40 | 77 | 18 | 14 | 3 | 1 | 51:14 | 37 | 45 | 19 | 9 | 5 | 5 | 28:25 | 3 | 32 |
| 2 | დეპორტივო | 37 | 21 | 7 | 9 | 69:44 | 25 | 70 | 18 | 14 | 3 | 1 | 40:13 | 27 | 45 | 19 | 7 | 4 | 8 | 29:31 | -2 | 25 |
| 3 | მალიორკა | 37 | 19 | 11 | 7 | 57:41 | 16 | 68 | 18 | 13 | 4 | 1 | 34:17 | 17 | 43 | 19 | 6 | 7 | 6 | 23:24 | -1 | 25 |
| 4 | ვალენსია | 37 | 18 | 9 | 10 | 53:31 | 22 | 63 | 19 | 13 | 1 | 5 | 30:10 | 20 | 40 | 18 | 5 | 8 | 5 | 23:21 | 2 | 23 |
| 5 | ბარსელონა | 37 | 16 | 12 | 9 | 77:55 | 22 | 60 | 18 | 11 | 4 | 3 | 48:22 | 26 | 37 | 19 | 5 | 8 | 6 | 29:33 | -4 | 23 |
| 6 | სელტა | 37 | 16 | 10 | 11 | 50:48 | 2 | 58 | 19 | 11 | 7 | 1 | 31:17 | 14 | 40 | 18 | 5 | 3 | 10 | 19:31 | -12 | 18 |
| 7 | მალაგა | 37 | 16 | 8 | 13 | 60:57 | 3 | 56 | 19 | 10 | 5 | 4 | 34:24 | 10 | 35 | 18 | 6 | 3 | 9 | 26:33 | -7 | 21 |
| 8 | ვილიარეალი | 37 | 15 | 9 | 13 | 54:52 | 2 | 54 | 18 | 8 | 6 | 4 | 29:25 | 4 | 30 | 19 | 7 | 3 | 9 | 25:27 | -2 | 24 |
| 9 | ესპანიოლი | 37 | 14 | 8 | 15 | 46:40 | 6 | 50 | 19 | 9 | 3 | 7 | 25:16 | 9 | 30 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:24 | -3 | 20 |
| 10 | ალავესი | 37 | 14 | 7 | 16 | 57:57 | 0 | 49 | 19 | 10 | 2 | 7 | 34:24 | 10 | 32 | 18 | 4 | 5 | 9 | 23:33 | -10 | 17 |
| 11 | რაიო ვალეკანო | 37 | 10 | 13 | 14 | 56:67 | -11 | 43 | 19 | 7 | 6 | 6 | 30:25 | 5 | 27 | 18 | 3 | 7 | 8 | 26:42 | -16 | 16 |
| 12 | ბილბაო | 37 | 11 | 10 | 16 | 44:57 | -13 | 43 | 19 | 9 | 4 | 6 | 32:25 | 7 | 31 | 18 | 2 | 6 | 10 | 12:32 | -20 | 12 |
| 13 | სოსიედადი | 37 | 11 | 10 | 16 | 52:67 | -15 | 43 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:28 | 0 | 24 | 19 | 5 | 4 | 10 | 24:39 | -15 | 19 |
| 14 | ლას პალმასი | 37 | 12 | 7 | 18 | 41:62 | -21 | 43 | 18 | 9 | 3 | 6 | 19:21 | -2 | 30 | 19 | 3 | 4 | 12 | 22:41 | -19 | 13 |
| 15 | ვალიადოლიდი | 37 | 9 | 15 | 13 | 41:48 | -7 | 42 | 19 | 8 | 9 | 2 | 24:15 | 9 | 33 | 18 | 1 | 6 | 11 | 17:33 | -16 | 9 |
| 16 | სარაგოსა | 37 | 9 | 14 | 14 | 53:56 | -3 | 41 | 18 | 8 | 8 | 2 | 39:22 | 17 | 32 | 19 | 1 | 6 | 12 | 14:34 | -20 | 9 |
| 17 | ოვიედო | 37 | 11 | 8 | 18 | 49:63 | -14 | 41 | 19 | 9 | 6 | 4 | 42:27 | 15 | 33 | 18 | 2 | 2 | 14 | 7:36 | -29 | 8 |
| 18 | ოსასუნა | 37 | 9 | 12 | 16 | 42:54 | -12 | 39 | 19 | 6 | 8 | 5 | 26:25 | 1 | 26 | 18 | 3 | 4 | 11 | 16:29 | -13 | 13 |
| *19* | *რასინგი* | *37* | *9* | *9* | *19* | *45:62* | *-17* | *36* | *18* | *9* | *5* | *4* | *30:21* | *9* | *32* | *19* | *0* | *4* | *15* | *15:41* | *-26* | *4* |
| *20* | *ნუმანსია* | *37* | *9* | *9* | *19* | *38:63* | *-25* | *36* | *18* | *7* | *5* | *6* | *22:24* | *-2* | *26* | *19* | *2* | *4* | *13* | *16:39* | *-23* | *10* |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 22 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 21 |
| რივალდო (ბარსელონა) | 20 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 19 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |

### XXXVIII ტური

17 ივნისი

რასინგი — ბილბაო
დეპორტივო — მალაგა
ბარსელონა — ვალენსია
რეალი — ვალიადოლიდი
მალიორკა — ოვიედო
ნუმანსია — ალავესი
ლას პალმასი — რაიო ვალეკანო
ვილიარეალი — ესპანიოლი
სარაგოსა — სელტა
სოსიედადი — ოსასუნა

## მეორე დივიზიონი

### XLI ტური

### ესტრემადურა 1:1 სევილია

1:0 აგანსო (20), 1:1 ლორენი (61)

### უნივერსიდადი 2:1 ლეგანესი

0:1 მორალესი (35), 1:1 ალბერტო (37), 2:1 ალექსისი (78პ)

### ეიბარი 1:3 სალამანკა

1:0 ბარკერო (52), 1:1 რამოსი (55), 1:2 ტოედტლი (66), 1:3 მარინესკუ (89)

### მურსია 0:1 ელჩე

0:1 ჩანგუი (40)

### ტენერიფე 3:2 ლეიდა

1:0 მისტა (5), 2:0 მარიონი (28), 3:0 მისტა (47), 3:1 ბასავილბასო (76ს.კ.), 3:2 რენალდო (79)

### კორდობა 1:4 ალბასეტე

0:1, 0:2 მიკელი (13, 21), 0:3 ხუანლუ (33), 1:3 მარკოსი (75), 1:4 ხესუსი (90)

### ატლეტიკო 1:0 სპორტინგი

1:0 ლუკე (69)

### ბადახოსი 2:2 ხეტაფე

1:0 ხავი მორო (6), 1:1 პულიდო (45), 2:1 ვილი (63), 2:2 ტრიგო (69)

### ფეროლი 1:1 ლევანტე

1:0 პავლიჩიჩი (8), 1:1 ალბერტ ტომასი (40)

### ბეტისი 1:0 უელვა

1:0 ბელენგერი (80)

### კომპოსტელა 0:0 ხაენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 41 | 22 | 11 | 8 | 64:38 | 77 |
| ბეტისი | 41 | 20 | 12 | 9 | 47:32 | 72 |
| ტენერიფე | 41 | 20 | 11 | 10 | 57:32 | 71 |
| ატლეტიკო | 41 | 20 | 11 | 10 | 58:39 | 71 |
| ალბასეტე | 41 | 18 | 12 | 11 | 44:37 | 66 |
| უელვა | 41 | 15 | 20 | 6 | 44:27 | 65 |
| სპორტინგი | 41 | 17 | 11 | 13 | 53:47 | 62 |
| სალამანკა | 41 | 17 | 8 | 16 | 50:46 | 59 |
| ხაენი | 41 | 15 | 14 | 12 | 37:38 | 59 |
| ლევანტე | 41 | 12 | 21 | 8 | 56:49 | 57 |
| ესტრემადურა | 41 | 16 | 9 | 16 | 40:44 | 57 |
| კორდობა | 41 | 14 | 13 | 14 | 38:41 | 55 |
| ბადახოსი | 41 | 10 | 21 | 10 | 33:36 | 51 |
| ეიბარი | 41 | 11 | 17 | 13 | 29:30 | 50 |
| მურსია | 41 | 12 | 13 | 16 | 51:53 | 49 |
| ლეგანესი | 41 | 9 | 20 | 12 | 45:40 | 47 |
| ფეროლი | 41 | 11 | 14 | 16 | 44:49 | 47 |
| ელჩე | 41 | 10 | 15 | 16 | 43:54 | 45 |
| კომპოსტელა | 41 | 11 | 11 | 19 | 39:63 | 44 |
| *უნივერსიდადი* | *41* | *7* | *15* | *19* | *31:61* | *36* |
| *ხეტაფე* | *41* | *8* | *11* | *22* | *42:64* | *35* |
| *ლეიდა* | *41* | *5* | *12* | *24* | *38:63* | *27* |

## იტალია

### XXXIII ტური

**მილანი 1:1 ბრეშა**

1:0 ხოსე მარი (68), 1:1 ბაჯინი (70)
მილანი: ს. როსი (აბიატი 29), სალა, როკე ჟუნიორი, შამოტა, კოკო, გულიელმინპიეტრო (დაინო 70), პელეგი, გატუზო, ლეონარდო, კომანდინი (ხოსე მარი 65), შევჩენკო
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, დიანა, ა. ფილიპინი, ბიზოლი (კორეა 78), ე. ფილიპინი, ბაჯინი, რ. ბაჯო (გალი 90), უბნერი (ტარე 60)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: პეტრუცი
60 000 მაყურებელი

**ნაპოლი 2:2 რომა**

1:0 ამორუზო (37), 1:1 ბატისტუტა (42), 1:2 ტოტი (52), 2:2 პეკია (82)
ნაპოლი: მანჩინი, ბალდინი, ფრეზი (საბერი 46), კიროგა, ბაჩინი, პეკია, ხუსაინი, იანკულოვსკი, ბოკეტი (ამაური 65), ედმუნდო, ნ. ამორუზო (მორიერო 70)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
რომა: ანტონიოლი, კაფუ, ძებინა, სამუელი, ძაგო, ტომაზი (მონტელა 83), ემერსონი, დი ფრანჩესკო, ტოტი, დელვეკიო (კ. ძანეტი 55), ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფრეზი, დი ფრანჩესკო, პეკია, ბოკეტი
40 000 მაყურებელი

**ლაციო 3:0 ფიორენტინა**

1:0 პიერინი (35ა.კ.), 2:0 კრესპო (44), 3:0 ნეგრო (55)
ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი (პანკარო 28), ფავალი, პობორსკი (გოტარდი 77), დ. ბაჯო, ნედვედი, ხ. ვერონი (სიმეონე 68), კრესპო, კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: დინო ძოფი
ფიორენტინა: ტალიალატელა, მორეტი, პიერინი, ადანი, ბარტოლუჩი, მარკო როსი (კიეზა 46), ბრესანი, დი ლივიო (რუი კოშტა 46), კ. ამორუზო, მასარო (ამარალი 76), ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
30 000 მაყურებელი

**ვიჩენცა 0:3 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (36), 0:2, 0:3 ტრეზეგე (40, 51)
ვიჩენცა: სტერკელე, დიკარა (სომეზე 46), ძანჯი, ტომაში, კარდონე, კროვარი, დაბო (ბერნარდინი 61), ფირმანი, ბეგეტო, ჟუდა, კალონი (ტომიჩი 46)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, იულიანო, მონტერო (ფერარა 80), პარამატი, ძამბროტა, ტაკინარდი, პესოტო, ზიდანი (ბრიგი 85), დელ პიერო, ტრეზეგე (კოვაჩევიჩი 69)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ტომაში, დელ პიერო, კარდონე
18 500 მაყურებელი

**პარმა 1:2 ვერონა**

0:1 ოდო (32პ), 1:1 ამოროზო (68), 1:2 კოსატო (85)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, ფ. კანავარო, ბენარივო, აბია, ლამუში (მიკუ 46), ჟუნიორი, ამოროზო, მბომა (მილოშევიჩი 61), მონტანო (დი ვაიო 35)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, გონელა, სერინიჩი, ჯ. კოლუჩი, იტალიანო (მელისი 61), ლ. კოლუჩი (მაცოლა 73), სალვეტი, მუტუ (კოსატო 70), ადაილტონი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: გონელა, ოდო
15 000 მაყურებელი

**ბარი 1:2 ინტერი**

0:1 რეკობა (35პ), 1:1 ანდერსონი (45პ), 1:2 რეკობა (67)
ბარი: გრეგორი, სიბილანო, ნეჭროიზი, ინოჩენტი, მაცარელი, ბელავისტა (მოჯი 72), დ. ანდერსონი, ლა ფორტეცა (საიდი 57), დელ გროსო (დავანძანტე 81), სპინესი, ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ლელო შანიმანიკო
ინტერი: ბალოტა, ჩირილო, ბლანი, ფერარი, ხ. ძანეტი, კოკუ, იუგოვიჩი (დი ბიაჯო 40), დალმა (ზეედორფი 61), სერენა, ჰაქან შუქური (ვიერი 46), რეკობა
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
9 510 მაყურებელი

**ატალანტა 0:1 უდინეზე**

0:1 მუცი (30)
ატალანტა: პელიცოლი, სივილია (ბელინი 65), კარერა, ლორენცი, ძაური, კ. ძენონი (ნაპი 76), დ. ძენონი, ბერეტა, დონი, მორფეო, როსინი (განცი 46)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, დიასი, პინვი (ელგერა 73), ჯანიკედა, მანფრედინი, ფიორე, სოზა (იაკინტა 61), მუცი (ოიერგენსენი 85)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ბერტოტო, ჯანიკედა, სოტილი, მანფრედინი, დონი
15 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:2 ლეჩე**

0:1 ვუგრინეცი (34პ), 1:1 ხულიო კრუზი (53პ), 1:2 ვიალი (63), 2:2 ხულიო კრუზი (85პ)
ინძაღიმ ვერ გაიტანა პენალტი (89, მეკარე)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია (გამბერინი 46), კასტელინი, ნერვო (ბრიოსკი 40), ოლივე, მარესკა, ვოლპე, ლოკატელი, ჩიპრიანი, სინიორი (ხულიო კრუზი 50)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ლეჩე: კიმენტი, დაინელი, ვიალი, სავინო, ბალერი, ინძაღინი, ჯორჯეტი, კონტიკიო, კოლონელო, ვაზარი (მატეო 65), ვუგრინეცი (ოსორიო 83)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ბია, სინიორი, ვაზარი, ფალკონე, ხულიო კრუზი
გაძევება: დაინელი (43), ფალკონე (89)
22 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:1 რეჯინა**

0:1 ძანჩეტა (31), 1:1 მატერაცი (62პ)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორენტო, ბლაზი, ჯოვანი ტედესკო (ანი 54), ლივერანი (ცინაზუ 82), ბაიოკო, პიერი, საუდატი (რობიატი 50), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, ვარგასი, სტოვინი, ვიკარი (და კოშტა 72), ბრევი, მამედე, ძანჩეტა (კოცა 74), მორაბიტო, დიონიჯი, მარაცინა
გაფრთხილება: ძანჩეტა, მორაბიტო, ოშადოგანი, პიერი
18 000 მაყურებელი

# გაყიდე, მოჯი, გაყიდე!


REUTERS ნაპოლიდან

ნაპოლი — რომა. მასპინძელი ფაუნდო კიროგა მარკო დელვეკიოს შესაჩერებლად მიფრინავს

**გადაიდო** — ასეთია პირველი რეაქცია. იქნებ სულაც ჩაიშალა? — ასეთია პატარა ეჭვი. „რომამ“ ნეაპოლში ვერ მოიგო და ამაზეა ლაპარაკი. რომ მოეგო, იტალიის ჩემპიონის ვინაობა გარკვეული იქნებოდა.

„ბოლო ტურში სკუდეტოს მოპოვება სამ გუნდს შეუძლია, მაგრამ ჩვენ მაინც უკეთეს მდგომარეობაში ვართ“ — განაცხადა ნეაპოლის „სან პაოლოს“ საპრესკონფერენციო დარბაზში გალიზიანებულმა ფაბიო კაპელომ — „მე ველაპარაკე ფეხბურთელებს. ისინი მშვიდად არიან. თითოეული მათგანი ზეიმისთვის იყო მზად, ახლა კი დაბლა დაშვება და მიწაზე ფეხით დადგომა მოუწევთ“.

37-ე წუთი იდგა, როდესაც ნიკოლა ამორუზომ სიღრმიდან პასი მიიღო. ვალტერ სამუელის წამიერი პოზიციური შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

„ნაპოლიმ“ თავდადებით ითამაშა და მოედნის შუაში ძალიან ძლიერი გახლდათ“ — თქვა კაპელომ.

შემდეგ კი გაბრიელ ბატისტუტამ გაათანაბრა. მარცხნიდან ჩაწოდებულ კუთხურს ყველაზე უკეთ აუღო ალღო, ბურთს ზუსტად იქ დახვდა, სადაც გოლის გასატანად ყველაზე მეტად იყო საჭირო და — 1:1.

მეორე ტაიმში, მე-7 წუთზე, ფრანჩესკო ტოტიმ მასპინძელთა საჯარიმოში მკერდით მიიღო ბურთი და დაუშვებლად, ნახევარბრუნით დაარტყა — 1:2.

„პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, შესვენების შემდეგ კი პრობლემა ფაქტობრივად აღარ გვქონია. მომენტებიც შევქმენით და უეჭველი გამარჯვების მოპოვებაც იოლად შეგვეძლო“ — დასძინა კაპელომ.

მაგრამ, სხვა რამ მოხდა: ამორუზო ისევ გაიჭრა მეტოქის კარისკენ, ვალტერ სამუელმა უკნიდან წაართვა ბურთი, მსაჯმა კი ჯარიმა დანიშნა. საჯარიმო ფაბიო პეკიამ დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა.

„ჩემპიონობა ხელში გვქონდა, ახლა კი დაცდა მოგვიწევს. ჩვენს ბოლო მეტოქეს, „პარმას“, ამ დღეებში იტალიის თასის ფინალი აქვს „ფიორენტინასთან“ სათამაშო. იმედი მაქვს დაიღლება“ — აცხადებს კაპელო.

„იუვენტუსმა“ კი, ამასობაში, „ვიჩენცაში“ დაამარცხა და „რომას“ ორ ქულამდე მიუახლოვდა.

„ისევ გვაქვს ჩემპიონობის შანსი, რისაც, „რომასთან“ ფრის შემდეგ თითქმის აღარავის სჯეროდა. მართლაც, გარწმუნებთ, იმ ხსენებული ფრის შემდეგ სულ ერთი-ორი გუნდი თუ მოიკრებდა ძალას ბრძოლის ასე გასაგრძელებლად. მაგრამ, დახეთ, რა ხდება: წინა სეზონში ჩემპიონობისთვის 70 ქულა არ გვეყო, ახლა შესაძლოა, მეტი, 73 ქულაც არ გვეყოს. დიდებული სეზონის მიუხედავად ჩვენი ბედი „სტადიო ოლიმპიკოზე“ უნდა გადაწყდეს“ — ბრძანებდა მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი.

ცნობისთვის, კარლო ანჩელოტის იმ დღეს დაბადების დღე ჰქონდა, თუმცა კატეგორიულად უარყო, რომ ფეხბურთელებმა მისი გულისთვის ითამაშეს კარგად.

„გუნდმა კარგად საკუთარი თავისთვის, ქომაგებისთვის და ჩემპიონობის იმედის შესანარჩუნებლად ითამაშა“.

ბუნებრივია, საუბარი ბოლო ტურსაც შეეხო, უფრო ზუსტად კი „პარმას“, რომელიც „რომას“ ხვდება და შესაბამისად „იუვენტუსის“ ხსნა შეუძლია.

— რას ურჩევდით „პარმას“? — ჰკითხეს ანჩელოტის.

— მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრონ. მომავალ კვირას „სტადიო ოლიმპიკოზე“ სრული კომმარი იქნება. ეტყობა, ჩემი ბედია: ბოლო ტურში, სკუდეტოს ბედის გადაწყვეტაში ჩემი ცხოვრების ყველა გუნდი მონაწილეობს.

ბოლოს კი სიტყვა ნიკოლა ამორუზოს და ფაბიო პეკიას შეეხო. ეს, ის მოთამაშეები გახლავან, რომლებმაც ნეაპოლში „რომას“ კარში ორი გოლი შეაგდეს და ლიდერს ორი საჩემპიონო ქულა დააკარგვინეს. ორივენი ყოფილი იუვენტუსელები გახლავან.

„მაგას არ ვეუბნებოდი, ლუჩანო მოჯის („იუვენტუსის“ გენერალურ მენეჯერს), რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელები გაყიდე, გამოგვადგებიან-მეთქი?“ — იხუმრა ანჩელოტიმ.

სკუდეტოს კიდევ ერთმა მაძიებელმა და ჯერ კიდევ იმედიანმა „ლაციომ“ „ფიორენტინას“ 3:0 მოუგო. ამ მატჩში საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის მებრძოლმა თავდამსხმელმა ერნან კრესპომ სეზონში თავის 25-ე გოლი გაიტანა.

თუმცა ანგარიში „ფიორენტინას“ მცველმა, ალესანდრო პიერინიმ ავტოგოლით გახსნა, კრესპოს წარმატება კი ამის შემდეგ იყო: ზედ შესვენების წინ კლაუდიო ლოპესის პასით შეაგდო არგენტინელმა. მესამე გოლი კი მეორე ტაიმის მე-10 წუთზე მცველმა პაოლო ნეგრომ გაიტანა.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „პარმა“ და „ფიორენტინა“ ამ კვირაში იტალიის თასის საპასუხო შეხვედრაში ხვდებიან ერთმანეთს და ამიტომ, მათგან ძალის დაზოგვა და მარცხი გასაკვირი არ უნდა იყოს.

თუმცა, „პარმაზე“ ამბობენ, რომ...

**ბაბუნა ძიდია**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 33 | 21 | 9 | 3 | 65:32 | 33 | 72 | 16 | 11 | 5 | 0 | 30:13 | 17 | 38 | 17 | 10 | 4 | 3 | 35:19 | 16 | 34 |
| 2 იუვენტუსი | 33 | 20 | 10 | 3 | 59:26 | 33 | 70 | 16 | 10 | 5 | 1 | 30:12 | 18 | 35 | 17 | 10 | 5 | 2 | 29:14 | 15 | 35 |
| 3 ლაციო | 33 | 21 | 6 | 6 | 64:34 | 30 | 69 | 17 | 13 | 2 | 2 | 36:13 | 23 | 41 | 16 | 8 | 4 | 4 | 28:21 | 7 | 28 |
| 4 პარმა | 33 | 16 | 8 | 9 | 50:28 | 22 | 56 | 17 | 9 | 4 | 4 | 32:12 | 20 | 31 | 16 | 7 | 4 | 5 | 18:16 | 2 | 25 |
| 5 მილანი | 33 | 12 | 13 | 8 | 55:44 | 11 | 49 | 17 | 9 | 6 | 2 | 35:20 | 15 | 33 | 16 | 3 | 7 | 6 | 20:24 | -4 | 16 |
| 6 ინტერი | 33 | 13 | 9 | 11 | 45:46 | -1 | 48 | 16 | 8 | 6 | 2 | 25:18 | 7 | 30 | 17 | 5 | 3 | 9 | 20:28 | -8 | 18 |
| 7 ატალანტა | 33 | 10 | 14 | 9 | 37:32 | 5 | 44 | 17 | 4 | 9 | 4 | 16:14 | 2 | 21 | 16 | 6 | 5 | 5 | 21:18 | 3 | 23 |
| 8 ფიორენტინა | 33 | 10 | 13 | 10 | 52:50 | 2 | 43 | 16 | 8 | 4 | 4 | 31:23 | 8 | 28 | 17 | 2 | 9 | 6 | 21:27 | -6 | 15 |
| 9 ბოლონია | 33 | 11 | 10 | 12 | 48:51 | -3 | 43 | 17 | 9 | 4 | 4 | 26:22 | 4 | 31 | 16 | 2 | 6 | 8 | 22:29 | -7 | 12 |
| 10 პერუჯა | 33 | 10 | 12 | 11 | 48:51 | -3 | 42 | 17 | 6 | 7 | 4 | 26:21 | 5 | 25 | 16 | 4 | 5 | 7 | 22:30 | -8 | 17 |
| 11 ბრეშა | 33 | 9 | 14 | 10 | 41:41 | 0 | 41 | 16 | 6 | 7 | 3 | 19:15 | 4 | 25 | 17 | 3 | 7 | 7 | 22:26 | -4 | 16 |
| 12 უდინეზე | 33 | 11 | 5 | 17 | 47:56 | -9 | 38 | 16 | 7 | 2 | 7 | 30:27 | 3 | 23 | 17 | 4 | 3 | 10 | 17:29 | -12 | 15 |
| 13 ლეჩე | 33 | 7 | 13 | 13 | 38:53 | -15 | 34 | 16 | 5 | 5 | 6 | 23:29 | -6 | 20 | 17 | 2 | 8 | 7 | 15:24 | -9 | 14 |
| 14 რეჯინა | 33 | 9 | 7 | 17 | 30:48 | -18 | 34 | 16 | 7 | 4 | 5 | 15:16 | -1 | 25 | 17 | 2 | 3 | 12 | 15:32 | -17 | 9 |
| 15 ვერონა | 33 | 9 | 7 | 17 | 38:58 | -20 | 34 | 16 | 8 | 4 | 4 | 24:24 | 0 | 28 | 17 | 1 | 3 | 13 | 14:34 | -20 | 6 |
| 16 ვიჩენცა | 33 | 8 | 9 | 16 | 34:49 | -15 | 33 | 17 | 6 | 5 | 6 | 19:21 | -2 | 23 | 16 | 2 | 4 | 10 | 15:28 | -13 | 10 |
| 17 ნაპოლი | 33 | 7 | 12 | 14 | 33:50 | -17 | 33 | 17 | 5 | 7 | 5 | 22:22 | 0 | 22 | 16 | 2 | 5 | 9 | 11:28 | -17 | 11 |
| *18 ბარი* | *33* | *5* | *5* | *23* | *30:65* | *-35* | *20* | *17* | *5* | *2* | *10* | *22:31* | *-9* | *17* | *16* | *0* | *3* | *13* | *8:34* | *-26* | *3* |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კრესპო (ლაციო) | 25 |
| შევჩენკო (მილანი) | 24 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 22 |
| ბატისტუტა (რომა) | 19 |
| ვიერი (ინტერი) | 17 |

**XXXIV ტური**

17 ივნისი

იუვენტუსი — ატალანტა
ბრეშა — ბარი
ინტერი — ბოლონია
ლეჩე — ლაციო
რეჯინა — მილანი
ფიორენტინა — ნაპოლი
რომა — პარმა
ვერონა — პერუჯა
უდინეზე — ვიჩენცა

## სერია B

### XXXVIII ტური

**ანკონა 1:1 ჩიტადელა**

1:0 სტაფონელი (18), 1:1 დე გასპერი (22)

**კოზენცა 3:1 რავენა**

1:0 პიზანო (10), 1:1 ბაკიტო (71), 2:1 სტრადა (87), 3:1 მუსაჩო (89)

**ჯენოა 2:0 კალიარი**

1:0 ფრანჩიოზო (77), 2:0 მუტარელი (80)

**მონცა 3:1 პისტოიეზე**

1:0 დეგანო (30), 2:0 განზი (52), 3:0 დეგანო (55), 3:1 ბიცარი (85პ)

**პესკარა 2:2 სამპდორია**

0:1 მარკოლინი (16), 1:1 პალადინი (51), 1:2 ლუიზო (56), 2:2 რომანო (77პ)

**პიაჩენცა 1:1 ტრევიზო**

0:1 ა. ლუკარელი (9ს.კ.), 1:1 პოოვანი (88პ)

**სალერნიტანა 0:2 ტორინო**

0:1 მასპერო (23), 0:2 არტისტიკო (41)

**სიენა 1:1 კიევო**

0:1 კორადო (58), 1:1 სკალცო (73)

**ტერნანა 0:0 კროტონე**

**ვენეცია 2:2 ემპოლი**

0:1 იაკობინი (11), 1:1 ბრივიო (21პ), 2:1 ბაცანი (26), 2:2 იაკობინი (31)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორინო | 38 | 22 | 7 | 9 | 48:33 | 73 |
| პიაჩენცა | 38 | 20 | 10 | 8 | 48:26 | 70 |
| კიევო | 38 | 19 | 13 | 6 | 54:34 | 70 |
| ვენეცია | 38 | 19 | 12 | 7 | 62:43 | 69 |
| სამპდორია | 38 | 16 | 16 | 6 | 60:38 | 64 |
| ემპოლი | 38 | 18 | 10 | 10 | 52:43 | 64 |
| ტერნანა | 38 | 16 | 14 | 8 | 59:38 | 62 |
| კოზენცა | 38 | 17 | 9 | 12 | 49:46 | 60 |
| კროტონე | 38 | 15 | 8 | 15 | 47:53 | 53 |
| ანკონა | 38 | 14 | 9 | 15 | 56:58 | 51 |
| კალიარი | 38 | 12 | 14 | 12 | 53:45 | 50 |
| ჯენოა | 38 | 10 | 17 | 11 | 44:39 | 47 |
| სიენა | 38 | 10 | 17 | 11 | 38:43 | 47 |
| ჩიტადელა | 38 | 10 | 15 | 13 | 40:52 | 45 |
| სალერნიტანა | 38 | 11 | 10 | 17 | 37:42 | 43 |
| პისტოიეზე | 38 | 10 | 11 | 17 | 46:51 | 41 |
| ტრევიზო | 38 | 8 | 12 | 18 | 40:56 | 36 |
| მონცა | 38 | 9 | 4 | 25 | 41:77 | 31 |
| *რავენა* | *38* | *4* | *13* | *21* | *33:64* | *25* |
| *პესკარა* | *38* | *3* | *13* | *22* | *30:56* | *22* |

## სერია C1A

პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი
**ლივორნო 0:0 კომო**

*საპასუხო მატჩი გაიმართება 17 ივნისს, გამარჯვებული ალზევლება სერია B-ში*

## სერია C1B

პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი
**კატანია 1:1 მესინა**

*საპასუხო მატჩი გაიმართება 17 ივნისს, გამარჯვებული ალზევდება სერია B-ში*

# ცარიელი ბოთლების ზღვაში



REUTERS ნეაპოლიდან

ნეაპოლის „სან პაოლოზე“ მატჩის დროს

ცხადია, ასე იქნებოდა: პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა და ამან ცოტა უშველა, თორემ ნეაპოლის „სან პაოლოზე“ 14 ადამიანზე მეტი დაშავდებოდა.

თავიდან გაზის ყუმბარები A ტრიბუნაზე ჩააგდეს — ეს ის ბოლოა, სადაც „ნაპოლის“ შეღებილ დროშიანი ქომაგები იკრიბებიან და როცა გაავდებიან, იმდღევანდელის მსგავსად, ბოთლებს, ქვებს და კიდევ რაღაცეებს ისვრიან მინდორზე.

ნეაპოლის პოლიციის განცხადებით, ერთი რომაელი გულშემატკივარი თითის გარეშე დარჩა. რამდენიმე დაჭრეს, მაგრამ საბედნიეროდ, ჭრილობები სერიოზული არ გამოდგა. ეს სტადიონს გარეთ მოხდა. დანარჩენმა დედაქალაქელებმა სამხრეთი მატარებლის მსხვრევა-მტვრევით დატოვეს.

კიდევ, ნეაპოლელმა გიჟმაჟებმა „სან პაოლოს“ მიმდებარე ავტოსადგომზე ცეცხლი გააჩაღეს. დაიწვა პოლიციის ერთი და მოქალაქეთა რამდენიმე მანქანა. დალეწეს შორიახლო მდგომი ავტობუსების მინებიც. „რომას“ ავტობუსს, ქვა სწორედ იმ ფანჯარასთან მოხვდა, სადაც მწვრთნელი, ფაბიო კაპელო იჯდა.

საბოლოოდ, დაშავდა 13 კარაბინიერი, 25 პოლიციელი, „წითელი ჯვრის“ 4 წარმომადგენელი, 25 ქომაგი აქეთ-იქიდან და დანარჩენიც უბრალო გამვლელი.

დააპატიმრეს 16 ხულიგანი, უმეტესად ცეცხლის წამკიდებლები, რომელთაგან 6 ბავშვი იყო და ისინი შინ გაუშვეს.

დედაქალაქში კი ამ დროს სან ჯოვანის მოედანზე შეკრებილ დაახლოებით 180 ათას ადამიანს დაწყდა გული. მოედანზე დამონტაჟებულ სამ გიგანტურ ტელევიზორში კარგად ჩანდა, როგორ გაუხერხა „ნაპოლიმ“ მათ გუნდს ფრე.

როდესაც ნეაპოლელმა ფაბიო პეკიამ ანგარიში გაქვითა, რომაელთა ერთმა ჯგუფმა მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ლანძღვა დაიწყო, ბევრმა დროშებს ცეცხლი წაუკიდა და გამწარებული წავიდა, ბევრიც კოკა-კოლის გამოცლილ ბოთლთა ზღვაში ჩარჩა გონს მოსაგებად.

ექსცესი არ მომხდარა, თუმცა სამედიცინო დახმარების მანქანები მზად იყო. სხეულის ერთადერთი დაზიანება მაშინ მოხდა, როდესაც პეკიას გოლის შემყურე რომაელი ლამპიონიდან ჩამოვარდა. ორმოცამდე ადამიანს სიცხეში გული შეუღონდა.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS რომიდან

რომის სან ჯოვანის მოედანზე მატჩის შემდეგ

# რა უნდა ამ კორბელის?

ერთი უცნაური ამბავი მიმოვიხილოთ: პირველი ოქტომბერი იდგა იტალიაში ჩემპიონატი რომ დაიწყო. 17 ივნისს ანუ უახლოეს კვირა დღეს ის დამთავრდება და სკუდეტოს მფლობელსაც დაასახელებს, მაგრამ ვერაფერს მოუხერხებს ფაქტს — „ვერონამ“ სეზონის განმავლობაში, სტუმრად ერთადერთი შეხვედრის მოგება შეძლო. ბოლო ტურში ის „პერუჯას“ მასპინძლობს, ასე რომ, აღარაფერი შეიცვლება.

დიახ, იმ „ვერონამ“, რომელიც ხსენებული ბოლო ტურის წინ ქვემოდან მეოთხე ანუ მაინც გასავარდნ ადგილზეა, გუშინწინ სტუმრად პირველი გამარჯვება იზეიმა — პარმაში „პარმა“ დაამარცხა. ცხადია, ასეთმა შედეგმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უფრო სწორედ, თამაში ჯერ ჩატარებული არ გახლდათ, იტალიელები ეჭვობდნენ: „პარმას“ ჩემპიონთა ლიგაში გასვლა გარანტირებული აქვს, ჩემპიონატში აღარაფერი აინტერესებს, ერთადერთი, თასის ფინალი აქვს სათამაშო, ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ ეს გუნდი „ვერონას“ თამაშს დაუთმობს?

ყველაზე მეტად ამ თემაზე ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „ნაპოლის“ პრეზიდენტი, კორბელი ლაპარაკობდა. მან გაიხსენა, რომ „ვერონას“ პრეზიდენტი პასტორელო რამდენიმე წლის წინ „პარმაში“ მუშაობდა, მაგრამ ამის გაგონებაზე ვერონელთა მწვრთნელმა პეროტიმ ხელები გაშალა:

„ვერაფერი გავიგე კორბელის ნათქვამიდან. მატჩი ტელევიზიით გადაიცა და, ალბათ, ყველამ ნახა, რომ უცნაური არაფერი მომხდარა. „პარმამ“ პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ითამაშა, მეორეში კი საგრძნობლად გამოფხიზლებული გავიდა მოედანზე და დიდი პრობლემებიც შეგვიქმნა. მათ რამდენიმე ჩინებული საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ჩვენმა მეკარე, ფერონმა საუცხოოდ ითამაშა. შემდეგ, როგორც თავად ნახეთ, პარმელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, ოღონდ ჩვენთვის გამარჯვებას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და შეხვედრის მიწურულს მაინც გავიტანეთ. ახლა, ბოლო ტურში, „პერუჯას“ დამარცხებაც გვმართებს და შემდეგ სხვათა შედეგებზე ვიქნებით დამოკიდებული. არც იმას გამოვრიცხავ, საქმე პლეი ოფამდე რომ მივიდეს“.

ვერონელთა მცველი ოდო: „ვგონებ, ჩვენ მხოლოდ გაგვიმართლა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. შესვენების შემდეგ ხომ „პარმა“ გამოცოცხლდა და თხუთმეტი საგოლე მომენტი შექმნა ჩვენს კართან. ჩვენ მხოლოდ ოთხი მომენტი გვქონდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ორი გავიტანეთ, მათ კი ერთი“.

პარმელთა მწვრთნელი, რენცო ულივიერი კი მატჩისშემდგომ პრეს კონფერენციაზე ძალიან დაღონებული მივიდა და „ნაპოლის“ პრეზიდენტის ეჭვებს კატეგორიული პასუხი გასცა: „მე მწვრთნელი ვარ და პასუხს ჟურნალისტებსა და კოლეგებს ვცემ, კლუბების პრეზიდენტებთან კი საქმე არ მაქვს. ვერ გავიგე რას ნიშნავს „უცნაური შედეგი“, კორბელის რომ დაუჩემებია. ჩვენ იმიტომ დავმარცხდით, რომ ბურთი კარში ვერ შევაგდეთ, არადა, რამდენიმე შესაძლებლობა გვქონდა. კარგი იქნებოდა ყურადღება იმაზეც გაგვემახვილებინა, რომ იძულებული შევიქენი მეორე ტაიმში მოედანზე შემეშვა ხალხი, რომელთა დასვენებაც მსურდა. რამდენიმე დღეში ხომ ფლორენციაში თასის ფინალის საპასუხო შეხვედრა გველის. და ბოლოს, როდესაც ჩემი გუნდი მარცხდება, უბრალოდ ვერ ვიტან. ვინც თამაში ნახა, იცის, რომ ჩვენ მოგება გვეწადა“.

შემდეგ ულივიერის მომდევნო კვირას, რომში ჩასატარებელ შეხვედრაზეც ჰკითხეს. პასუხი ასეთი გახლდათ: „ამ წუთას მხოლოდ „ფიორენტინაზე“ ვფიქრობ, სხვა არაფერი მაინტერესებს. ამის შემდეგ კი შევეცდები რომში გუნდი იმაზე უკეთესად ვათამაშო, ვიდრე დღეს იხილეთ“.

**ბაჩუნა ძიძია**



გუსტავო პოიეტი და გლენ ჰოდლი

# მოდი ჩემთან, სანამ დროა!

## ჰოდლი ძველ ბიჭებს აგროვებს

პრემიერლიგა ისვენებს, თუმცა „ტოტენჰემის“ ახალი მწვრთნელი გლენ ჰოდლი შვებულების გამოყენებას არ აპირებს და სასურველი მოთამაშეების ყიდვითაა დაკავებული.

პირველი იყო 35 წლის ტედი შერინგემი, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ უფასოდ გადმოყვანილი; მერე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ 27 წლის მცველი გორან ბუნიევჩევიჩი შეიძინეს 5 მილიონ გირვანქად (სერბი ამჟამად ბრიტანეთში მუშაობის უფლებას ელის) და აი, წინა უქმეებზე ჰოდლმა ურუგვაელი გუსტავო პოიეტი დაითანხმა და მილიონნახევრად შეფასებული 33 წლის ჩელსელი ნახევარმცველი ლონდონის სამხრეთ-დასავლეთიდან ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გადაიყვანა.

„ვიცოდი, რომ კლაუდიო რანიერის მომავალ გეგმებში ჩემი ადგილი აღარ იყო, ამიტომ „ჩელსიდან“ წასვლა გადავწყვიტე. იყო „ლივერპულის“ ვარიანტიც, თუმცა ოჯახის წევრებთან მოთათბირების შემდეგ ლონდონში დარჩენა ვამჯობინე“ — თქვა პოიეტმა და „ჩელსის“ ყველა გულშემატკივარს მადლობა გადაუხადა, აქ ოთხი ჩინებული სეზონი გავატარე და თქვენ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდიო. საინტერესოა, რომ თასების თასის ორგზის მფლობელმა (ჯერ „სარაგოსას“, მერე კი „ჩელსის“ რიგებში) პოიეტმა წლეულს გატანილი 12 გოლიდან ბოლო სწორედ „უაით ჰართ ლეინზე“, „ტოტენჰემის“ კარში გაიტანა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საკვირველი ისაა, „ტოტენჰემში“ მოსვლის დღიდან ჰოდლი იმას რომ ამბობდა, აწი აქცენტი ახალგაზრდებზე უნდა გავაკეთოთო და ამ დროს ვეტერანებს ყიდულობს. ამას „ჩელსის“, ინგლისის ნაკრებისა და „საუთჰემპტონის“ ყოფილი მწვრთნელი ასე ხსნის: „დიახ, ახალგაზრდები გვჭირდება, მაგრამ მათ ხომ ვიღაცისგან უნდა ისწავლონ სწორი თამაში, ტედისა და გუსტავოს გამოცდილება კი ამ მხრივ მართლაც მისწრებაა. თან ორივეს გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს. საერთოდ, ასაკს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. აგერ, 37 წლის მაკალისტერი როგორ წაადგა „ლივერპულს“. თავის დროზე, როცა „ჩელსის“ მწვრთნელად დავინიშნე, გუნდში რუუდ გულიტი და მარკ ჰიუზი მოვიყვანე და ამან გაამართლა კიდეც. მათ გვერდზე ჭაბუკებმა ბევრი რამ ისწავლეს“.

და კიდევ: გუსტავო პოიეტი „ტოტენჰემის“ გულშემატკივრებისთვის, შეიძლება ითქვას, შინაური კაცია — მისმა „სარაგოსამ“ ხომ 1995 წლის თასების თასის ფინალში „მამლების“ დაუძინებელი მტერი „არსენალი“ დაამარცხა და ამაში დიდი წვლილი ურუგვაელმა შეიტანა. მანამდე არგენტინულ „რივერ პლეიტში“ და ფრანგულ „გრენობლში“ მოთამაშე გური (მისი მეტსახელია) ამ გამარჯვებიდან ორი წლის მერე „ჩელსიში“ გადავიდა და მას მერე პრემიერლიგას არ მოსცილებია. როგორც ჩანს, ფეხბურთელის კარიერასაც სწორედ იქ დაამთავრებს.

**გიგა ძოწაძიძე**



# ძრწოდე, მანჩესტერო!

## მაკლარენი მოდის

წინა კვირაში ვწერდით, „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე სტივ მაკლარენი დღე-დღეზე ოფიციალურად ჩაიბარებს „მიდლსბროს“, რომელსაც ბრაიან რობსონი ტოვებსო. ეს დღე გუშინ დადგა და მაკლარენი მუშაობას შეუდგა. მისი კონტრაქტი ხუთწლიანია და ახალგამომცხვარი მწვრთნელი ჯამში შვიდ მილიონ დოლარს მიიღებს.

„დადგა დრო, როცა ჩემს ცხოვრებაში რაღაც უნდა შეცვლილიყო — თქვა მაკლარენმა — და ამის შესაძლებლობა „მიდლსბროს“ ხელმძღვანელობამ მომცა“.

სტივ მაკლარენი „მანჩესტერიდან“ ნაწყენი წავიდა. საქმე ისაა, რომ ერთი წლის შემდეგ, როცა ალექს ფერგიუსონი კლუბს დატოვებს, მას სერ ალექსის ადგილის დაკავება სურდა. „სერ ალექსს არაერთხელ უთქვამს, რომ თავის მემკვიდრედ მივაჩნივარ, მაგრამ კლუბი ჩემი კანდიდატურის განხილვას არ აპირებს და კვლავაც თანაშემწედ ყოფნა არ მსურს. ვეცდები, „მიდლსბროში“ დავამტკიცო, რომ „იუნაიტედი“ ცდება“ — ჩივილში მუქარა გამოურია მაკლარენმა, რომელიც „მანჩესტერში“ ორი წლის წინ „დერბი ქაუნთიდან“ მივიდა.

მაკლარენის წასვლას გული დაუწყვეტია მანჩესტერელი ფეხბურთელებისთვის. იაპ სტამმა თქვა, ჩვენს ბოლოდროინდელ წარმატებებში მისი წვლილიც დიდიაო. რაიან გიგზმა იგივე გაიმეორა და დაუმატა, ეჭვიც არ მეპარება, რომ მაკლარენის ცოდნა დიდად წაადგება მის ახალ კლუბსო.

**გიორგი დარჯანია**

## კონფედერაციათა თასი



REUTERS

# ფრანგები ამომავალი ფეხბურთის ქვეყანაში

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**ავსტრალია 1:0 ბრაზილია**

1:0 მერფი (84)
ავსტრალია: შვარცერი, ტ. ვიდმარი, პოპოვიჩი, სკოკო (ბრეშიანო 61), ლაზარიდისი, ზდრილიჩი, შ. მერფი, ს. პორვატი, კორიცა (სტეროივსკი 61), ჩიპერფილდი, ზანე
მწვრთნელი: ფრენკ ფარინა
ბრაზილია: დიდა, ზე მარია, ედმილსონი, ვამპეტა, კარლოს მიგელი (ბაპტისტა 66), კასაპა, ლეო, ფაბიო (ლეანდრო 90), რამონი, ვაშინგტონი, მაგნო ალვეში
მწვრთნელი: ემერსონ ლეაო
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
28 520 მაყურებელი

**ფინალი**

**იაპონია 0:1 საფრანგეთი**

0:1 ვიეირა (29)
იაპონია: კავაგუჩი, მაცუდა, მორიოკა, კ. ნაკატა, ინამოტო (ა. მიურა 46), იტო, ტოდა, ჰატო, ონო (კუბო 60), მორიშიმა, ნიშიზავა (ნაკაიამა 74)
მწვრთნელი: ფილიპ ტრუსიე
საფრანგეთი: რამე, ლიზარაზუ, დესაი, ლებეფი, კარამბეუ, ვიეირა, ჯორკაეფი (კარიერი 65), პირესი, მარლე (რობერი 58), ანელკა, ვილტორდი
მწვრთნელი: როჟე ლემერი
მსაჯი: ალი მოჰამედ ბუჯსაიმი (საამიროები)
65 335 მაყურებელი

**კონფედერაციის** თასის წლევანდელი გათამაშებაც გასრულდა.

გასრულდა ისევე მშვიდად და უსენსაციოდ, როგორც ამ რანგის ტურნირს შეეფერება. რვა ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ძალები მოსინჯა, მათგან ზოგმა წაივარჯიშა, ზოგი მოითელა, ზოგმაც მთელი ჯიგრით ითამაშა. თასს ფრანგები დაეუფლნენ. კვირას მოპოვებული ჯილდო სამფეროვანთათვის ზედიზედ მესამე სანაკრებო ტიტულია. აქამდე ასეთი რამ მხოლოდ ბრაზილიელებს მოეხერხებინათ. ფრანგთა მიერ წინა კვირას ნახევარფინალში ძლეული და 1998 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალში შერცხვენილი ტეტრაკამპეონები 1997 წელს მსოფლიოს ჩემპიონების რანგში საკუთარი კონტინენტისა და კონფედერაციათა თასის გათამაშების ტრიუმფატორებიც გახდნენ. ფრანგებმაც იგივე შეძლეს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობას კონფედერაციათა თასიც მიუმატეს და ბოლო ოთხი წლის მანძილზე დაუმარცხებელნი, წინსვლას განაგრძობენ.

როჟე ლემერი, ფრანგთა მწვრთნელი რთულ ფინალურ მატჩს მოელოდა. მართლაც, ფრანგებმა მასპინძელთა გუნდის დამარცხება პატრიკ ვიეირას ერთადერთი გოლის წყალობით მოახერხეს. თუმცა ანგარიში სრულებითაც არ ასახავს მატჩის მსვლელობას. აზიელებს გაუმართლათ და რომ არა ბედის წყალობა, მათ კარში ოთხი-ხუთი გოლი მაინც უნდა გასულიყო. მარლეს, ანელკას, პირესს, ვილტორდს, რობერსა და კარიერს ერთმანეთზე უკეთესი შანსები ჰქონდათ, მაგრამ იაპონელები ხან მეკარე კავაგუჩიმ, ხანაც სასწაულმა იხსნა.

გოლი იაპონელთათვის ერთობ დასანან სიტუაციაში გავიდა. გამოსვლაზე კავაგუჩი შეცდა, ვერც მცველებმა ივარგეს და კუნძულელებმა საკუთარ კარში მოულოდნელი ბურთი მიიღეს. მსოფლიოს ჩემპიონებმა, როგორც იქნა, აიღეს აქამდე აუღებელი სიმაგრე. იაპონელებს მთელი ტურნირის მანძილზე საკუთარი კარი მშრალად შეენახათ და მხოლოდ ფრანგების დარმა ტიტულიანებმა შეძლეს აზიის ჩემპიონთა კარის დალაშქვრა.

ნამატჩევს უკმაყოფილება არავის ემჩნეოდა. იაპონელთა მწვრთნელმა, ფრანგმა ფილიპ ტრუსიემ სიამაყით თქვა: „ამ ტურნირში ერთადერთი გოლი გავუშვით, რაც ძალიან გვეამაყება. ფრანგებთან დამარცხება სამარცხვინო არავისთვისაა. ჩვენი დაცვა მართლაც დიდებულად ირჯებოდა მთელი გათამაშების მანძილზე, გუნდიც მთლიანობაში არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ იაპონიის ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია და საკმაო გამოცდილებაც შეიძინა“.

როჟე ლემერი მეტოქის თავდადებასა და ოსტატობას, როგორც სჩვევია ხოლმე, ფრანგული თავაზიანობით აღნიშნავს და ორაზროვნადაც ამბობს: „მათ ბრძოლა გაგვიმართეს. ფინალში იაპონელთა გასვლა იმაზე მეტყველებს, რომ ისინი სწორ გზას ადგანან. შესაძლოა ჩვენ გაისადაც ვნახოთ საფრანგეთი — იაპონიის მორიგი ფინალი“.

საფრანგეთისა რა გითხრათ, მაგრამ იაპონელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტობა ფანტაზიის სფეროდანაა. ფაქტი კი ერთია — როჟე ლემერის ყოფილმა შეგირდმა ფილიპ ტრუსიემ შეძლო გუნდის გაკეთება. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი, ამჟამად აზიის ჩემპიონი, იაპონიის ეროვნული გუნდი ბევრისთვის უკვე აღარაა ხელწამოსაკრავი.

როჟე ლემერისა და ფილიპ ტრუსიეს ურთიერთობა კი აგერ ოც უკვე წელს ითვლის. ადრე ისინი ერთად ირჯებოდნენ პარიზულ კლუბ „რედ სტარში“. ლემერი გუნდის მწვრთნელი გახლდათ, ტრუსიე — ფეხბურთელი.

დამთავრდა თორმეტდღიანი ტურნირი, რომელიც ერთგვარი სამზადისი იყო 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. კორეა-იაპონიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ფეხბურთის მესვეურნი მათი მასპინძლობით კმაყოფილნი დარჩნენ. მთლიანობაში კონფედერაციათა თასის გათამაშებას კორეა-იაპონიის სტადიონებზე ოთხასი ათასამდე მაყურებელი დაესწრო. საშუალოდ ყოველ მატჩზე ოცდათხუთმეტი ათასი ბილეთი იყიდებოდა. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაცილებით მეტი ქომაგი იქნება. თუმცა მოწესრიგებულ იაპონელებსა და კორეელებს მსუბუქი თავსატკივარიც აქვთ. ამ ორ ქვეყანას შორის კვირაში ორმოცდაერთი ავიარეისი სრულდება, რაც ორგანიზატორებს საკმარისად არ მიაჩნიათ. სპორტთან დაკავშირებული პრობლემები თვით ქალაქებში, სტადიონებამდე მიღწევის დროსაც იგრძნობოდა. გალუმპულმა გულშემატკივარმა კარგა გვარიანად დააგვიანა იაპონია — ავსტრალიის ნახევარფინალურ მატჩზე. სტადიონიდან დაბრუნებაც, თავსხმა წვიმაში, არეულ-დარეულ სიტუაციაში მოუხდათ.

ო, ირწმუნებიან აზიელები და მსოფლიო ჩემპიონატის რიგიან მასპინძლობას გვპირდებიან.

**გიორგი გაგარდაშვილი**



REUTERS

იაპონია — საფრანგეთი. იური ჯორკაეფი თავისუფალ ვარდნაში

# ლეაოც წავიდა

**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელი ემერსონ ლეაო გადადგა.

ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ბრაზილიაში.

ეს ამბავი კვირას მოხდა. ნაკრები შინისკენ მიისწრაფოდა. მისმა კოორდინატორმა ანტონიო ლოპესმა მწვრთნელს აეროპორტში რომ განუცხადა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოგხსნიანო. ლეაოც დაფიქრდა და განაცხადა, თავად მივდივარო. ფაქტობრივად, სხვა გზა არც ჰქონდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ათი თამაში გამართა და მხოლოდ სამი მოიგო. ბრაზილიელებმა კორეა-იაპონიაში გამართულ კონფედერაციათა თასის გათამაშებაშიც თავი შეირცხვინეს. თითქოს იაპონელებთან და კანადელებთან ფრე არ კმაროდაო, ფრანგებთან წაგებით გულშემატკივრების იმედი, ერთგვარი რევანშის წყურვილი დაასამარეს. ავსტრალიელებთან მესამე ადგილისთვის მატჩში მარცხმა კი ყველას აუვსო მოთმინების ფიალა და ლოპესმაც ყველას გულისნადები ალბათ ძალიან მკაცრად თქვა: ლეაო, შენი ადგილი ნაკრებში არაა!

ლეაო 1974-78 წლებში ეროვნული ნაკრების კარის დარაჯი გახლდათ, გუნდს არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე კაპიტნობდა კიდეც, მაგრამ არ დადგა მისგან დიდი მოძღვარი. მეტიც, ლუქსემბურგოს დაწყებული საქმე მან წარმატებულად განაგრძო და შედეგსაც მიაღწია: ბრაზილიის ნაკრების თამაშში აღარაფერია ბრაზილიური. ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ზიკო აღნიშნავს ამ ფაქტს და შეშინებულია იმით, რაც კონფედერაციათა თასის გათამაშების მატჩების მსვლელობისას იხილა: „როლები შეცვლილია, ბრაზილიელები მეტოქეთა შეტევების ჩაშლის მეტს არაფერს აკეთებენ. ნახევარფინალში ფრანგები გვიტევდნენ, ბურთითაც ჯამბაზობდნენ, ჩვენ კი, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, ყოვლად უაზრო ფეხბურთს ყოველგვარი წარმოსახვის გარეშე ვთამაშობდით. ბრაზილიის ნაკრების თამაში აღარაა ტექნიკური, შემტევი, გააზრებული“.

წავიდა ემერსონ ლეაო, მაგრამ ერთი ლეაოს წასვლა ვერც გაზაფხულს მოიყვანს და ვერც საქმეს უშველის. საფეხბურთო კრიზისს მეტად ღრმა ფესვები აქვს გადგმული. კორუფცია და კიდევ ათასი უბედურება სჭირს ერთ დროს დიდ საფეხბურთო ქვეყანას. არც ის იქნება გასაკვირი, რომ ლეაო მორიგ განტევების ვაცად იქცეს და მისი წასვლის შემდეგ არაფერი შეიცვალოს. თუმცა ფეხბურთის სავალალო მდგომარეობით ქვეყნის კონგრესიც არის დაინტერესებული. მრავალ კლუბში აღმოჩნდა დარღვევები, სათანადო კომისია თვით ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის თავკაცის რიკარდო ტეიშეირას საქმესაც იძიებს. ჯერჯერობით კი ვითარება ამგვარია: რაც დრო გადის, ტეტრაკამპეონები სულ უფრო კარგავენ სახეს, მათი თამაში არავითარ გულშემატკივრობის სურვილს არ აღძრავს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ბრაზილია დიდი საფეხბურთო ბაზარია, სადაც იაფად იყიდება ნიჭი, რომელსაც ევროპაში დიდი ფასი აქვს. ყოველივეს ფინანსური დატვირთვა აქვს.

მაგრამ სჭირდება კი ვინმეს დღევანდელი ბრაზილიის ნაკრები? — ალბათ გვატემალას, ჰონდურასს, ესტონეთს და მათ მაგვართ, რომელთაც შიგადაშიგ სახელოვან ფეხბურთელებთან ამხანაგურად გაჯიბრების პატივი აქვთ. სამაგიეროდ, დიდ ფულსაც იხდიან. ჰოდა, საქმეც აწყობილია. ფული იყოს და ბურთზე ფეხის დამრტყმელი თერთმეტი კაცის შოვნა ბრაზილიაში პრობლემა არაა. ალბათ, ესაა მთავარი, ფეხბურთი ბრაზილიაშიც წახდა. კონფედერაციის თასზე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონების თამაშის შემხედვარე აღარც იმას დაიჯერებდა კაცი, რომ ემერსონ ლეაოს გასაყიდად შეგულებული ფეხბურთელებისგან შემდგარი ნაკრები ჰყავდა ჩაყვანილი კორეა-იაპონიაში. აღარც ისაა დასაჯერებელი, რომ სპორტული საქონლის მწარმოებელ „ნაიკს“ ბრაზილიის ეროვნული გუნდის გაწეულმა რეკლამამ დიდი ხეირი მოუტანოს. მაშ, ვის სჭირდება ამგვარი ბრაზილია? ალბათ, ისევე მათ, ვის საქმესაც დღესდღეობით კონგრესის მიერ შექმნილი კომისია იძიებს.

**გიორგი გაგარდაშვილი**



გასაყიდთა სიას ხომ არ ჩისცქერის ემერსონ ლეაო?

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

# მე ხუთი თერთმეტზე მეტია...



REUTERS

ხესუს პენა გოლს და თასის მოგებას კლეიტონის მხრებზე შემჯდარი აღნიშნავს

## პორტუგალია

### თასის ფინალი
### პორტუ 2:0 მარიტიმუ

1:0 პენა (13), 2:0 ალენიჩევი (80)

**„პორტუმ"** ქვეყნის თასი მეთერთმეტედ მოიგო. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კლუბი ზედიზედ მეორე სეზონია, ამ ჯილდოს არავის უთმობს. კვირას პორტუელებმა ლისაბონში ეროვნულ სტადიონზე 40 ათასი მაყურებლის თვალწინ „მარიტიმუ" 2:0 დაამარცხეს.

ანგარიში მე-13 წუთზე ხესუს პენამ გახსნა, მას შემდეგ, რაც თანაგუნდელმა ნუნუ კაპუჩომ ფლანგიდან გამოზომილი პასით იგი მეკარე ჟილმარ და პოცოსთან პირისპირ დატოვა. კაპუჩომ ამ მატჩში მეორე საგოლე გადაცემაც მიითვალა. მან მე-80 წუთზე რუსი დმიტრი ალენიჩევი მოამარაგა.

ეს იყო „პორტუს" მწვრთნელის ფერნანდუ სანტოსის ბოლო მატჩი კლუბის სათავეში, რადგან ხელმძღვანელობას ადრევე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ფინალის შედეგის მიუხედავად მას თანამდებობიდან გაათავისუფლებდა. ამბიციური პორტუგალიური კლუბი ხომ ზედიზედ მეორე სეზონია, ქვეყნის ჩემპიონატს ვერ იგებს, მარტო თასი კი არ აკმაყოფილებს.

აქვე ვთქვათ, რომ 1991 წლის შემდეგ „პორტუმ" თასი უკვე მეხუთედ მოიგო.

## ბრაზილია

### თასის ფინალი. I მატჩი
### გრემიო 2:1 კორინთიანსი

**თასის** პირველი ფინალური მატჩი „გრემიოსა" და „კორინთიანსს" შორის 2:2 დასრულდა, თუმცა შეხვედრის მსვლელობისას „კორინთიანსი" 2:0-ს იგებდა. პირველ ტაიმში მარსელინიო კარიოკამ დააწინაურა თავისიანები გუნდი, ხოლო მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა კლუბის ვეტერანმა თავდამსხმელმა მიულერმა ანგარიში ორამდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს 1985 წელს ბრაზილიის ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში თბილისშიც უთამაშია (მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის), შემდეგ კი თავისი ქვეყნის პირველი გუნდის ღირსებას იცავდა მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1986, 1990 და 1994 წლებში.

ორი ბურთით დაწინაურების შემდეგ „კორინთიანსმა" ყურადღება მოადუნა და დაისაჯა კიდეც. გუნდს, რომელსაც ბოლო ხუთ შეხვედრაში ერთი ბურთიც არ გაეშვა, ათწუთიან მონაკვეთში „გრემიომ" ერთბაშად ორი გაუტანა. და ორივე ლუიშ მარიომ გაახერხა.

ისევე როგორც ბრაზილიის ჩემპიონატის ნებისმიერი რიგითი მატჩი, ეს შეხვედრაც დაძაბულობით და უხეშობით გამოირჩეოდა. კორინთიანსელი რიკარდინიო ორჯერ ისე აშკარად ეუხეშა მეტოქის ნახევარმცველს, რომ წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ თუ პირველად საერთოდ სუფთად გამოძვრა სიტუაციიდან, მეორედ არბიტრმა მხოლოდ ყვითელი აკმარა. 90 წუთის განმავლობაში ფეხბურთელები 50-ჯერ დაჯარიმდნენ, სუფთა სათამაშო დრომ კი 54 წუთი შეადგინა.

ბრაზილიის ნაკრების ყოფილ და „კორინთიანსის" ამჟამინდელ მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს დიდი სურვილი აქვს, თავის შეგირდებთან ერთად ორი კვირის წინ მოპოვებული სან პაულუს შტატის ჩემპიონის წოდებას ბრაზილიის თასი მიამატოს, რაც გუნდს საშუალებას მისცემს, ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში მიიღოს მონაწილეობა. ამისთვის კი „კორინთიანსმა" მეორე შეხვედრაში უნდა დაამარცხოს „გრემიო".

**გაგა ხუციშვილი**

## შვეიცარია

### თასის ფინალი
### სერვეტი 3:0 ივერდონი

1:0 ლონფატი (11), 2:0 მ. პეტროვი (29), 3:0 ფრეი (55)

**„სერვეტი"** შვეიცარიის თასს დაეუფლა და გაისად უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

ჩემპიონატში მეხუთეადგილოსანმა კლუბმა კვირას ფინალში იოლად დაჯაბნა გაჭირვებული „ივერდონი" და სამი უპასუხო ბურთი გაუტანა.

„სერვეტმა" მეშვიდედ მოიგო ქვეყნის თასი. იოჰან ლონფატისა და მარტინ პეტროვის გოლებით 30-ე წუთისთვის ანგარიში 2:0 იყო. 25 წუთში კი უკვე შვეიცარიის ნაკრების თავდამსხმელმა ალექსანდერ ფრეიმ იყოჩაღა და ინდივიდუალური ოსტატობით მესამეც შეაგდო.

## რუსეთი

### XII ტური

**ჩერნომორეცი 0:0 ანჟი**

**სპარტაკი 1:1 ალანია**

0:1 ბეკტაევი (63), 1:1 კოვტუნი (65)

**როტორი 1:1 ტორპედო**

1:0 ტრიფონოვი (21), 1:1 ვიაზმიკინი (58)

**როსტსელმაში 2:0 კრილია**

1:0 დაცენკო (78), 2:0 ოსინოვი (81)

**ტორპედო ზილ 1:1 დინამო**

1:0 ბოროდკინი (10), 1:1 გუსევი (36)

**სატურნი 0:0 ფაკელი**

**სოკოლი 1:2 ლოკომოტივი**

0:1 იზმაილოვი (43), 1:1 ორბუ (53), 1:2 ობიორა (61)

**ცსკა 1:1 ზენიტი**

0:1 გორშკოვი (17), 1:1 ლისენკო (26)

**თავისებური** გამოდგა მეთორმეტე ტური. „ლოკომოტივის" გარდა ლიდერთა ამქრის არც ერთ გუნდს მოუგია. ქართველთაგან კი კვლავაც მხოლოდ ზაზა ჯანაშიამ ითამაშა შეცვლაზე.

„კრილიამ" „როსტსელმაშთან" წააგო, „სოკოლმა" — „ლოკომოტივთან", თუმცა 23-23 ქულით მაინც ცხრილის თავში დგანან. გალიდერება შეეძლოთ „ტორპედოსა" და „სპარტაკს", მაგრამ ორივე ფრეს დაყაბულდა.

ბოლო კვირების გმირი „ტორპედო" ვოლგოგრადში „როტორს" სტუმრობდა. მაგრამ ამჯერად მასპინძლებმა იძალეს და ვიტალი შევჩენკოს გუნდს ბევრი ოფლიც აღვრევინეს. ვოლგოგრადელი ტრიფონოვის გოლს მალევე ჭაბუკი თანაგუნდელის, რომანოვის გაძევება დაერთო და დედაქალაქელებიც ცოტა მხრებში გაიშალნენ, მაგრამ რამდენჯერმე გასატანი ვერ გაიტანეს. არადა, წინა ტურებში საგოლე მომენტების თითქმის ასპროცენტიანი შესრულებით გადიოდნენ ფონს. ბოლოს და ბოლოს, კაცნაკლულ „როტორს" მაინც გაუტანეს, თუმცა მერე, მასპინძლებმა ერთ წუთში ორი ისეთი ვერ შეაგდეს... ამათ არც სტუმრები ჩამორჩნენ და კამოლცევმა ხუთი მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა...

„სპარტაკი" „ალანიას" მასპინძლობდა და კვლავაც უხეიროდ ითამაშა. კოვტუნის გოლი და ერთი ნახევარმომენტი, აი, სულ ეს იყო, რაც მოსკოველებმა მთელი მატჩის მანძილზე მოახერხეს. „ალანია" კი კრიზისიდან მართლაც გამოდის. ვლადიკავკაზელები გონიერად იცავდნენ თავს და არც მწვავე კონტრდარტყმები დაეწუნებოდათ. მეორე ტაიმში მათ ოთხი ნაღდი მომენტი გააცუდეს.

„სოკოლი" „ლოკომოტივს" მასპინძლობდა და ქვეყნის თასის ნახევარფინალში დამარცხებისთვის შურისძიებასაც გეგმავდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. იური სიომინი ამბობდა, სარატოვში სამი ქულისთვის ჩავედითო და სიტყვა აასრულა კიდეც. საინტერესოა, რომ რკინიგზელთა სასტარტოში ქვეყნის ნაკრების მეკარე რუსლან ნიგმატულინის ადგილი პლატონ ზახარჩუკმა დაიკავა. სიომინმა პრესკონფერენციაზე თქვა, რუსლანი მატჩისწინა მოთელვაზე დაშავდაო, თუმცა არაოფიციალური ვერსიით არც მწვრთნელმეკარის წაჩხუბებას გამორიცხავენ.

ისიც სათქმელია, რომ ზახარჩუკის კართან მასპინძლებს ცეცხლი ნამდვილად არ დაუნთიათ და მიზნის მიღწევას შორეული დარტყმებით ცდილობდნენ. ზაზა ჯანაშიამ კი 62-ე წუთზე მეორე გოლის გამტანი ობიორა შეცვალა.

მატჩის სიუჟეტი კი ლაღი და საინტერესო ყოფილა. თვითმხილველები ამტკიცებენ, წლეულს ორივე გუნდისთვის ეს საუკეთესო თამაში იყოო.

ლიდერი „კრილია" კი როსტოვში დამარცხდა. არადა „ფრთების" ანდრეი ტიხონოვმა ორჯერ გაიტანა, მაგრამ ჯერ თამაშგარის გამო გაუუქმეს, მერე კი მეკარეზე თავდასხმაში ამხილეს.

სამარელებმა თავიდანვე პრესინგს მიმართეს და „როსტსელმაში" თავისსავე ნახევარზე მოიმწყვდიეს. ტაიმის დასასრულს კი კასიმოვმა, ანჯელომ და ტიხონოვმა ვერ ივარგეს.

მასპინძელთა მონაგარი კი მხოლოდ ერთი მომენტით შემოიფარგლებოდა. დაცენკოს თავური ხარიხას მოხვდა. აი, ასე იყო, თუმცა „როსტსელმაშის" ტაქტიკამ გაამართლა.

ახლა ცხრილში ისეთი ვითარებაა, საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლნი, ფაქტობრივად, გაირკვნენ. ეს პირველი ხუთეული გახლავთ, რომელთაგან სამი მოსკოვის გუნდია.

**სოლომონ ბუღიაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 12 | 7 | 2 | 3 | 14:5 | 23 |
| სოკოლი | 12 | 7 | 2 | 3 | 17:15 | 23 |
| ტორპედო | 12 | 6 | 4 | 2 | 23:11 | 22 |
| სპარტაკი | 12 | 6 | 4 | 2 | 12:9 | 22 |
| ლოკომოტივი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:10 | 21 |
| ცსკა | 12 | 5 | 3 | 4 | 12:11 | 18 |
| ზენიტი | 12 | 5 | 3 | 4 | 14:17 | 18 |
| ანჟი | 12 | 4 | 5 | 3 | 9:7 | 17 |
| დინამო | 12 | 3 | 5 | 4 | 14:13 | 14 |
| როსტსელმაში | 12 | 4 | 2 | 6 | 9:12 | 14 |
| სატურნი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:9 | 13 |
| ალანია | 12 | 4 | 1 | 7 | 9:17 | 13 |
| როტორი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:15 | 12 |
| ტორპედო ზილ | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | 12 |
| ფაკელი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:14 | 11 |
| ჩერნომორეცი | 12 | 2 | 4 | 6 | 6:18 | 10 |

## ფინეთი

მე-11 ტური: ატლანტისი — იოკერიტი 3:0; ტამპერე — ჰიკ 3:2; ვაასა — ჰაკა 2:0; კუოპიო — როპსი 1:0; ინტერი — მიუპა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 11 | 5 | 5 | 1 | 17:8 | 20 |
| ჰიკ | 12 | 5 | 5 | 2 | 18:9 | 20 |
| ატლანტისი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:7 | 19 |
| ინტერი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:10 | 18 |
| ჰაკა | 11 | 5 | 3 | 3 | 13:7 | 18 |
| ვაასა | 11 | 5 | 1 | 5 | 12:14 | 16 |
| ტამპერე | 9 | 4 | 3 | 2 | 10:10 | 15 |
| კუოპიო | 10 | 2 | 4 | 4 | 4:10 | 10 |
| იოკერიტი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:18 | 9 |
| ლაჰტი | 9 | 2 | 1 | 6 | 5:11 | 7 |
| როპსი | 9 | 1 | 4 | 4 | 5:11 | 7 |
| ჯაზი | 9 | 1 | 2 | 6 | 4:15 | 5 |

## ჰოლანდია

### პლეი ოფი

### A ჯგუფი. III ტური

ვოლენდამი (II) — სიტარდი 1:0; ზვოლე (II) — ტელსტარი (II) 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლენდამი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ტელსტარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სიტარდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ზვოლე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |

### B ჯგუფი. IV ტური

კამბური (II) — გოუ ეჰედ იგლზი (II) 4:2; სპარტა — ექსელსიორი (II) 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 4 | 3 | 0 | 1 | 11:7 | 9 |
| კამბური | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | 9 |
| ექსელსიორი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:10 | 3 |
| გოუ ეჰედ იგლზი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |

## შვედეთი

მე-9 ტური: სუნდსვალი — ელფსბორგი 1:3; ჰალმსტადი — იორგრიტე 0:1; ჰელსინგბორგი — აიკ 2:0; გიოტებორგი — ჰეკენი 1:1; ნორჩიოპინგი — იორებრო 1:5; ტრელებორგი — მალმიო 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 9 | 5 | 4 | 0 | 17:5 | 19 |
| მალმიო | 9 | 5 | 1 | 3 | 14:10 | 16 |
| ჰელსინგბორგი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:7 | 15 |
| იორგრიტე | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 15 |
| ჰამარბი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:5 | 13 |
| ელფსბორგი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:16 | 13 |
| აიკ | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 12 |
| ჰალმსტადი | 9 | 3 | 2 | 4 | 17:10 | 11 |
| იორებრო | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| სუნდსვალი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | 9 |
| ჰეკენი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | 9 |
| ნორჩიოპინგი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:17 | 9 |
| იურგორდენი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:9 | 8 |
| ტრელებორგი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:20 | 7 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მრავი

## ოკეანეთი

### II ჯგუფი. III ტური

ახალი ზელანდია — სოლომონის კ-ები 5:1; ტაიტი — კუკის კ-ები 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 12:1 | 9 |
| სოლომ. კ-ები | 3 | 2 | 0 | 1 | 17:8 | 6 |
| ტაიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 12:6 | 6 |
| ვანუატუ | 3 | 1 | 0 | 2 | 11:14 | 3 |
| კუკის კ-ები | 4 | 0 | 0 | 4 | 2:25 | 0 |

13 ივნისს: ახალი ზელანდია — ვანუატუ; ტაიტი — სოლომონის კ-ები

## პოლონეთი

29-ე ტური: რაძიონკოვი — რუხი 2:3; ვიძევი — კატოვიცე 0:0; ლეგია — ვისლა 1:2; გურნიკი — სტომილი 2:0; ზაგლებე — პლოცკი 2:1; პოგონი — პოლონია 3:4; ოდრა — ამიცა 2:1; გროცლინი — შლიონსკი 1:2

**შაბათს,** პოლონეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში, კრაკოვის „ვისლამ" დედაქალაქის „ლეგია" მისსავე მოედანზე 2:1 დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. კრაკოვული კლუბის გაჩემპიონებამ და თანაც ვარშავაში, ისე იმოქმედა „ლეგიას" გულშემატკივრებზე, მარცხით გულდამწვრებმა სკამების დაწვას მიჰყვეს ხელი და არც წესრიგის დამცველთათვის დაიშურეს ნაირ-ნაირი საგნები. შეიქნა დიდი არეულობა. უწესრიგობამ თამაშის შემდეგ ქალაქის ქუჩებში გადაინაცვლა, ხოლო პოლიციელებს გულშემატკივართა დასაშოშმინებლად წყლის ჭავლის გამოყენებაც მოუხდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 29 | 18 | 5 | 6 | 63:27 | 59 |
| ლეგია | 29 | 14 | 8 | 7 | 43:26 | 50 |
| პოგონი | 29 | 15 | 5 | 9 | 42:33 | 50 |
| პოლონია | 29 | 13 | 7 | 9 | 37:28 | 46 |
| ზაგლებე | 29 | 14 | 4 | 11 | 43:37 | 46 |
| კატოვიცე | 29 | 9 | 14 | 6 | 27:21 | 41 |
| ამიცა | 29 | 12 | 5 | 12 | 45:42 | 41 |
| რუხი | 29 | 12 | 5 | 12 | 46:45 | 41 |
| გროცლინი | 29 | 9 | 10 | 10 | 32:34 | 37 |
| ოდრა | 29 | 9 | 9 | 11 | 37:45 | 36 |
| შლიონსკი | 29 | 9 | 8 | 12 | 32:38 | 35 |
| ვიძევი | 29 | 9 | 8 | 12 | 33:40 | 35 |
| სტომილი | 29 | 10 | 4 | 15 | 22:40 | 34 |
| გურნიკი | 29 | 9 | 6 | 14 | 28:34 | 33 |
| რაძიონკოვი | 29 | 9 | 4 | 16 | 26:45 | 31 |
| *პლოცკი* | *29* | *8* | *4* | *17* | *31:52* | *28* |

## დანია

32-ე ტური: კოპენჰაგენი — ბრონდბიუ 3:1; ჰერფიოლგე — აკადემისკი 0:3; მიდტიულანდი — ჰადერსლევი 6:0; ვიბორგი — სილკებორგი 2:4; ლიუნგბიუ — ოდენსე 1:3; ორჰუსი — ოლბორგი 4:0

**დედაქალაქურმა** „კოპენჰაგენმა", ორმოცი ათასი გულშემატკივრის ქომაგობით გამხნევებულმა, 3:1 მოუგო „ბრონდბიუს" და ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, რომელსაც მერვე წელია, ელოდა.

„ბრონდბიუ" კი მესამე ადგილზე დაეშვა და წინ „ვიბორგის" მძლეველი „სილკებორგი" გაატარა.

გახსოვთ, ვინ არის დანიის წინა სეზონის გამარჯვებული? გაგახსენებთ — „ჰერფიოლგე". და სად არის ახლა ეს გუნდი? ცხრილს ჩახედეთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 32 | 16 | 12 | 4 | 54:27 | 60 |
| სილკებორგი | 32 | 15 | 11 | 6 | 48:34 | 56 |
| ბრონდბიუ | 32 | 16 | 7 | 9 | 69:41 | 55 |
| მიდტიულანდი | 32 | 14 | 10 | 8 | 53:42 | 52 |
| ვიბორგი | 32 | 13 | 7 | 12 | 51:40 | 46 |
| ოდენსე | 32 | 13 | 7 | 12 | 49:44 | 46 |
| ოლბორგი | 32 | 12 | 10 | 10 | 49:49 | 46 |
| ლიუნგბიუ | 32 | 12 | 8 | 12 | 40:51 | 44 |
| ორჰუსი | 32 | 13 | 4 | 15 | 52:56 | 43 |
| აკადემისკი | 32 | 8 | 14 | 10 | 42:40 | 38 |
| *ჰერფიოლგე* | *32* | *6* | *9* | *17* | *39:64* | *27* |
| *ჰადერსლევი* | *32* | *1* | *7* | *24* | *28:86* | *10* |

## ნორვეგია

მე-10 ტური: ბრანი — ბოდიო გლიმტი 2:2; ლილესტრიომი — მოლდე 4:1; ლინი — რუსენბორგი 1:1; ოდ გრენლანდი — მოსი 3:1; სოგნდალი — ტრომსიო 0:3; სტრიომსგოდსეტი — ბრინი 4:0; სტაბეკი — ვიკინგი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 10 | 8 | 2 | 0 | 24:9 | 26 |
| რუსენბორგი | 10 | 8 | 1 | 1 | 30:10 | 25 |
| ლილესტრიომი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:15 | 19 |
| ბრანი | 10 | 5 | 2 | 3 | 27:17 | 17 |
| მოლდე | 10 | 5 | 2 | 3 | 22:15 | 17 |
| ოდ გრენლანდი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:11 | 17 |
| სტაბეკი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:19 | 16 |
| მოსი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:16 | 13 |
| ტრომსიო | 10 | 3 | 0 | 7 | 8:15 | 9 |
| სტრიომსგოდ. | 10 | 2 | 3 | 5 | 14:24 | 9 |
| სოგნდალი | 10 | 3 | 0 | 7 | 9:23 | 9 |
| ბრინი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:20 | 8 |
| ლინი | 10 | 1 | 4 | 5 | 12:16 | 7 |
| ბოდიო გლიმტი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:18 | 6 |

## საბერძნეთი

### გადასარჩენი პლეი ოფი

I ტური: ოფი — იანინა 1:0, პანაჰაიკი — პანილიაკოსი 2:0

II ტური. 13 ივნისი

იანინა — ოფი; პანილიაკოსი — პანაჰაიკი

III ტური. 17 ივნისი

ოფი — იანინა; პანაჰაიკი — პანილიაკოსი

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 9 ივნისი. ბაქო

## აზერბაიჯანი 61:101 საქართველო

21:29. 17:20. 13:28. 10:24

მსაჯები: იალოძ ეშელოუ (თურქეთი), სერგეი ჩებიშევი (უკრაინა); კომისარი: იური პოგორელკინი (რუსეთი)

აზერბაიჯანი: ბელოუსოვი (8), იუსუფოვი (14), ჰაჯიმეტოვი (3), სამოილოვი (17), ბახშიევი (9); ფაშაევი (7), სარიევი (2), ნიფთალიევი, ჰამიდზადე, ჰუსეინოვი (1)

საქართველო: თორთლაძე (17), ბოისა (23), ნაცვლიშვილი (20), ცქიტიშვილი (12), უგრეხელიძე; ბერძენიშვილი (2), ჩხეიძე (4), გოგობერიშვილი (13), ფლენტი (6), შენგელია (4)

# ქართველები ბაქოში

## დიდხანს ნამგზავრნი, ცოტა ნავარჯიშევნი, გვიან გამოღვიძებულნი, ცალი ხელით მოთამაშენი და... მაინც ორმოცი ქულით მოგებულნი

გიორგი ბიკაშვილი ბაქო-თბილისი

**ევრობასკეტ** 2003-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივე საშინაო მატჩის მომგები საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები აზერბაიჯანის დედაქალაქს ჯგუფის ლიდერის რანგში ესტუმრა. ჩვენი გუნდი 9 ივნისს ბაქოში გამართული შეხვედრის უპირობო ფავორიტი გახლდათ, რაშიც მასპინძლებთან გამოლაპარაკებაც დაგარწმუნებდათ. აზერბაიჯანელები, რომლებიც სანაკრებო დონეზე პირველ ნაბიჯებს დგამენ, წინდაწინვე შეჰგუებოდნენ წაგებას და საქომაგო გუნდისგან ბრძოლასლა ითხოვდნენ.

თავის მხრივ ქართველთა ეროვნული გუნდიც სრულიად დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. ვერ ვიტყვით, თბილისიდან თერთმეტსაათიანი მგზავრობის შემდეგ კალათბურთელებმა ძალები სრულად აღიდგინესო, მაგრამ ბელარუსთან და ბულგარეთთან ასტრონომიული სხვაობით დამარცხებული აზერბაიჯანელები ქართველებთან, თუნდაც დაღლილ-დაქანცულებთან, წასაგებად იყვნენ განწირულნი.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ, ალბათ, მოთამაშეთა მდგომარეობა გაითვალისწინა და მატჩის დღეს იმ დარბაზში, სადაც შეხვედრა უნდა გამართულიყო, 40-წუთიანი და ძალიან მსუბუქი ვარჯიში აკმარა შეგირდებს. ერთი ამდენი დრო ტომარაძემ სასტუმრო „აფშერონის“ მეცამეტე სართულის მისაღებში კალათბურთელთა ტაქტიკურ დამოძღვრას დაუთმო, სადაც ძირითადად ჩვენი გუნდის გასვლითი თამაშის მოდელზე ილაპარაკა.

სამის ნახევარზე, მატჩამდე ზუსტად ნახევარი საათით ადრე, აზერბაიჯანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საკალათბურთო დარბაზში მისულ საქართველოს ნაკრებს ადგილობრივებმა საგანგებოდ მომზადებული რევაზ ლაღიძის „თბილისო“ შეაგებეს. შეხვედრის დაწყებამდე დარჩენილი დრო მასპინძლებმა ეროვნული ღირებულებების დემონსტრირებას მოახმარეს, მალე ორივე ქვეყნის ჰიმნმაც გაიჟღერა და...

მატჩის დებიუტმა ცხადად გამოაჩინა, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა დიდი მცდელობის მიუხედავად, კალათბურთელები სუსტ მეტოქესთან საპაექროდ სათანადოდ ვერ განეწყვნენ. საკუთარ ძალებში ზედმეტად დაჯერებული ჩვენებურები დუნედ მოქმედებდნენ მოედანზე, რაც დაღლილობის ნაკლებად, მოწინააღმდეგის შეუფასებლობის ბრალი უფრო იყო. სიმაღლეში აშკარა უპირატესობის მქონე ქართველებმა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დათმეს ფარიც. საწყის ხუთ წუთში აზერბაიჯანელებმა ჩვენს ფარზე იმდენჯერ მოხსნეს ბურთი, ბულგარელებსა და ბელარუსებს ერთად აღებულებს რომ არ მოუხერხებიათ. ერთი სიტყვით, კარგა ხანს გაუგრძელდათ „ძილი“ ქართველებს და სამოილოვისა და ჰაჯიმეტოვის ზუსტი სამქულიანების შემდეგ მეტოქეს 2:10 ჩამორჩნენ.

მოგვიანებით ქართველებმა ინდივიდუალური ოსტატობის წყალობითაც შეძლეს მდგომარეობის გაუმჯობესება



ვლადიმერ ბოისამ აზერბაიჯანელებს ყველაზე მეტი, 23 ქულა ჩაუგდო და 9 ბურთი მოუხსნა

და არა გუნდური თამაშით. თორთლაძემ და ბოისამ მიყოლებით ჩააგდეს საშუალო მანძილიდან, მოედანზე რამაზ გოგობერიშვილის გამოჩენის შემდეგ კი ანგარიშიც გათანაბრდა — 11:11.

იმავე გოგობერიშვილის ზედიზედ ხუთი ქულით საქართველოს ნაკრები მალე შესამჩნევადაც გაექცა მეტოქეს, მაგრამ იმდენად იოლად შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა, რომ თავს კვლავაც დაარხეინების უფლება მისცა. სისწრაფისა და მონდომების ხარჯზე მასპინძლებმა მალე ხელმეორედ გადახარეს თავისკენ სასწორი და იუსუფოვის ძალისხმევით წინაც გავიდნენ. ჩვენებურები უმეტესწილად დაჯარიმებით აზერხებდნენ აზერბაიჯანელთა შეტევების შეჩერებას და მეტოქის კალათბურთელებს საჯარიმოს ხაზიდან

რომ ეყოჩაღათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, 10-15 ქულით ჩამოვრჩებოდით მასპინძლებს.

საქართველოს ნაკრების უსუსური თამაშის შემხედვარი ბაქოელი გულშემატკივარი გაოცებას ვერ მალავდა. ამ გუნდმა ბულგარეთი და ბელარუსი როგორ დაამარცხათ, გაისმა აქეთ-იქიდან და ვინ იცის, მოგების იმედიც გაუჩნდათ გულში. ამ დროს კი ჩვენებურებმა ბოლოს და ბოლოს კალათბურთის თამაში იწყეს. პირველი ათწუთეულის დასრულებამდე ორ წუთზე ნაკლები რჩებოდა, ტომარაძემ მთელ მოედანზე პრესინგი რომ უბრძანა შეგირდებს. ამ ტაქტიკამ საოცარი შედეგი მოუტანა ჩვენს გუნდს, აზერბაიჯანელებმა მეტოქის ნახევარზე კარგა ხანს ბურთის გადატანაც ვერ შეძლეს და ეპიზოდი 0:12 დათმეს, პირველი მეოთხედი კი — 21:29

მატჩი ამის მერეც იგივე სცენარით გაგრძელდა, აზერბაიჯანელები ბრძოლისუნარიანობით გადიოდნენ ფონს, თორემ სათამაშო კლასითა და ოსტატობით ახლოსაც ვერ მივიდნენ ქართველებთან. თავის მხრივ ჩვენებურებიც არ იწუხებდნენ თავს ზედმეტად, თითქოს ვარჯიშით, კომბინაციების დამუშავებით იყვნენ დაკავებულნი და დაცვაში თამაშსაც უგულოდ ეკიდებოდნენ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ტაიმის ბოლოს საქართველოს ნაკრებმა 11-ქულიანი უპირატესობა იკმარა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, პირველ ტაიმს მასპინძლებმა შესაძლებლობათა მაქსიმუმი შეალიეს. განახლდა მატჩი და მათი მხრიდან წინააღმდეგობამ ერთიორად იკლო, საქართველოს ნაკრების ლიდერობა კი გამთამაშებელმა დავით თორთლაძემ ითავა და მნიშვნელოვანწილად სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ მეტოქეთა შორის სხვაობა სულ უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდებოდა. თორთლაძე დაუნდობლად აწიოკებდა აზერბაიჯანელთა კალათს და ზუსტი პასებით ხელსაყრელ პოზიციაში ტოვებდა თანაგუნდელებს. ამის შემხედვარე დანარჩენი ჩვენებურებიც საბოლოოდ მოვიდნენ თამაშის იშტაზე და დარბაზში შეკრებილი გულშემატკივარიც მალე დარწმუნდა, რომ საქომაგო გუნდი ვერც ამჯერად გადაურჩებოდა ასტრონომიული სხვაობით წაგებას.

მეოთხე ათწუთეულში ქართველთა საზრუნავი მხოლოდ ისღა იყო, რომ 100 ქულიანი ზღვარი გადაელახა და სულ ცოტა 40 ქულით მოეგო მეტოქისთვის. რატომ მაინც და მაინც 40? იმიტომ, რომ სამი დღის წინ აზერბაიჯანელები ბულგარელებს 39 ქულით დაემარცხებინათ...

**ბულგარეთი 90:64 ბელარუსი**

ბულგარეთი: ანგელოვი (6), ბანევი (11), კოეშინოვი, მინჩევი (28), მლადენოვი (7), ნატოვი (7), რაგუცოვი (11), სტოიკოვი (21)
ბელარუსი: ალექსეევი (3), ბოიდაკოვი, შარკო (11), კლემეზი (6), კორშუკი (12), კული (15), პინტიკოვი (10), ულიანკო (3), ვასილევკო (4)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 275:214 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 266:217 | 5 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 2 | 263:223 | 4 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 3 | 173:323 | 3 |

თურქეთი

# ფაჩულია თურქეთის ჩემპიონია

**პლეი ოფი**

ფინალი (ოთხ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ულქერი | 4 |
| ეფესი | 2 |

**ულქერი 98:78 ეფესი**

ულქერი: აჩიკი (12), ერდენაი (27), გოლიოვიჩი (14), ლოლისი (25), ჰენდლოგტენი (16), ილდირიმი (2), გიულერი (2), ფაჩულია (2 წუთი, 0 ქულა), გონლუმი, სარიჯა
ეფესი: მულაომეროვიჩი (17), ონანი (8), შჩეპანოვიჩი (7), დრობნიაკი (17), ბეშოქი (6), ოქური (12), ილმაზი (9), თუნჩერი (2)

**ეფესი 79:81 ულქერი**

ეფესი: მულაომეროვიჩი (22), ონანი (7), შჩეპანოვიჩი (10), დრობნიაკი (18), ბეშოქი (6), თუნჩერი (10), ოქური (4), პეკერი (2)
ულქერი: აჩიკი (6), ერდენაი (22), გოლიოვიჩი (14), ლოლისი (10), ჰენდლოგტენი (12), ილდირიმი (9), გიულერი (9), გონლუმი

**როცა** ზაზა ფაჩულია სპორტის სასახლეში ბულგარელებს და ბელარუსებს თამაშ-თამაშ ამარცხებდა, სტამბოლში მისი „ულქერი“ „ეფესს“ თურქეთის ჩემპიონობას ეცილებოდა. ფინალური სერია ოთხ მოგებამდე გრძელდება და ზაზაც მაშინ დაუბრუნდა კლუბს, როდესაც ანგარიში 2:2 იყო, ხოლო საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანელებთან შეხვედრისთვის ემზადებოდა.

ფინალისტების მეხუთე დაპირისპირება თავისთავად საინტერესო და დაძაბული რომ იქნებოდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, რადგან ამ მატჩში გამარჯვებულს მხოლოდ ერთი შეხვედრა რჩებოდა მოსაგები, ხოლო დამარცხებულს ზედიზედ ორჯერ დასჭირდებოდა მეტოქის ძლევა.

პირველი მეოთხედი „ულქერმა“ ბრწყინვალედ დაიწყო. ბენჯამინ ჰენდლოგტენის და კვადრე ლოლისის შედეგიანმა თამაშმა ფაჩულიას თანაგუნდელების დაწინაურება განაპირობა. მეტოქე გუნდიდან პრედრაგ დრობნიაკის აქტიურობის მიუხედავად, ათწუთეული „ულქერმა“ მოიგო 30:20.

მომდევნო მეოთხედში ჰარუნ ერდენაიმ, მილან გოლიოვიჩმა და იმავე ჰენდლოგტენმა სხვაობა თხუთმეტ ქულამდეც კი გაზარდეს. „ეფესის“ მწვრთნელმა მოახლოებული მარცხის საშიშროება იგრძნო და მოედანზე დამირ მულაომეროვიჩი შეუშვა. მეოთხედის დასრულებამდე დარჩენილი ორწუთიანი მონაკვეთი „ეფესმა“ 8:0 მოიგო და ანგარიში შვიდ ქულამდე შეამცირა — 52:45.

თამაში განახლდა თუ არა, ალფერ ილმაზმა „ულქერის“ შედეგიან შეტევებს სამი ზუსტი სამქულიანით უპასუხა. ამას თითქოს გარდატეხა უნდა შეეტანა მატჩის მსვლელობაში, მაგრამ მოედანზე შესულმა ჰენდლოგტენმა და კვადრე ლოლისმა მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინეს. შეხვედრის მიწურულს „ეფესი“ აღარც კი ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. „ულქერმა“ ჩემპიონობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა — 98:78 და სერიაში დაწინაურდა 3:2.

სერიის მეექვსე მატჩი შეიძლებოდა, ბოლოც ყოფილიყო, თუ, რა თქმა უნდა, ზაზას თანაგუნდელები შეძლებდნენ მობილიზებას და გამარჯვების მოპოვებას.

დაიწყო შეხვედრა და „ეფესი“ მულაომეროვიჩის, ვლადო შჩეპანოვიჩისა და პრედრაგ დრობნიაკის წყალობით მეხუთე წუთისთვის 14:8-ს იგებდა. „ულქერს“ შეტევებში არაფერი გამოსდიოდა, სანამ ორჰან გიულერმა არ აიღო თამაში თავის თავზე. მისი და ჰარუნ ერდენაის გააქტიურების შედეგად პირველი მეოთხედი ფრედ, 21:21 დამთავრდა.

მეორე ათწუთეული ლოლისისა და ჰენდლოგტენის შედეგიანი თამაშით აღინიშნა. შესვენებამდე 4 წუთით ადრე „ულქერი“ 33:25 დაწინაურდა. აქ „ეფესის“ მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო და ნაყოფიერადაც გამოიყენა. მულაომეროვიჩმა და დრობნიაკმა სხვაობა ნელ-ნელა შეამცირეს და ოცი წუთის შემდეგ ანგარიში იყო 40:39 ფაჩულიას თანაგუნდელთა სასარგებლოდ.

დაიწყო მესამე მეოთხედი და მეტოქეებმა ღია თამაში გააჩაღეს. შვიდი წუთის განმავლობაში შეხვედრა ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობდა. ამ დროისთვის „ულქერი“ ორი ქულით უგებდა „ეფესს“, მაგრამ დრობნიაკის გააქტიურებამ და თავის მხრივ დაცვაში „ულქერის“ ცუდმა თამაშმა ბოლო მეოთხედის წინ „ეფესის“ რვა ქულით დაწინაურება განაპირობა — 66:58.

მეოთხე, გადამწყვეტი ათწუთეული იმდენად დაძაბული იყო, რომ საწყის ორ წუთში ბურთი კალათში მხოლოდ ერთხელ ჩავარდა — 68:58. „ეფესი“ იგებდა და საბოლოო გამარჯვებასთან ახლოსაც იყო. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ დაინიშნებოდა მეშვიდე, გადამწყვეტი შეხვედრა, მაგრამ „ულქერს“ მეორე სუნთქვა გაეხსნა და მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა 68:68, შემდეგ კი ისევ აგებდა — 71:70. ამ კრიტიკულ მომენტში ორჰან გიულერმა პრინციპული სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები დააწინაურა — 73:71. აქედან მოყოლებული, „ულქერმა“ მტკიცე ხასიათი გამოავლინა, ძალების სრული მობილიზაცია მოახდინა, მიიყვანა შეხვედრა გამარჯვებამდე და 2001 წლის თურქეთის ჩემპიონი გახდა.

მართალია, ზაზა ფაჩულიას ამ შეხვედრებში ერთი ქულაც არ მოუპოვებია თავისი გუნდისთვის, მაგრამ სპორტის სასახლეში ჩატარებული ორი ბრწყინვალე მატჩის შემდეგ არ მეგულება ქართველი გულშემატკივარი, მის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდეს. ამიტომაც თამაშობს იგი ჩემპიონ გუნდში და გულწრფელად ვულოცავთ ამ გამარჯვებას. ზაზა ხომ ჯერ მხოლოდ 17 წლისაა.

ჩვენ კი ერთი კაცი მაინც გვეყოლება გამარჯვებულის ფსიქოლოგიით.

ვაჟა ხუციშვილი



ზაზა ფაჩულია

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2 |
| ფილადელფია | 1 |

# ვის აინტერესებს გულის ზომა?



REUTERS

ლეიკერსელი კობი ბრაიანტი (მარცხნივ) და ალენ აივერსონი ერთმანეთს მოედანზეც დაუპირისპირდნენ და მის გარეთაც

8 ივნისი

**ლეიკერსი 98:89 ფილადელფია**

**ლეიკერსი:** ფიშერი (14), ბრაიანტი (31), ფოქსი, გრანტი (6), ონილი (28 ქულა, 20 მოხსნა, 9 პასი, 8 დაფარება); ჰორი (8), ჰარპერი (5), შოუ (4), ლუ (2)

**ფილადელფია:** მაკი (14), აივერსონი (23), ჯონსი (3), ჰილი (2), მუტომბო (16 ქულა, 13 მოხსნა); მაკალოფი (13), სნოუ (12), გეიგერი (4), ბელი (2), ბაფორდი, ოლი

ტრავმები და გადაღლილობა. ფილადელფიელები ცდილობენ, ამას ყურადღება არ მიაქციონ, ყოველ თამაშში გულსა და ჯიგარს დებენ და აკი თავისი გამარჯვებით გახსნეს ანგარიში სერიაში, მაგრამ დიდი გული და გამარჯვებისკენ ლტოლვა ლოსანჯელესურ მონსტრთან ჭიდილში ყოველთვის ვერ დაგეხმარება. ამასთანავე, სისულელე იქნება იმის მტკიცება, რომ „ლეიკერსს" მეტოქეზე ნაკლებ სურს გამარჯვება.

ვინ იცის, ათასგვარი ტრავმებით გაწამებული სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ალენ აივერსონი გამარჯვებაზე მეტად რამდენიმე თავისუფალ დღეს ნატრობდა, რათა კარგად დაესვენა და თავად მოეპოვებინა გამარჯვება, ისე კი კვლავ წამოტკიებული იდაყვით 8 ივნისს მან თამაშში 29 სროლიდან 19 ააცილა და ოდენ 23 ქულა მოაგროვა, რაც მის საპირველთამაშო მონაგარის ნახევარიც ვერაა. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ სერიაში ანგარიში გათანაბრდა.

კობი ბრაიანტმა, დერიკ ფიშერმა და ტაირონ ლუმ ამჯერად მაინც მოახერხეს აივერსონის შეზღუდვა, რითაც ფილადელფიურ მახვილს წვერი მოსტეხეს. სტუმართა „ჭინკა" ლიდერს ხშირად მასზე ლამის ოცი სანტიმეტრით მაღალი ბრაიანტი მეურვეობდა და ერთობ აგრესიულადაც, რის გამოც ისინი ერთხელ წაკინკლავდნენ და მსაჯებს თავი გააშველებინეს. „ეს მხოლოდ კალათბურთია, ჯიგარო, რატომ უნდა გამოვთხაროთ ერთმანეთს თვალები?" — თქვა ნამატჩევს აივერსონმა, რომელსაც თამაშის განმავლობაში რამდენჯერმე მოხვდა სახეში ბრაიანტის ხელი და, ცხადია, არ ეამა. „უდროოდ ჩივის, შუაგულ ბრძოლაში მეგობრობის ადგილი არაა" — ეს კობი ბრაიანტის სიტყვებია.

თავად კობიმ წინა თამაშთან შედარებით შეუდარებლად უკეთ ითამაშა და გუნდს სხვა წვრილმან-მსხვილმანთან ერთად 31 ქულა შეაშველა, რაც იმ მატჩში ყველა დანარჩენის მონაგარს აღემატება. „ჰო, არა უშავდა" — შეგირდის ამგვარი მწირი შეფასებით შემოიფარგლა „ლეიკერსის" მწვრთნელი ფილ ჯექსონი.

ჯექსონი ამ თამაშის მოგებას ალბათ შაკილ ონილს უფრო უმადლის, ვიდრე ბრაიანტს. შაკი შეუდარებელიაო, ამბობდა იგი ნამატჩევს. ონილმა ქულები ზომიერი ოდენობით კი მოიხვეჭა, მაგრამ 28 ქულასთან ერთად 20 მოხსნა, 9 პასი და 8 დაფარება გააკეთა, ანუ ერთი პასი და ორი დაფარება დააკლდა უიშვიათეს ოთხმაგ დუბლამდე, რაც ნბა-ს ისტორიაში სულ ოთხ კაცს შეუსრულებია, პლეი ოფის ფინალში მისი გაკეთება კი ყველასთვის ოცნებად დარჩენილა. ოთხმაგ დუბლს თუ ვერა, შაკი სხვა სარეკორდო თამასას მაინც შესწვდა. მეტოქის ჩაუქ ბიჭებს რვაჯერ დაუფარა და ნბა-ს ფინალების რეკორდი გაიმეორა, რომელიც ოდესღაც ბილ უოლტონს დაუმყარებია, შაკილის ნახევრად თანამედროვეებს ჰაკიმ ოლაჯუონს და პატრიკ იუინგს კი მასზე ადრე გაუმეორებიათ. შაკი დაფარების იმტაზე დიდ შესვენებაზე მოსულა, რადგან პირველ ნახევარში ფილადელფიელებმა მისი კუთვნილი ფარქვეშა სივრცე ააოხრეს, რითაც გოლიათი შეურაცხყვეს.

თამაშის განახლების შემდეგ, მესამე მეოთხედში, ონილმა ოთხჯერ დაუფარა ფილადელფიელებს და სტუმართა დაბლებს „ლეიკერსის" ფარქვეშეთში შეჭრის ხალისი გაუნელა. ამ თორმეტწუთეულში სხვაც ბევრი აკეთა სასარგებლო და „ლეიკერსმაც" სწორედ ამ დროს აიღო მტკიცედ ხელში ლიდერობა.

მანამდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარე თამაშში ონილმა მესამე მეოთხედის მიწურულს გარდატეხა შეიტანა. მან რამდენჯერმე აჯობა სეზონის საუკეთესო დამცველ დიკემბე მუტომბოს და „ლეიკერსმაც" ბოლო მეოთხედის წინ სოლიდური, ათქულიანი უპირატესობა შეიქმნა, 77:67. ეს ანგარიში ხუთ წუთში 86:73-ად იქცა.

როცა საფინალო სირენამდე შვიდი წუთი რჩება, 13-ქულიანი ჩამორჩენა „ფილადელფიას" როგორ გატეხავს. სტუმრებმაც ღონივრად გაიბრძოლეს, მომდევნო ოთხნახევარ წუთში მეტოქეს ხუთჯერ დააკარგინეს ბურთი, რაც ათ ქულად აქციეს. დამთავრებამდე 2,24 წუთით ადრე ანგარიში 89:86 გახდა და აღარც სტუმართა გამარჯვება ჩანდა სასწაულად. „ფილადელფიას" იმ რამდენიმეწუთიანი მონაკვეთიდან მეტის გამოწურვა შეეძლო. გვეგონა, საჭირო დროს საჯარიმოთა გაფუჭება მხოლოდ ქართველ კალათბურთელთა სენი გახლდათ, თუმც ფილადელფიელებს ჩვენი გადარწმუნება არ გასჭირვებიათ. 13:3 მოგებულ მონაკვეთში აივერსონმა ორი საჯარიმო გააფუჭა, რაჯა ბელმა — სამი. „ეს მხოლოდ გადაღლილობის ბრალია" — მათ მწვრთნელ ლარი ბრაუნს არ გაუკიცხავს შეგირდები, თუმც მათ გამარჯვება წყალს გაატანეს.

სამ ქულამდე დაახლოების შემდეგ „ფილადელფია" კვლავ ჩაიძირა. მასპინძელმა დერიკ ფიშერმა სამქულიანი ჩააგდო, მისმა თანაგუნდელმა რონ ჰარპერმა კი 1,19 წუთით ადრე ანგარიში 94:86 გახადა. აივერსონის 1,03-ით ადრე ჩაგდებული სამქულიანი ფილადელფიელთა მიერ კარის გაჯახუნებას უფრო ჰგავდა. სტუმრებს ბოლო წუთზე ქულა აღარ ჩაუგდიათ, საკუთარ კალათში კი ოთხი მიიღეს.

10 ივნისი

**ფილადელფია 91:96 ლეიკერსი**

**ფილადელფია:** მაკი (5), აივერსონი (35 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსი (3), ჰილი (2), მუტომბო (23 ქულა, 12 მოხსნა); სნოუ (14), გეიგერი (4), ოლი (3), ბელი (2), მაკალოფი

**ლეიკერსი:** ფიშერი (7), ბრაიანტი (32), ფოქსი (3), გრანტი (4), ონილი (30 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება); ჰორი (15), ლუ (5), შოუ

„მე არ მაინტერესებს, რა პრობლემები აქვთ, არ მაინტერესებს, რამხელა გული აქვთ, ჩვენ აქ მაგათ „გასალახად" ჩამოვედით და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად მებრძოლი და შეკრულია ჩვენი მეტოქე" — თქვა „ლეიკერსის" ყმაწვილმა ლიდერმა კობი ბრაიანტმა ფილადელფიაში ჩაფრენისთანავე. მას გაუმართლა და ამ სიტყვების უკან წაღება არ მოუხდა 10 ივნისს, სერიის მესამე თამაშის შემდეგ. 6 ივნისს ოვერტაიმში მარცხის შემდეგ მოქმედი და იქნებ მომავალი ჩემპიონი „ლეიკერსი" დროულად მოეგო გონს, სამ დღეში მეორედ იმარჯვა და ახლა თავად დაწინაურდა საჩემპიონო ოქროსთვის და დაფნის გვირგვინისთვის გამართულ სპრინტში.

ქვეყნის ძველი დედაქალაქი, ფილადელფია, დიდი ჟრიამულით შეეგება ფინალისტებს, განსაკუთრებით ლოსანჯელესელებს, რომელსაც დარბაზ „ფერსთ იუნიონ სენთერში" დიდი ანტიოვაცია მოუწყეს, ფილადელფიელებზე უკმეხ სიტყვადამცდარ კობი ბრაიანტს კი მთელი თამაშის განმავლობაში ლანძღვა-გინება არ მოაკლეს. ის კი არა, ათასიოდ ადგილობრივი ქომაგი თამაშამდე ორი საათით ადრე „ლეიკერსის" ავტობუსს დახვდა დარბაზის შესასვლელთან და ბრაიანტს „მხურვალე" დახვედრა მოუწყო. შეხვედრის მსვლელობისასაც მაყურებელთა მიერ სტუმართათვის ნამღერ „საამოდ სასმენ" სიმღერებში ყველაზე ხშირად ბრაიანტის სახელი ფიგურირებდა. ფილადელფიელთა მიერ კობის მიმართ გამომჟღავნებული „სიყვარულის" მიზეზი კობის დაბადების ადგილი გახლავთ. იგი ფილადელფიის თანამგზავრ პატარა ქალაქ ლოუერ მერიონში მოევლინა ქვეყნიერებას და 14 წლამდე იქ იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, კობი არასდროს ყოფილა ფილადელფიელ ფანთა ფავორიტი.

იმ ხალხისგან ლანძღვა, რომელშიც არაერთი ოდინდელი ნაცნობ-მეგობარი ურევია, ბევრს დაუკარგავს თამაშის ხალისს, მაგრამ კობიმ გინება ერთ ყურში შეუშვა, მეორედან გაუშვა, მასპინძლებს 32 ქულა ჩაუგდო და მათ ძლევაში ლომის წილიც დაიდო.

სწორედ ბრაიანტის რიგიანმა გარჯამ ჩაუყარა საფუძველი „ლეიკერსის" ფილადელფიურ გამარჯვებას. მან მეორე მეოთხედში ზედიზედ რვა სროლა ჩააგდო და დიდი შესვენებისთვის ათქულიანი უპირატესობა მოუტანა თავისიანებს. „ლეიკერსს" აღარც დაუთმია ლიდერობა.

„ფილადელფიას" ათი ქულით აბა, როგორ შეაშინებ და აივერსონმა და მისმა რაზმმა ტრადიციულად ხელი მიჰყვეს სხვაობის აღმოფხვრას, განსაკუთრებით კარგად წაუვიდათ საქმე ბოლო მეოთხედში. აქ აივერსონმა 14 ქულა მოიხვეჭა, თუმც წინა თამაშის მსგავსად საჯარიმოს ხაზთან მდგომს კვლავაც აუკანკალდა ხელი მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ორიდან ერთი საჯარიმო ააცილა და ანგარიშის გათანაბრების შანსი ხელიდან გაუშვა. მოგვიანებით აივერსონმა სამიდან სამივე ჩააგდო და ერთ ქულამდე დააახლოვა „სიქსერზი" მეტოქეს — 91:92, თუმც საქმეს ამით არ ეშველა.

ცხადია, ყველა წაგება გულდასაწყვეტია, თუმც ფილადელფიელები ალბათ ორმაგად განიცდიან მარცხს, რადგან ამ თამაშში მათ მიაღწიეს საწადელს — როგორც იქნა, თავიდან მოიშორეს ლოსანჯელესელთა გიგანტი ცენტრი შაკილ ონილი, რომელმაც მათ არცთუ მცირე უსიამოვნება შეამთხვია ამ უკანასკნელ დღეებში. დიკემბე მუტომბომ მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შაკს მეექვსე პერსონალური აჰკიდა და მაყურებლებში გაუშვა. „ნაღდად არ მეგონა, რომ საუკეთესო დამცველი ხელის ყოველ მიკარებაზე ასე დაფეთდებოდა. მიკვირს მსაჯებისაც, რომლებიც მის ანკესზე წამოეგნენ და ექვსიდან სამი პერსონალური მაინც ტყუილად მომცეს. სამარცხვინო საქციელია დიკემბესგან, თუ ვაჟკაცია, მორჩეს წიოკს და კაცურად მეთამაშოს" — ნამატჩევს ონილი გულისწყრომას ვერ მალავდა.

„ლეიკერსმა" კი უმისოდაც ივარგა. სტუმართა სათადარიგომ რობერტ ჰორიმ 89:88 ანგარიშზე სამქულიანი ჩააგდო, ხოლო როცა აივერსონმა კვლავ ქულამდე დაიყვანა სხვაობა, ჰორიმ ოთხი საჯარიმო ჩაუგდო მასპინძლებს. „ამისთვის არსებობენ თანაგუნდელები. რობერტმა დიდი სამუშაო შეასრულა, მან ჩააგდო უმნიშვნელოვანესი ბურთი" — ასე შეაქო კობი ბრაიანტმა თანაგუნდელი.

სერიის მეოთხე თამაშს ფილადელფია 13 ივნისს უმასპინძლებს.

**ირაკლი ფირუზვილი**



REUTERS

მესამე მატჩში შაკილ ონილი გავარდა, მაგრამ მისმა „ლეიკერსმა" მაინც მოიგო

# სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

**კროკოს ადმინისტრაციის განცხადება**

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16, ფალიაშვილის ქუჩა №27) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16), მარნეულში (რუსთაველის ქუჩა №39) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ზუგდიდში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. მე-4 ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 001 | სიტარდი-ვოლენდამი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 002 | ტელსტარი-ზვოლე | 1,8 | 3,3 | 3,4 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-5 ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 003 | სპარტა-კამბური | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 004 | ექსელსიორი-იგლსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**პოლონეთი. 30-ე ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 005 | ამიცა-ლეგია | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| 20.00 | 006 | ვისლა-ზაგლებე | 1,35 | 4,0 | 5,6 |
| 20.00 | 007 | პლოცკი-რაძიონკოვი | 2,5 | 3,0 | 2,0 |
| 20.00 | 008 | რუხი-გროცლ ინი | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 009 | შლიონსკი-ვიძევი | 1,95 | 2,8 | 3,5 |
| 20.00 | 010 | კატოვიცე-გურნიკი | 2,0 | 2,5 | 2,0 |
| 20.00 | 011 | სტომილი-პოგონი | 1,7 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 012 | პოლონია-ოდრა | 1,6 | 2,8 | 5,0 |

**დანია. 33-ე ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 013 | ოლბორგი-ლიუნგბიუ | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 014 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,45 | 3,8 | 5,3 |
| 22.00 | 015 | აკადემისკი-მიდტიულანდი | 2,1 | 3,2 | 2,5 |
| 22.00 | 016 | ჰადერსლევი-ორჰუსი | 4,4 | 3,6 | 1,6 |
| 22.00 | 017 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 018 | სილკებორგი-ჰერფიოლგე | 1,15 | 4,4 | 8,0 |

**შვედეთი. მე-9 ტური**
**12 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 019 | იურგორდენი-ჰამარბი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**შვედეთი. მე-10 ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 020 | აიკ-ჰალმსტადი | 1,85 | 3,3 | 3,5 |

**ფინეთი. მე-12 ტური**
**14 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 021 | ჰიკ-როვანიემი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 20.30 | 022 | ჰაკა-იოკერიტი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 20.30 | 023 | კუოპიო-ვაასა | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 20.30 | 024 | ლაჰტი-ჯაზი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 20.30 | 025 | ტამპერე-ინტერი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**იტალია. თასის ფინალი. II მატჩი**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 026 | ფიორენტინა-პარმა | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.40 | 501 | პალმეირასი-ბოკა ხუნიორსი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**14 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 502 | როსარიო-კრუს ასული | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**კალათბურთი. ფინალი**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ფილადელფია-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### საბერძნეთი

**პლეი ოფი**

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 0 |

**პანათინაიკოსი 83:70 ოლიმპიაკოსი**

პანათინაიკოსი: კალაიძისი (6), კოხი (3), როჯერსი (8), ფოცისი (2), ჯენტილე (9), ბოდიროგა (25), რებრაჩა (22), ბერკი (5), ბალოიანისი (3)

ოლიმპიაკოსი: ბუდურისი (4), ვუკჩევიჩი (7), პაპანიკოლაუ (9), ეკონომუ (1), რიზაშე (5), სულისი, ტომიჩი (19), დორკოფიკისი (2), ფემერლინგი, რაჯა (16), რივერსი (7)

### ესპანეთი

**პლეი ოფი**

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| რეალი | 2 |
| ტაუ | 2 |

**ტაუ 95:74 რეალი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## შედეგები

### კრივი

მსოფლიოს ჩემპიონატი
ბელფასტი (ჩრდილოეთ ირლანდია)

48 კგ: 1. იან ვარელა ბარტელენი (კუბა); 2. მარიან ველიკუ (რუმინეთი); 3. ჰარი ტანამორი (ფილიპინები) და რონალდ საილერი (აშშ)

51 კგ: 1. ჟერომ ტომასი (საფრანგეთი); 2. ვლადიმირ სიდორენკო (უკრაინა); 3. გეორგი ბალაკშინი (რუსეთი) და ალექსანდრ ვლადიმიროვი (ბულგარეთი)

54 კგ: 1. გილერ ორტისი (კუბა); 2. ალასი ალალულოღლუ (თურქეთი); 3. სურიელ როტასი (დომინიკა) და სერგეი დანილჩენკო (უკრაინა)

57 კგ: 1. რამაზან ფალიანი (თურქეთი); 2. გალიბ ჯაფაროვი (ყაზახეთი); 3. მაჯიდ ჯელილი (შვედეთი) და იონტი ტურუნენი (ფინეთი)

60 კგ: 1. მარიო მესა კინდელანი (კუბა); 2. ვლადიმირ კოლესნიკი (უკრაინა); 3. ფილიპ პალიჩი (ხორვატია) და ალექსანდრ მალეტინი (რუსეთი)

63,5 კგ: 1. დიოგენის ლუნა (კუბა); 2. დიმიტარ შტილიანოვი (ბულგარეთი); 3. ვილი გლენი (საფრანგეთი) და იური ზოლოტოვი (უკრაინა)

67 კგ: 1. ლორენ არაგონი (კუბა); 2. ენტონი ტომპსონი (აშშ); 3. შერზოდ ჰუსანოვი (უზბეკეთი) და ჯეიმს მური (ირლანდია)

71 კგ: 1. დამიენ ეჩემენდია (კუბა); 2. მარიან სიმიონი (რუმინეთი); 3. ფაბიო ჩირო დი კორჩია (იტალია) და ბიულენთ ულუსოი (თურქეთი)

75 კგ: 1. ანდრეი გოგოლევი (რუსეთი); 2. უტკირბეკ ჰაიდაროვი (უზბეკეთი); 3. კარლ ფროჩი (ინგლისი) და იორდანის დესპაინი (კუბა)

81 კგ: 1. ევგენი მაკარენკო (რუსეთი); 2. ვიქტორ პერუნი (უკრაინა); 3. კლაუდიო რასკო (რუმინეთი) და ჯონ დოვი (საფრანგეთი)

91 კგ: 1. ოდლანიერ ფონტე სოლისი (კუბა); 2. დევიდ ჰეი (ინგლისი); 3. ვიაჩესლავ უზელკოვი (უკრაინა) და სულთანაჰმედ იბრაჰიმოვი (რუსეთი)

+91 კგ: 1. რუსლან შაგაევი (უზბეკეთი); 2. ალექსეი მაზიკინი (უკრაინა); 3. პედრო კარიონი (კუბა) და ვიტალი ბუტი (გერმანია)

## ველორბოლა

### ჯირო დ'იტალია

# ვარდისფერი ოცნება: ვარდისფერი მაისურა

**დამთავრდა** ახალი საუკუნის პირველი „ჯირო". დამთავრდა ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური „ჯირო". კარაბინერთა ჩატარებულ ოპერაციას ბევრი უსიამოვნება მოჰყვა და უფრო მეტი კიდევ წინაა მრბოლთა დიდი ნაწილისთვის. თუმცა ამაზე და მთლიანად 84-ე „ჯიროს" შესახებ ხვალ ვისაუბროთ, დღეს კი ტურნირის ბოლო ორ ეტაპზე მოგითხრობთ, რომელთაგან ერთი მთიანი და ძალიან საინტერესო იყო.

შაბათს პელოტონს უკანასკნელი დაბრკოლებები ჰქონდა დასაძლევი და თუ ვინმეს ჯილბერტო სიმონის გადასწრება სურდა, სწორედ მე-20 ეტაპზე უნდა ეცადა ბედი. თუმცა სწორედ შაბათს შეუტია თავად სიმონიმ, წლეულს პირველად გაიმარჯვა და მეორე დღეს დამსახურებულადაც გახდა „ჯიროს" ჩემპიონი.

ტრენტინელმა მრბოლმა ორწუთნახევრამდე მოუგო პაოლო სავოლდელის. დიდი ტბის მიდამოებში წვიმასა და სიცივეში სიმონი იერიშზე დღის ბოლო აღმართზე, პირველი კატეგორიის სიძნელის მთა მოტარონეზე გადავიდა. მის მწვერვალს, რომელიც ფინიშამდე 41 კილომეტრით ადრე იყო, „ლამპრეს" ლიდერმა თავის მდევრებზე (გოტი, ოსა, ნოე, ფიგუერასი, კონტრერასი, ჰონჩარი) დაახლოებით წუთნახევრით ადრე უწია.

არადა, აღმართი 10,6 კილომეტრი სიგრძის და საშუალო 8,27 პროცენტი დახრილობის იყო. თუმცა სიმონი ყველაზე ძნელ აღმართებზე შშვენივრად ირჯება, რაც შარშანდელ „ვუელტაზეც" დაამტკიცა, როცა უციცაბოეს ანგლირუზე იპირველა.

„კურდღლის სიზმრის" გმირისგან განსხვავებით, მდევრებმა სიმონის თავდაღმართზეც ვერაფერი დააკლეს. ისინი ერთმანეთს კარგად ვერ უგებდნენ და დაწინაურებულმა თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ვარდისფერმაისურიანმა ფინიშსაც ეულად უწია და შარშან ბორმიოს ეტაპის მოგების შემდეგ მეორე წარმატებას მიაღწია „ჯიროზე".

ბოლო ეტაპი მილანში დასრულდა ჯგუფური სპრინტით, რომელიც ამ საქმის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის, მარიო ჩიპოლინის 34-ე ჯიროული გამარჯვება გამოდგა. მთელი დღის განმავლობაში პელოტონი მეტად მშვიდად მოძრაობდა, რაც ერთგვარი ტრადიციაა.

საერთო ჩათვლაში სიმონიმ ესპანელ აბრაამ ოლანოს 7 წუთი და 31 წამით აჯობა, რაც 1973 წლის შემდეგ ყველაზე დიდი სხვაობაა. მაშინ 7 წუთით და 42 წამით იტალიელი ფელიჩე ჯიმონდი ჩამორჩა... ყველა დროის საუკეთესო მრბოლს, „კანიბალად" წოდებულ ბელგიელს, ედი მერქსს.

29 წლის სიმონისთვის ეს ზედიზედ მესამე პოდიუმია. შარშან და შარშაწინ იგი მესამეობას სჯერდებოდა, ახლა კი ოცნება აისრულა.

„ჯიროს" მოგება მას შემდეგ მინდა, რაც 1984 წელს ჩემმა ნათესავმა ფრანჩესკო მოზერმა გაიმარჯვა აქ. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და ვერც კი წარმომედგინა, ერთხელ მეც თუ გავხდებოდი „ჯიროს" ჩემპიონი" — თქვა ვარდისფრად თმა-წვერ შეღებილმა ვარდისფერმაისურიანმა.

**გაგი გურული**




REUTERS მიღებულია

ჯილბერტო სიმონიმ ოცნება აისრულა

**მეოცე ეტაპი**

ბუსტო არსიძიო — არონა, 181 კმ

1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) 5სთ 03წთ 38წმ
2. პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) +2წთ 45წმ
3. ჯულიანო ფიგუერასი (იტალია, პანარია) +2წთ 42
4. დანიელე დე პაოლო (იტალია, მერკატონე უნო) +2წთ 42
5. მატეო ტოსატო (იტალია, ფასა ბორტოლო) +3წთ 20

**ოცდამეერთე ეტაპი**

არონა — მილანი, 125 კმ

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) 3სთ 05წთ 01წმ
2. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი)
3. მარკო ძანოტი (იტალია, ლიკიგასი)
4. მაურო ჯერონა (იტალია, ვინი კალდიროლა)
5. ივან კუარანტა (იტალია, ალექსია) ყველას იგივე დრო

**საბოლოო ჩათვლა**

1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) 63სთ 23წთ 15წმ
2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, იბანესტო) +7წთ 31
3. უნაი ოსა (ესპანეთი, იბანესტო) +8წთ 37
4. სერპიი ჰონჩარი (უკრაინა, ლიკიგასი) +9წთ 25
5. ჟოზე აზევედო (პორტუგალია, იბანესტო) +9წთ 44

## ჰოკეი

### NHL. სტენლის თასი. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

9 ივნისი

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4 |
| ნიუ ჯერსი | 3 |

**კოლორადო 3:1 ნიუ ჯერსი (1:0 2:1 0:0)**

1:0 ტანგეი 8(5), 2:0 ტანგეი 25(6), 3:0 საკიკი 27(13), 3:1 სიკორა 30(10)

კოლორადო: რუა; ბლეიკი, დევრიზი, ტანგეი, საკიკი, ჰეიდუკი; ბურკი, ფუტი, ჰოდინი, იელი, მესიესკოულა, კლემი, ნიემინენი, დრური, ჰაინოტი; დინგმანი, რაინპრეხტი, რეიდი

ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი, დანეიკო, ელიაში, არნოტი, სიკორა; ნიდერმაიერი, უაიტი, ნემჩინოვი, ჰოლიკი, კორკამი; რაფალსკი, ოდონელი, მოგილნი, გომესი, ბრილინი; პანდოლფო, მედენი, სტივენსონი

# კოლორადო! საკიკმა ბურკისთვის ტრადიცია დაარღვია

შაბათს, 9 ივნისს უძველესი ტრადიცია დაირღვა. ლიგის კომისარმა გერი ბეტმენმა სიტყვა თქვა, რითაც 2000-01 წლების სეზონი დახურა და სტენლის თასი კოლორადოელ ჯო საკიკს გადასცა. წესით, სწორედ კაპიტანს უნდა აღემართა პრიზი, რომელიც 84-წლიან ისტორიას ითვლის, მაგრამ „ეველანშის" ლიდერი სულგრძელად მოიქცა და ნანატრი თასი იქვე მდგომ რეი ბურკს გადაულოცა. ამ დიდებულ ჰოკეისტს, რომელსაც თავის 22-წლიან კარიერაში 1826 მატჩი ჩაუტარებია და ყველაფერი მოუგია, რისი მოგებაც კი ჰოკეიში შეიძლება, მხოლოდ ეს ჯილდო აკლდა. და აი, 40 წლისა, როგორც იქნა, ეღირსა მას...

რეი ბურკმა ღირსეულად მიიღო თასი საკიკისგან და მადლიერი ქომაგების ოვაციის თანხლებით პირველმა ზეაღმართა იმის ნიშნად, რომ 2000-01 წლების სეზონის გამარჯვებული „კოლორადო ეველანშია".

სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ვერც ეს და ვერც სხვა ფინალური მატჩები ვერ დაამშვენა პეტერ ფორსბერგმა, მაგრამ მას კოლორადოს ტრიუმფში უდიდესი წვლილი მიუძღვის. სწორედ ფორსბერგის მხრებზე გადაიარა პირველი ორი რაუნდის სიმძიმემ და რომ არა ოპერაცია, ფინალში ჩვეულად გაიბრწყინებდა.

თუმცა „ეველანშმა" უიმისოდაც დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის ღირსია და თუ მეშვიდე მატჩამდე ეს გარკვეულწილად ეჭვს იწვევდა, ბოლო შეხვედრამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. კოლორადომ უფრო მეტი მონდომებით, მეტი შემართებით იბრძოლა და დამსახურებულადაც დაეუფლა თასს.

სიმბოლურია, რომ გადამწყვეტი როლი კოლორადოს ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ, 21 წლის ალექს ტანგეიმ ითამაშა. იგი მთელი პლეი ოფის განმავლობაში პარტნიორთა ჩრდილში იმყოფებოდა და უფრო საკიკისა და ჰეიდუკის პასებით მომარაგება ევალებოდა, მაგრამ ბოლოს იმდენი შეძლო, რომ ორ მატჩში სამჯერ გაიტანა. სწორედ მისმა ორმა გოლმა ჩაუყარა საფუძველი კოლორადოს გამარჯვებას მეშვიდე შეხვედრაში. გუნდებმა ხომ ფხიზლად დაიწყეს თამაში და მაშინაც კი, როდესაც სერგეი ბრილინმა მე-4 წუთზე ნიუ ჯერსი უმცირესობაში დატოვა, კოლორადომ ბევრი ვერაფერი მოახერხა. თუმც „ეველანშს" ფინალში არაერთხელ გაულცებია მეტოქე მოულოდნელი გოლებით და ახლაც, მე-8 წუთზე, როცა მასპინძელთა იერში თითქოს შეფერხდა მოწინააღმდეგის ზონაში, შაიბა ალექსს მიუვიდა. სანამ სტუმართა მცველები გონს მოვიდოდნენ, იგი კარსუკნიდან სწრაფად გამოვიდა დასარტყმელ პოზიციაზე და მახვილი კუთხიდან ახლო ცხრიანში გაუშვა შაიბა.

ამის შემდეგ ყოველთვის, როგორც კი ყინულზე გამოჩნდებოდა, საკიკის სამეული ყოველთვის დიდ თავსატეხს უჩენდა „ეშმაკთა" დაცვას. წამყვანი ტრიოს ფორვარდები ვერცხლისწყალივით მოძრაობდნენ, რითაც მოწინააღმდეგეს ერთობ აბნევდნენ. თუმცა საკიკი და კომპანია მთელ სათამაშო დროს ხომ ვერ გაატარებდა მოედანზე და დანარჩენ ეპიზოდებში ნიუ ჯერსი საკმაოდ სახიფათოდ უტევდა. პირველი პერიოდის ბოლო ხუთი წუთი — აი, როდის შეეძლოთ სტუმრებს ყველაზე მეტად ანგარიშისა და თამაშის გათანაბრება. ჯერ პატრიკ ელიაშმა ვერ გაიტანა ცარიელ კუთხეში, ამაში რუამ შეუშალა ხელი, მაგრამ მეორეჯერ კოლორადოელთა მეკარეც უძლური იყო — ნიუჯერსელთაგან ყველაზე აქტიური პეტრ სიკორას დარტყმული შაიბა ძელს მოხვდა.

მეორე პერიოდის ორწუთიან მონაკვეთში კი კოლორადომ გადამწყვეტი შტურმი განახორციელა. კვლავ აებნათ თავგზა ნიუჯერსელთა მცველებს. საკიკი ფლანგიდან მარტოდმარტო შეიჭრა მეტოქის ზონაში, მისი დარტყმა ბროდომ მოიგერია, მაგრამ ასხლეტილ შაიბას ტანგეიმ მიუსწრო და სასწრაფოდ კარში გაგზავნა. რამდენიმე წამში შონ ოდონელმა წესი დაარღვია და კოლორადოს ლიდერებმა ეს მის გუნდს არ აპატიეს. რიცხვმრავლობაში ბროდომ ორჯერ იხსნა კარი, მაგრამ მესამედ საკიკმა ისე მოულოდნელად და მალულად დაარტყა, რომ მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

ნიუ ჯერსის ბედად, ერიკ მესიემ უსაფუძვლო უხეშობისთვის ჯონ მედენს ყვანჯი სახეში უთავაზა და მეტოქეს გამორჩევის შესაძლებლობა მისცა. ბრწყინვალე სამსვლიანი კომბინაციის შედეგად სიკორა რუასთან პირისპირ დარჩა და ზუსტი დარტყმით პარტნიორებს იმედი ჩაუსახა. მომდევნო ათი წუთის განმავლობაში ნიუ ჯერსი ერთობ აქტიურობდა, მაგრამ რუას ვერც სიკორამ, ვერც მოგილნიმ ვერ აჯობეს. კიდევ უფრო ხელსაყრელი მომენტი შეექმნა კრის დრურის, მაგრამ კოლორადოელმა შეიბრალა მეტოქე. ბოლო მესამედში „ეველანში" საიმედოდ იცავდა თავს, ხოლო ნიუ ჯერსი, რაც უფრო ნაკლებ დრო რჩებოდა, მით უფრო სასოწარკვეთილი და უსუსური ჩანდა.

კოლორადოს ხუთი წელი დასჭირდა, რათა ისევ მოეგო თასი, დასავლეთს კი ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა პირველობა. პლეი ოფის უძვირფასეს მოთამაშედ რუა დაასახელეს, რომელიც თასის ორგზის გამარჯვებული გახდა. თანაც, მას მესამედ გადასცეს „კონ სმაიტ ტროფი", თუმცა ამ პრიზის ღირსი ჯო საკიკიც იყო.

„შეკრების პირველივე დღეს ბურკს დავპირდი, წლეულს თასს მოვიგებთ და მას შენ აღმართავმეთქი. რეიმ დაიმსახურა ეს პატივი და ვამაყობ, რომ ამ ლეგენდარულ ჰოკეისტს ასეთი ზეიმი მოვუწყვეთ" — შთამბეჭდავი გამარჯვება არანაკლებ შთამბეჭდავი სიტყვებით დააგვირგვინა საკიკმა.

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS ფოტომიღებულია

რეი ბურკი, მწვრთნელი ბობ ჰარტლი, პატრიკ რუა და ჯო საკიკი სტენლის თასით

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მერვე ეტაპი

FORMULA 1

# შუმახერებმა კანადა ძმურად გაიყვეს

**მონრეალში** გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტად იქ მოგებებით რეკორდსმენი და წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი მიხაელ შუმახერი ითვლებოდა. შუმი ხომ ცნობილი კანადელი პილოტის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომის ნამდვილი გმირია: ოთხჯერ დაისაკუთრა დიდი პრიზი, ოთხ რბოლაში უსწრაფესი წრე გაახერხა, ექვსჯერ კი საკვალიფიკაციო შეჯიბრშიც აჯობა ყველას.

მიხაელის ძირითადი კონკურენტები მისი უმცროსი ძმა — რალფი და დევიდ კულჰარდი იყვნენ. შოტლანდიელი წლევანდელ სეზონში ყველაზე სტაბილურად ასპარეზობს — წინა შვიდივე ეტაპი ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა და საჩემპიონო ბრძოლაშიც გერმანელის ერთადერთი მეტოქეა. რაც შეეხება პატარა შუმის, მას წარმატება უპირველესად საკუთარმა ძმამ უწინასწარმეტყველა. მიხაელის აზრით, მონრეალის ტრასა, რომელიც ძრავასა და მუხრუჭებს დიდ მოთხოვნებს უყენებს, რალფის მანქანისთვის ზედგამოჭრილია. მისი „უილიამსი" გზის სწორ მონაკვეთებზე „ფერარებზე" სწრაფია და თუ საბურავებსაც ამინდის მიხედვით ზუსტად შეურჩევენ, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი სწორედ რალფს ექნებაო.

სამგზის ჩემპიონის ვარაუდი ასი პროცენტით გამართლდა. რალფმა ჯერ კიდევ შაბათს, კვალიფიკაციისას „ამოიღო ხმა", როცა მხოლოდ ძმას ჩამორჩა და პირველ სასტარტო რიგში მის გვერდით მოკალათდა. მიხაელის ფანტასტიკურ პოულზე ცალკეა სათქმელი. ოთხი წლის წინანდელ საკუთარ სარეკორდო მიღწევას მან გასაოცრად ბევრი — 2,3 წამი ჩამოაკლო და მეორე ადგილოსანი ნახევარი წამით ჩამოიტოვა. შუმის პირველივე ცდა ისე უნაკლოდ იყო შესრულებული, რომ პოულს იმ შედეგითაც მოიპოვებდა. ოციოდე წუთის შემდეგ მეორე ცდაზე კი სარეკორდო ზღვარი კიდევ უფრო მაღლა ასწია და 1 წუთი, 15,782 წამი (210,018 კმ/სთ საშუალო სიჩქარე) დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ ძველი მიღწევა კიდევ 14-მა (!) მრბოლმა გააუმჯობესა.

წლეულს საბურავებში, ძრავებში, ელექტრონიკასა და აეროდინამიკაში დანერგილი სიახლეების შედეგად სიჩქარეები საგრძნობლად გაიზარდა. ამდენად, პილოტებსაც მეტი ოსტატობა და ყურადღება მართებთ ტრასის რთული მონაკვეთების უშეცდომოდ დასაძლევად. კვალიფიკაციისას ფინიშისწინა მკვეთრ ორმაგ მოსახვევში მაღალ სიჩქარეზე დაშვებული ერთი და იგივე შეცდომის გამო ჯერ რუბენს ბარიკელომ, სესიის ბოლოს კი ნიკ ჰაიდფელდმა თავიანთი ბოლიდები ბარიერს მიამსხვრიეს. რუბინიო ბოქსებისკენ გაიქცა სათადარიგო მანქანაში გადასაჯდომად, ერთ ცდაზე გასვლა კიდევ მოასწრო და მდგომარეობაც ერთი ადგილით გაიუმჯობესა. ჰაიდფელდის ავარიის შემდეგაც, ვიდრე ტრასას ნამსხვრევებისგან გაწმენდნენ, სესია მეორედ შეწყდა. დარჩენილ წუთნახევარში ათი მანქანა მაინც გამოეფინა გზაზე, მაგრამ მათგან მხოლოდ კულჰარდმა იხეირა და იარნო ტრულის მესამე პოზიცია წაართვა. ბარიკელოს მეხუთე დრო ჰქონდა, მიკა ჰაკინენს — მერვე. ორგზის ჩემპიონის უკან ჟაკ ვილნევი და ხუან პაბლო მონტოია განლაგდნენ.



REUTERS მოწოდებით

**რალფ შუმახერს (მარცხნივ) გამარჯვება პირველმა ძმამ მიულოცა**

სტარტი მშვიდობიანი, უავარიო გამოვიდა. რალფი ოდნავ სწრაფად დაიძრა მიხაელზე და ალბათ გაასწრებდა კიდეც, მაგრამ რადგან „ჟილ ვილნევზე" მოკლე სასტარტო მონაკვეთია, თანაც ლიდერს უკეთესი ტრაექტორია ეკავა, პირველ მოსახვევში პირველი მისი „ფერარი" შევიდა. ყველაზე უხეირო სტარტი ვილნევს ჰქონდა. მსოფლიოს ექსჩემპიონი გამორჩეულად ცდილობდა მამის სახელობის ტრასაზე წარმატების მიღწევას, პირიქით კი მოხდა. მისი ბოლიდი წამით შეყოვნდა, რის გამოც ერთბაშად ექვსმა მეტოქემ აუარა გვერდი. მართალია, კანადელმა თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და მალე ათეულშიც დაბრუნდა, მაგრამ სწორედ იმ დროს ხელახლა და საბოლოოდ უმტყუნა ძრავამ.

ყოჩაღად დაიწყო ბარიკელომ — პირველივე წრეზე ტრულის გაასწრო, მესამეზე კი გრძელი სწორი მონაკვეთის ბოლოს კულჰარდსაც გაუსწორდა. მაგრამ ბოლომდე ვერც რუბენსმა გაძლო: მეექვსე წრეზე, ყველაზე ნელ მოსახვევში, სადაც სიჩქარე 300-დან 60 კილომეტრამდე ეცემა, მანქანა მოუსრიალდა, ტემპი დაკარგა და მე-12 ადგილზე გადავარდა. ეს კიდევ არაფერი, მეოცე წრეზე მონტოიამ შეცდომა დაუშვა — მოსახვევში თავისი „უილიამსი" ვერ შეაკავა და კედელს მიახეთქა. მის უკან მყოფმა რუბინიომ შეჯახების თავიდან ასაცილებლად მკვეთრად მარცხნივ გაუხვია და „ფერარი" საპირისპირო ბარიერთან დატოვა.

კულჰარდსაც თავიდანვე შექმნია პრობლემები, რადგან დაწინაურებულებთან მისი ჩამორჩენა ყოველ წრეზე იზრდებოდა. მიზეზი წინა მარცხენა შეკიდულობის დაზიანება გახლდათ, 55-ე წრეზე კი შოტლანდიელის „მაკლარენს" ბოლი გაუვიდა.

რალფი ჯიქურ კი მიიწევდა ძმის გასასწრებად, მაგრამ ანგარიშიანად, უაზრო რისკის გარეშე, რასაც შეიძლება ორივე დაეზარალებინა. ისე კი აშკარად ჩანდა, რომ „უილიამსი" „ფერარიზე" გაცილებით სწრაფი იყო. ძმებმა შუა დისტანციაზე იმდენად ჩამოიტოვეს ქარავანი, რომ ნათელი გახდა — კანადის დიდი პრიზი შუმახერების ოჯახში დაიდებდა ბინას, მოგებულ-წაგებულის ვინაობა კი ბევრად იქნებოდა დამოკიდებული პიტსტოპის წინ შექმნილ სიტუაციაზე. მიხაელის უპირატესობა სულ რაღაც ნახევარი წამი იყო, როცა 46-ე წრეზე მოუხდა საბურავების გამოცვლა და საწვავის ჩამატება, ამას 8,4 წამი დასჭირდა. მაშინ კი აიწყვიტა რალფმა — ზედიზედ ოთხი უსწრაფესი წრის წყალობით ძმასთან სხვაობა 27,5 წამამდე გაზარდა და მხოლოდ ამის მერე მიაკითხა ბოქსებს. რაკი იქ საწვავ-საბურავებთან მანიპულაცია შესვლა-გამოსვლიანად საშუალოდ 25 წამს გრძელდება, ცხადი იყო, რომ თუ მექანიკოსებს არაფერი შეეშლებოდათ, პატარა შუმი ლიდერობას შეინარჩუნებდა. ასეც მოხდა — 8,6 წამიანი შეყოვნების შემდეგ რალფი ტრასაზე ძმის წინ თითქმის ოთხწამიანი უპირატესობით დაბრუნდა. რბოლის ბედი საბოლოოდ მაშინ გადაწყდა, როცა ორიოდე წრის შემდეგ მიხაელმა აშკარად შეამცირა სიჩქარე და იერიშის მიტანა აღარც აცდია.

რალფ შუმახერმა კარიერაში მეორე დიდი პრიზი მოიგო თავის 74-ე რბოლაში და ასქულიანი ზღვარიც დაძლია. 25 წლის გერმანელი ფორმულის ისტორიაში 52-ე პილოტი გახდა, ვისაც ამ საპატიო მაჩვენებლისთვის მიუღწევია. შეგახსენებთ, რომ რეკორდი ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტს ეკუთვნის — 798,5 ქულა, მეორე ადგილზე მყოფ მიხაელ შუმახერს 736 დაუგროვდა. იმასაც ვიტყვით, რომ რალფმა თითქმის ორი წამით გააუმჯობესა მონრეალის წრის რეკორდი.

ბოლოს იმაზეც, წლეულს პირველად ვიხილეთ პოდიუმზე ორგზის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი. მართალია, მესამე ტიტულის შანსი მას უკვე დაკარგული აქვს, მაგრამ საერთო მესამე ადგილისათვის, ცხადია, ბოლომდე იბრძოლებს.

ისიცაა სათქმელი, რომ ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის ტრავმის გამო „ჯორდანის" საჭესთან მისი ადგილი გუნდის ტესტ-პილოტმა რიკარდო ზონტამ დაიკავა.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

**კანადის დიდი პრიზი**
10 ივნისი. მონრეალი
დისტანცია — 69 წრე — 305,049 კმ

| | |
|---|---|
| 1. რ. შუმახერი (უილიამსი) | 1:34.31,522 (193,629 კმ/სთ) |
| 2. მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 20,235 |
| 3. ჰაკინენი (მაკლარენი) | 40,678 |
| 4. რაიკონენი (ზაუბერი) | 1.08,115 |
| 5. ალეზი (პროსტი) | 1.10,435 |
| 6. დე ლა როსა (იაგუარი) | 1 წრით |
| 7. ზონტა (ჯორდანი) | 1 წრით |
| 8. ბურტი (პროსტი) | 1 წრით |
| 9. მარკეში (მინარდი) | 3 წრით |
| 10. ფერსტაპენი (ეროუსი) | 4 წრით |
| 11. ტრული (ჯორდანი) | 6 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| კულჰარდი (მაკლარენი) | გაიარა 54 წრე |
| პანი (BAR) | 38 |
| ვილნევი (BAR) | 34 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 24 |
| მონტოია (უილიამსი) | 19 |
| ბარიკელო (ფერარი) | 19 |
| ბატონი (ბენეტონი) | 17 |
| ალონსო (მინარდი) | 7 |
| ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 |
| ირვაინი (იაგუარი) | 1 |
| ფიზიკელა (ბენეტონი) | 0 |

**საუკეთესო წრე**

რ. შუმახერი 1.17,205

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ. ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი<br>ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | | | | | | | | | | 58 |
| 2 კულჰარდი<br>მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | | | | | | | | | | 40 |
| 3 ბარიკელო<br>ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | | | | | | | | | | 24 |
| 4 რ. შუმახერი<br>უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | | | | | | | | | | 22 |
| 5 ჰაიდფელდი<br>ზაუბერი, გერმანა | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | | | | | | | | | | 8 |
| 6 ჰაკინენი<br>მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | | | | | | | | | | 8 |
| 7 ვილნევი<br>BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | | | | | | | | | | 7 |
| 8 ტრული<br>ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | | | | | | | | | | 7 |
| 9 რაიკონენი<br>ზაუბერი, ფინეთი | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | | | | | | | | | | 7 |
| 10 მონტოია<br>უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | - | - | - | | | | | | | | | | 6 |
| ფრენცენი (ჯორდანი) — 6; პანი (BAR) — 5; ირვაინი (იაგუარი) — 4; ალეზი (პროსტი) — 3; ფიზიკელა (ბენეტონი), ფერსტაპენი (ეროუსი), დე ლა როსა (იაგუარი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | | | | | | | | | | 82 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | | | | | | | | | | 48 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | | | | | | | | | | 28 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | | | | | | | | | | 15 |
| 5 ჯორდანი | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | - | - | - | | | | | | | | | | 13 |
| BAR — 12; იაგუარი — 5; პროსტი 3; ბენეტონი, ეროუსი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# კაპრიატის დაუსრულებელი სიზმარი



ჯენიფერ კაპრიატის მორიგი ტრიუმფის დაჯერება უჭირს

**ქალები**

**ფინალი**

**ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — კიმ კლაისტერი (12, ბელგია) 1:6, 6:4, 12:10**

**პირადი შეხვედრები აქამდე: 1:0 კაპრიატის სასარგებლოდ**

შეიძლება ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ქალთა ფინალის შესახებ თხრობა შაბათს შემდგარი მატჩის ორი მონაწილიდან კი არა, მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისიდან უნდა დავიწყო. 1999-ში 20 წლის შვეიცარიელმა ფლორიდის ჩოგბურთელ მილიონერთა სავანე — სედლ ბრუქში მდიდრული ვილა შეიძინა და აღმოაჩინა, რომ მისი მეზობელი კარგა ხნის გადამწვარი ყოფილი ვუნდერკინდი ჯენიფერ კაპრიატი იყო. მარტინას ბევრი არ უფიქრია და ამერიკელს სპარინგპარტნიორობა შესთავაზა.

ერთ დროს ჩოგბურთის მომავალ დედოფლად შერაცხულ კაპრიატის იმ მომენტისთვის ყველა ძველი სპონსორი შემოცლოდა და ქურდობა-ნარკოტიკები-ჭარბი წონის მიზეზით ლიანდაგიდან გადაცდენილს უკვე რამდენიმე წელია, ტურნირი ვერ მოეგო. თავისდა მოულოდნელადაც ამერიკელმა აღმოაჩინა, რომ საკმაოდ დაძაბული ვარჯიშების დროს მსოფლიოს პირველ ჩოგანს არაფერში ჩამოუვარდებოდა: „ამან თვალები ამიხილა, მიმახვედრა, რომ ჯერაც შემეძლო დაბრუნება და უმაღლეს დონეზე ასპარეზობა. თანაც მარტინას დედა (მელანი მოლიტორიც) ამბობდა, რომ საუკეთესოთა ხუთეულში მეკუთვნოდა ადგილი."

ჰინგისს რომ სცოდნოდა, რაც მოჰყვებოდა ჯენიფერთან ვარჯიშს, ფლორიდის შტატს კარიერის დასასრულამდე არ გაეკარებოდა: ამერიკელმა მას სამაგიერო ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისა და როლან გაროსის ნახევარფინალში ძლევით გადაუხადა და უახლოეს მომავალში კლასიფიკაციაში პირველი ადგილის წართმევასაც უპირებს.

შაბათსაც ზედიზედ მეორე დიდი სლემის ტურნირის ფინალში მოასპარეზე კაპრიატის უმრავლესობა უპირობო ფავორიტად თვლიდა და იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. განსხვავებული აზრის იყვნენ ფილიპ შატრიეს სახელობის ცენტრალურ კორტზე თანამემამულის მხარდასაჭერად მოკალათებული ბელგიის პრინცი ფილიპი, პრინცესა მატილდა, პრემიერ-მინისტრი გაი ვერჰოფშტადტი, დიდი სამთავრობო დელეგაცია და ეროვნული დროშის ფერად სახელგაღებილი ქომაგები, რომელთაც წინ დღეს 18 წელშესრულებულ კიმ კლაისტერსს კორტზე გამოსვლისას სიმღერით მიულოცეს დაბადების დღე.

ხმაურიანი მიღებით გამხნევებულმა ბელგიელმა მატჩის დასაწყისში ერთი მინი-კრიზისი ოთხი ბრეიკ-პოინტის გადარჩენით დაძლია და ისე აიწყვიტა, მისი გამჩერებელი კაცი არ ჩანდა: კაცურად მძლავრი ფორჰენდის დახმარებით ნახევარ საათში კლაისტერსმა ზედიზედ 7 გეიმი მოიგო და მეორე ხელშიც 1:0 დაწინაურდა.

კაპრიატის გეგმებში მატჩის ასეთი დასაწყისი აშკარად არ შედიოდა, განერვიულებული კორტის პირას მოთავსებულ მიკროფონსა და ბელგიელი ქომაგების მეტისმეტ ხმაურზე აწუწუნდა, თუმცა მალე მიხვდა, რომ მისი მთავარი პრობლემა ბადის მეორე მხარეს იმყოფებოდა და არა სადმე სხვაგან: „ყველაფერი ნერვების ბრალი იყო, თანაც ის ისე კარგად თამაშობდა, აღარ ვიცოდი, რა მეღონა. გამოცდილებიდან ვიცი, რომ ადრე თუ გვიან ნებისმიერი მეტოქე მოეშვება და შესაძლებლობას მოგცემს, თავი გადაირჩინო, მეც იძულებული ვიყავი, ხავსს მოვჭიდებოდი და ამ მომენტისთვის დამეცადა."

კაპრიატისთვის სასურველი გარდატეხა მატჩში მეორე ხელის დასაწყისში მოხდა. გადამეტებულად მოწადინებულმა და თავდაჯერებულმა ბელგიელმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, მეტოქეს სული მოათქმევინა და ცალკარა შეხვედრაც თვალის დახამხამებაში დრამატულ ორთაბრძოლად იქცა.

მერე კი როლან გაროსის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამახსოვრო სეტის დრო დადგა, რომელიც იმაზე მეტხანს გრძელდებოდა (77 წუთი), ვიდრე პირველ-მეორე ხელი ერთად აღებული.

5:6-ზე კაპრიატის სულ ორი ქულა აშორებდა მარცხს, მაგრამ ნერვების გამოცდა წარმატებით ჩააბარა და მომდევნო გეიმში მეტოქეს იქით აართვა მოწოდება. თუ ვინმეს ეგონა, რომ მატჩი სულ მალე დასრულდებოდა, მწარედ მოტყუვდა: დანებება არც კლაისტერს უფიქრია, ამერიკელს მაშინვე დაუბრუნა ვალი და ანგარიში გაათანაბრა. იგივე განმეორდა 9:10-ზეც.

„ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სასწორზე ჩემი სიცოცხლე იდო, წაგება არაფრის დიდებით არ მინდოდა. ბოლოში ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ყველაფერზე წავიდოდი გასამარჯვებლად, საკუთარ თავს ვუთხარი, მაქსიმალურად გარისკე-მეთქი" — გაიხსენა მოგვიანებით კაპრიატიმ.

10:10-ზე ამერიკელმა ერთხელაც წაართვა მოწოდება მეტოქეს და მომდევნო გეიმში კლაისტერსი ბადესთან მოულოდნელი გაჭრებით დააბნია. რისკმა გაამართლა — ბელგიელი უწყინარ სიტუაციაში შეცდა, მეორე მატჩ-პოინტზე კი კაპრიატიმ მძლავრი ფორჰენდი უკანა ხაზს დაასვა და სიხარულისგან შეიკუნტრუშა: „ეს რაღაც სიურრეალისტური შეგრძნება იყო. იქ დგომა, ფეხზე წამომდგარი ხალხი, ჩემი ოჯახისკენ გახედვა. ეს სიზმარს ჰგავს და სულ ველი, როდის გამოვიღვიძებ."

დაჯილდოების ცერემონიალის დაწყებამდე, რომლის დროსაც კაპრიატის მთავარი პრიზი ძველმა ნაცნობმა კრის ევერტმა გადასცა, ამერიკელმა ტრიბუნებისკენ გაუტია და ოჯახის წევრებს — მამა და მწვრთნელ სტეფანოს, სპარინგ-პარტნიორ ძმა სტივენს გადაეხვია. ქალიშვილთან ჩახვევა მხოლოდ იქვე მყოფ დედა დენიზს არ უცდია, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ბარძაყის მძიმე ოპერაცია გადაიტანა და თუნდაც ასეთი ღირსშესანიშნავი მომენტების დროს ზევით-ქვევით ხტუნვა დიდად არ წაადგება.

კაპრიატიმ გულშემატკივართა ისედაც დიდი არმია კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც თავისი გამარჯვება ლეიკემიით დაავადებულ კოლეგა კორინა მორარიუს მიუძღვნა: „მინდოდა, მეჩვენებინა, რომ ჩვენ ყველანი მის გვერდით ვართ, ძალიან სამწუხაროა, რომ მას ეს უბედურება შეემთხვა. სწორედ ასეთ მომენტებში ხვდები, რაც არის მთავარი ცხოვრებაში."

კაპრიატი, რომელსაც გამარჯვებისთვის 557 ათასი დოლარი ერგო, პირველი ქალი ჩოგბურთელია მონიკა სელეშის შემდეგ (1992), ვინც სეზონის პირველი ორი დიდი სლემის ტურნირის ტიტულის მოპოვება მოახერხა. ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ ეს წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ ახლა სწორედ მას, და არა, ვთქვათ, ღებ უილიამსებს, ლინდსი დევენპორტს ან მარტინა ჰინგისს, აქვს დიდი სლემის (ანუ ოთხივე „მეიჯორის" ერთ სეზონში) მოგების შანსი.

„ვნახოთ, ბოლო ხანებში იმდენი მოულოდნელი რამ ხდება, შეუძლებელი არაფერია. პატარაობისას მეგონა, რომ ყველაზე მეტად სწორედ როლან გაროსის მოგება გამიჭირდებოდა და წარმატებულად უიმბლდონსა და აშშ-ის ღია პირველობაზე ვიასპარეზებდი. მე სწრაფი საფარი თიხნარზე მეტად მიყვარს" — უკან არ დაუხევია კაპრიატის.

არ იქნება დამარცხებული ფინალისტის დავიწყებაც. WTA ტურის ამომავალმა ვარსკვლავმა კლაისტერსმა პარიზში ყველას უჩვენა, რომ უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს და ამიერიდან ყველა „მეიჯორზე" გამარჯვების პრეტენდენტი იქნება: „რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ კორტზე ყველაფერი გავიღე და წაგებას საკუთარ თავს ვერ დავაბრალებ. ეს მატჩი კი სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება, პარიზი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ჩემს კარიერაში."

**ვაჟები**

**ფინალი**

**გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ალექს კორეჩა (13, ესპანეთი) 6:7 (3:7), 7:5, 6:2, 6:0**

**პირადი შეხვედრები აქამდე: 4:2 კუერტენის სასარგებლოდ.**

ვაჟთა ფინალი ქალების გადამწყვეტი მატჩის სრული ანტიპოდი გამოდგა — აქ დაძაბულობა პირიქით, მატჩის დასაწყისში იყო დიდი, ბოლოსკენ კი სრულიად ცალკარა ორთაბრძოლაში გადაიზარდა.

ალექს კორეჩას მოგების საუკეთესო შანსი ბუნების ძალებმა უწყალობეს: ფინალი რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, რომ თაკარა მზე შავი ღრუბლითა და წვიმით შეიცვალა, ტემპერატურამ ერთბაშად 5 გრადუსით იკლო და ძლიერი ქარი ამოვარდა. ამინდი, რა თქმა უნდა, ორივე ჩოგბურთელითვის გაფუჭდა, მაგრამ კუერტენზე მან ლამის დამღუპველად იმოქმედა.



ალექს კორეჩამ „გუგასთან" ვერაფერი გააწყო



ეს-ესაა გუსტავო კუერტენი როლან გაროსის სამგზის ჩემპიონი გახდა

„მე ხაზებთან ახლოს, რისკიანად თამაში მიყვარს, ქარში კი ასე გაცილებით მეტ შეცდომებს ვუშვებ. ამას გარდა კონტაქტური ლინზები მიკეთია და როდესაც თვალებში ქვიშა მეყრება, ერთიორად მიძნელდება გარჯა" — ასე ახსნა პირველ სეტში აურაცხელი უნებლიე შეცდომა მოგვიანებით ბრაზილიელმა.

მძიმე პირობებს კორეჩა გაცილებით უკეთ შეეგუა, ღრმა, მაღალი დარტყმებით მეტოქე უკანა ხაზს მიაჯაჭვა და შესამჩნევი ნერვიულობა რომ არა, პირველ ხელში ტაი-ბრეიკამდეც არ მიიყვანდა საქმეს. ესპანელის ბედს ძალი არ დაჰყვებოდა, ასეთივე ქარი მატჩის ბოლომდე რომ გაგრძელებულიყო, მაგრამ ვიღაცამ ზევიდან „გუგას" მოწყალე თვალით გადმოხედა და მეორე სეტის შუიდან ამინდი ნელ-ნელა გამოსწორდა, მასთან ერთად კი „გუგას" გუნება და თამაშის ხარისხიც.

კორეჩას თავისი საოცნებო ტიტულის მოსაპოვებლად შანსი ჯერ კიდევ ჰქონდა, მაგრამ 5:5-ზე, ბრეიკ-პოინტზე ბექჰენდი მცირედით ააცილა ცარიელ კორტს, მერე კი კუერტენს ზედიზედ ორჯერ ბადე დაეხმარა გათამაშების მოგებაში: „ის გეიმი რომ წამეგო, შეიძლება, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. ასე ხშირად ხდება, პატარა ღრიჭო მჭირდება, მეტოქემ დამიტოვოს და მერე ხეირიანად ავთამაშდებიხოლმე, თავდაჯერებაც მიბრუნდება და მატჩის ბედი იცვლება."

მართლაც, აქედან მოყოლებული კორეჩას საქმე სულ უკან და უკან წავიდა. ბადესთან ბავშვური შეცდომების სიმრავლის მიუხედავად, „გუგა" ჩვეულად, აგრესიულად ათამაშდა, ესპანელს კორტის ერთი კიდიდან მეორეში დაარბენინებდა და თითქმის ყოველთვის პირშიჩალაგამოვლებულს ტოვებდა.

მესამე ხელის წაგების შემდეგ გამწარებულმა კორეჩამ ბურთი ტრიბუნებზე მოისროლა, ჩოგანი — სკამისკენ, მსაჯისგან გაფრთხილება მიიღო და თამაშის ხალისი საბოლოოდ დაკარგა. 5:0-ზე კუერტენმა სამ მატჩ-პოინტს ისე მიატანა, სულ ორი ქულა დაანება მეტოქეს.

აქ როლან გაროსზე შეკრებილი მაყურებელი მცირედით გაერთო: კუერტენმა ჯერ იოლი სმეშის ბადეში გახვევა „მოახერხა", მერე კორეჩამ გამოუვალი სიტუაციიდან მეტოქეს როგორღაც თავზე გადაუგდო ბურთი, თუმცა ანგარიშის დასველება ესპანელს მაინც არ ეწერა. მატჩის დაწყებიდან სამი საათისა და 12 წუთის თავზე „გუგა" როლან გაროსის მეექვსე სამგზის ჩემპიონი გახდა და ისეთ რჩეულთა მარაქაში გაერია, როგორიც რენე ლაკოსტი, მატს ვილანდერი, ბიორნ ბორგი და ივან ლენდლი არიან.

ბრაზილიელმა გამარჯვების აღსანიშნავად კორტზე ისევე, როგორც მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ, დიდი გული დახატა, ოღონდ ამჯერად შიგ ჩაწვა, დაჯილდოების ცერემონიალზე კი საკუთარი ხელით მოხატული მაისურა ჩაიცვა წარწერით „მე მიყვარს როლან გაროსი" და ხალხს ფრანგულად ესაუბრა: „გუშინ მთელი ხუთი საათი ვწვალობდი ამ სიტყვის მომზადებაზე. შარშან ყველას დავპირდი, გაისად ფრანგული მეცოდინება-მეთქი და სიტყვა ხომ უნდა შემესრულებინა. აქ უამრავი ქომაგი მყავს და ამით მინდოდა, მადლობა გადამეხადა თითოეული მათგანისთვის".

„თიხნარის მეფეს" ორკვირიანი ოფლის ღვრისთვის 590 ათასი დოლარი ერგო და, ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ ოდესმე პარიზის ექვსგზის ტრიუმფატორ ბიორნ ბორგსაც გაუტოლდება ტიტულებით: „სიტყვით ვერ აღვწერ, მაგრამ პარიზში ყოველთვის განსაკუთრებულად ვგრძნობ თავს, თითქოს შინ, ჩემს კლუბში ვიყო. აქ თამაში კი არა, უბრალოდ ყოფნაც მიყვარს".

27 წლის კორეჩა, ბუნებრივია, საძაგელ გუნებაზე იყო. „კარიერაში ისეთი მომენტებიცაა, რომლებიც დიდი სლემის ტურნირის ფინალში წაგებაზე უარესია — ასე დაიწყო პრესკონფერენცია ესპანელმა, თუმცა მისი გამომეტყველებიდან სწორედ რომ საწინააღმდეგოს დაასკვნიდი — მესამე სეტის წაგების შემდეგ ყურადღება, თავდაჯერება, ყველაფერი დავკარგე. ის სულ უფრო უკეთ თამაშობდა და მესმოდა, რომ კიდევ უფრო გამიჭირდებოდა".

კორეჩამ კუერტენის ოპონენტებსაც უპასუხა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბრაზილიელს მხოლოდ თიხნარზე შეუძლია თამაში: „კი მაგრამ ლისაბონი? იქ ხომ მან მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო ჰარდზე, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა. რა მნიშვნელობა აქვს, თუ ეს სამი ტიტული თიხნარზე მოიპოვა? მას არავისთვის არაფრის დამტკიცება არ სჭირდება. დიდი სიამოვნებით გავუცვლიდი ადგილს".

**ავთანდილ სვანიძე**

**ქალთა წყვილების ფინალი: ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) და პაოლა სუარესი (არგენტინა) (2) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) და ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) (16) 6:2, 6:1**

**ვაჟთა წყვილების ფინალი: მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) — პეტერ პალა და პაველ ვიზნერი (13, ჩეხეთი) 7:6 (7:5), 6:3**

**შერეული წყვილების ფინალი: ვირხინია რუანო-პასკუალი და ტომას კარბონელი (ესპანეთი) — პაოლა სუარესი და ხაიმე ონსინსი (ბრაზილია) 7:5, 6:3**

# ყიფიანი ნაკრებიდან წავიდა, ძოძუაშვილი კი ომს იწყებს
## არის ასეთი მწვრთნელი — მერაბ ჟორდანია!

ყველაფერი ასე იწყებოდა.

*„სარბიელი". 11 დეკემბერი. 1999 წელი.*

***მერაბ ჟორდანია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:***

— დიდი ხნის მსჯელობისა და კონსულტაციების შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეროვნულ ნაკრებს უხელმძღვანელებს ტანდემი — დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი. დიდი ხანია, ამაზე ვფიქრობდით, მაგრამ გვინდოდა, ორივე პიროვნებისგან მიგველო თანხმობა, გვსურდა დავრწმუნებულიყავით, რომ ნაკრების ამგვარად ხელმძღვანელობა მათთვის მისაღებია... ჩავთვალოთ, რომ გავიტანთ ჩვენს გადაწყვეტილებას. მინდა იცოდეთ, რომ ნაუცბათევად არ მიგვიღია ეს გადაწყვეტილება... ყიფიანი და ძოძუაშვილი შესარჩევი ციკლის ბოლომდე იმუშავებენ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, უფრო დიდი დროითაც... გავიმეორებ, რომ ქართული ფეხბურთისთვის სასიხარულო და სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ... ჩვენს ამ გადაწყვეტილებას ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ჩვენ პასუხისმგებლობა მოვიხსენით ან გადავინაწილეთ. აბსოლუტურად ყველაფერზე ვაგებთ პასუხს ყველანი, როგორც მიღწეულ, ასევე მიუღწეველ შედეგებზე... ვინც უნდა მოხვედრილიყო ჩვენს ჯგუფში, მაინც გამსვლელი საგზურის მოპოვებისთვის ვიბრძოლებდით და ვიბრძოლებთ კიდეც.

*„სარბიელი". 14 დეკემბერი. 1999 წელი.*

***მამუკა კვანტალიანი, „სარბიელის" კორესპონდენტი:***

— რაღა მაინცდამაინც ჩვენში გაამართლებს ის, რასაც შედეგი არსად და არავისთვის მოუტანია...? დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს, წარმატების მიღწევის შანსი, ფაქტობრივად ნულის ტოლია... სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასე ვფიქრობ: ორი მწვრთნელი იმისთვისაა საჭირო, რომ ან ორივე დაიძიროს და სამუდამოდ ჩამოშორდეს ქართულ ფეხბურთს, ანაც ორიდან ერთი გაიწიროს...

ამის შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა. ძოძუაშვილისა და ყიფიანის ტანდემმა საქართველოს ნაკრები ჩაიბარა, ჩაიბარა დიდი ამბიციებით და... 11 ოქტომბერი. 2000 წელი. იტალია — საქართველო 2:0. 28 მარტი. 2001 წელი. საქართველო — რუმინეთი 0:2. 2 ივნისი. საქართველო — იტალია 1:2. 6 ივნისი. უნგრეთი — საქართველო 4:1.

— გვაცალეთ მუშაობა და როცა შედეგს ვერ ნახავთ, მაშინ გვაკრიტიკეთ — ამ სიტყვებს ძალიან გაღიზიანებული ტონით ამბობდა დავით ყიფიანი.

— უმჯობესი იქნებოდა, საქართველოს ნაკრები ერთი მწვრთნელისთვის ჩაებარებინათ, მაგრამ რაკი ასეა, მე და დავით ყიფიანი ერთად მოვედით ეროვნულ გუნდში და ერთად წავალთ — ბევრჯერ უთქვამს რევაზ ძოძუაშვილს.

და აგერ ბოლო.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ პრესკონფერენცია გამართა და თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალების თანდასწრებით განაცხადა, რომ ნაკრების მწვრთნელები რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი გათავისუფლებულნი არიან. ოღონდ, ყველაფერი ეს ოფიციალურად ფედერაციის ალმასკომმა უნდა დაამტკიცოს.

იქამდე კი, ვიდრე ძოძუაშვილ-ყიფიანის გათავისუფლებას ბეჭედი დაესმება, როგორც ჩანს, ძალიან დიდი სკანდალი იქნება. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მწვრთნელები დაითხოვა, უფრო სწორად, მწვრთნელთაგან ერთ-ერთმა, ყიფიანმა, თანამდებობიდან წასვლის თაობაზე ჟორდანიას გუშინ დილით თავადვე განუცხადა, ძოძუაშვილმა კი... ერთი სიტყვით, ქართულ ფეხბურთში მორიგი, სკანდალია მოსალოდნელი.

ჩვენც დღეიდან დავიწყოთ და მივყვეთ მოვლენებს. დავიწყოთ მერაბ ჟორდანიას განცხადებით, რომელიც მან გუშინდელ პრესკონფერენციაზე გააკეთა, მერე კი რევაზ ძოძუაშვილის ნათქვამიც ნახეთ. ისეთი ნათქვამი, რასაც ბევრი მოერიდებოდა.

**მერაბ ჟორდანია:**

— დღესდღეობით ქართულ ფეხბურთში უმძიმესი ვითარებაა. ვთქვათ ყველაფერი, ალალად ვილაპარაკოთ, მე მზად ვარ. ვიდრე თქვენ შეგხვდებოდით, ბუდაპეშტიდან დაბრუნების შემდეგ ვფიქრობდი, ხომ არ გადავდგემეთქი, მაგრამ როცა ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას და ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს ვესაუბრე, გადავიფიქრე. მიზეზი ბევრია. უმთავრესი კი ისაა, რომ ჩვენი წამოწყებული პროექტები ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

ახლა კი მთავარი: რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლებულნი არიან. ამის თაობაზე ამ დილით დავით ყიფიანმა თავადვე განმიცხადა და დავეთანხმე, რევაზ ძოძუაშვილი კი ქუთაისშია და მასთან შეხვედრა ჯერ ვერ მოვახერხე. ყველაფერი კი ფედერაციის ალმასკომის სხდომაზე დადასტურდება. ალმასკომის წევრები ჩვენი გადაწყვეტილების წინააღმდეგნი არ იქნებიან.

... ძოძუაშვილთან არ მისაუბრია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისიც უნდა წავიდეს. ასე აჯობებს. ის დარწმუნდება, რომ უნდა წავიდეს. ალმასკომის სხდომაზე ჩვენ ჩვენსას გავიტანთ.

... ორივე მწვრთნელთან კონტრაქტი გვქონდა გაფორმებული და ამის შესაბამისად, ძოძუაშვილსაც და ყიფიანსაც კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პუნქტი შეუსრულდებათ.

... ენთუზიაზმით ვმუშაობთო, ჩვენთვის მწვრთნელებს არასდროს უთქვამთ. ძოძუაშვილსა და ყიფიანს ნაკრებში მუშაობისთვის საკმაოდ დიდი ხელფასი ჰქონდათ, ამას დამატებული საქართველოს პირობებისთვის ჯერ არნახული პრემიები.

... ახალი მწვრთნელის კანდიდატურაზე ჯერ არ გვიფიქრია. თუმცა კი, თუ სექტემბრამდე ვერაფერი მოვიფიქრეთ, ნაკრებს მე ჩავიბარებ, მწვრთნელი მე ვიქნები, მწვრთნელობასა და პრეზიდენტობას შევითავსებ.

... ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ნაკრებს ვინმე თავისი ინტერესებისთვის იყენებდეს.

... ნაკრების მატჩებისა და ლეგიონერთა ჩამოსვლის ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, ჩვენი საქმეა და ამას ბოლომდე ვაკონტროლებთ. ნაკრებში არსებულ ვითარებას კი... როცა გუნდში განხეთქილება მოხდა, ამ საქმეშიც მაშინვე ჩავერიეთ, მაგრამ, ეს საქმე უკვე ისე იყო წასული, ვერაფერი მოვახერხეთ. მე იაშვილსა და ჯამარაულს თავად ვესაუბრე, მაგრამ, ვიმეორებ, საქმე ძალიან შორს ყოფილა წასული. შემადგენლობის შერჩევა კი მწვრთნელის კომპეტენციაა და ამაში ჩვენ ვერ ჩავერევით.

... დღესდღეობით ქართული ფეხბურთისთვის ყველაზე დიდი პრობლემა მწვრთნელია. ჩვენს ქვეყანაში კარგი მწვრთნელების დეფიციტია.

... საქართველოს ნაკრების ბევრმა ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ჩემთვის ამისი თქმა ძალიან ძნელია, რადგან ნაკრების წევრების ნახევარზე მეტმა „დინამოში" ჩემს ხელში გაიარა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ისინი ეროვნული გუნდის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებენ.




ბადრი კეთილაძის ფოტო

**რევაზ ძოძუაშვილი და მერაბ ჟორდანია: ვინ ვის უშვებს...**

მერაბ ჟორდანიამ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელ კახა კალაძის ძმის გატაცების ფაქტზეც თქვა ორიოდ სიტყვა, ახალი არაფერიაო და პრესკონფერენციაც დამთავრდა. მთავარი კი ითქვა, თანაც კონკრეტულად, ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები, მართალია, ჯერ ოფიციალურად არა, მაგრამ სიტყვით თანამდებობიდან გაათავისუფლა. დავით ყიფიანს ამის თაობაზე მერაბ ჟორდანიასთვის თავადვე უთქვამს, ეს მისი სურვილი ყოფილა, აი, რევაზ ძოძუაშვილი კი... მას წუხელ შინ ვესტუმრეთ და ეს მცირე, მაგრამ, ვფიქრობთ, სკანდალური ფრაზებით სავსე ინტერვიუ ჩამოვართვით.

— სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა, როცა შანსი მომეცა ნაკრებს მარტომ ვუხელმძღვანელო და ამის უფლებას არ მაძლევენ. ახლა შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ შემიძლია ნაკრების შედეგებზე პასუხისმგებელი მხოლოდ მე ვიყო, რაშიც აქამდე ხელი მეშლებოდა. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს უნამუსო ვიყო, სკამს ვებღაუჭებოდე. მე საქართველოს სიხარული მსურს, მსურს, რომ ქვეყანას ფეხბურთით ვასიამოვნო...

**— წელიწადნახევარია, ნაკრების მწვრთნელი ხართ და ხალხმა ვერაფერით ისიამოვნა. არ არის დრო, წახვიდეთ?**

— რატომ? ჯერ ეს ვიკითხოთ. მქონდა მე იმის საშუალება, რომ მარტო მემუშავა? ალმასკომის სხდომაზე მე ყველაფერს ვიტყვი. ვიტყვი და მოვითხოვ, რომ სხდომას ალმასკომისა და მწვრთნელთა საბჭოს წევრების გარდა დაესწროთ თქვენც, ჟურნალისტები, ჩემი სიტყვები ჩაიწეროთ და დაწეროთ. დაესწრონ ის ფეხბურთელებიც, რომელთა მიმართაც თითქოს მე ჩემი ინტერესები მაქვს.

**— კი, მაგრამ, დავით ყიფიანი წავიდა, თქვენ? თქვენ არ ამბობდით, მე და ყიფიანი ერთად მოვედით ნაკრებში და ერთად წავალთო?**

— როცა ამას ვამბობდი, მე და ყიფიანი ერთ ჭკუაზე ვიყავით. ასე იყო ანკონაში იტალიასთან მატჩამდე. მერე კი... აგერ არის მატჩების პროგრამები, სადაც ნაკრების მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანია მოხსენიებული, მან ლიდერობა თავის თავზე აიღო. ეს მაშინ, როცა გაიგო, რომ „ფიორენტინა" მეპატიჟებოდა.

**— მთავარი მწვრთნელი ყიფიანი გახდა...?**

— ჩემი დასაბუთებით ასეა. ჩვენ ძალიან მეგობრული, პროფესიული ურთიერთობა გვქონდა. ყოველთვის ვეუბნებოდი, დათო, მე ამ თამაშისთვის გამოვიყვან შემადგენლობას და მთელ საქართველოს გავცემ პასუხს, თუ წავაგეთ, ფეხბურთელმა ვერ ითამაშა, ვიტყვი, რომ მწვრთნელობას თავს ვანებებ და წავალ. თუ არადა შენ გადაწყვიტე ეს და შენ თქვი-მეთქი. ახლა თქვენ ჰკითხეთ ყიფიანს, რისთვის მიდის, იყო თუ არა ეს ასე და არის თუ არა ჩემი დანაშაული ის, რომ ანკონის მატჩის მერე ამდენჯერ დავმარცხდით. ამხანაგურ მატჩებზე არაფერს ვამბობ.

**— ალმასკომმა თუ გადაწყვიტა, რომ ძოძუაშვილი ნაკრებიდან წავიდესო, მაშინ?**

— იცით, რა არის, დამისაბუთონ ყველაფერი, რატომ, რისთვის მათავისუფლებენ. ამ ჩავარდნილი შესარჩევი ციკლის მიზეზები მითხრან.

**— მერაბ ჟორდანიამ თქვა, რომ ძოძუაშვილთან ჯერ არ მილაპარაკიაო. ახლა რომ გითხრათ, რეზო, ნაკრებიდან უნდა წახვიდეო, რას უპასუხებთ?**

— ფეხბურთიდან ჩემზე ადრე შენ უნდა წახვიდე-მეთქი.

**— ესე იგი, ნაკრებიდან არ მიდიხართ?**

— მარტო მერაბ ჟორდანიას გადაწყვეტილებით — არა.

**— აბა, ვის გადაწყვეტილებას ელოდებით?**

— ქართველი ხალხის, ფედერაციის...

**— ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაა.**

— ალმასკომის წევრებს ვგულისხმობ. თითოეულმა მოაწეროს ხელი ჩემს თანამდებობიდან განთავისუფლებას. სხდომას, როგორც ვთქვი, პრესაც უნდა ესწრებოდეს. ალმასკომზე ვიმსჯელოთ ყველაფერზე.

**— მიუხედავად მერაბ ჟორდანიას განცხადებისა, თქვენ თავს ისევ ნაკრების მწვრთნელად თვლით?**

— რა თქმა უნდა.

**— უნგრეთთან მატჩისთვის შემადგენლობა თქვენ შეარჩიეთ?**

— მე ჩემი ვარიანტი მქონდა. ჩამოვწერე ჩემებური შემადგენლობა, მაგრამ ჟორდანია და ყიფიანი არ დამეთანხმნენ. ჟორდანიამ მითხრა, ეს შემადგენლობა ვათამაშოთ და პასუხისმგებელი მე ვიქნებიო. თანაც დააყოლა, მინდა ხალხმა გაიგოს, ამ თაობას რა შეუძლიაო. მე ფედერაციის პრეზიდენტი ვარ და ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებო. შემადგენლობის გადახალისება ჰარმონიულად უნდა მოხდეს-მეთქი, გავეცი პასუხი. მოკლედ, უნგრეთთან სათამაშო შემადგენლობა ჩემი არ იყო. მერაბ ჟორდანიას მწვრთნელობა თურმე უნგრეთშივე სდომებია. ეთხოვა და მაშინვე დავუთმობდი. არა მგონია, რაც გითხარით, მათ თავად უარყონ.

**— მოკლედ, ნაკრებიდან არ მიდიხართ?**

— ნაკრების მწვრთნელობა ჩემი თვითმიზანი არ არის. ერთს ვითხოვ, ნუ წამართმევთ ქართულ ფეხბურთს, ამას ნუ ეცდებით.

**კობა ინასარიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ პოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge